

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
აკად. ნ. მარის სახელობისა

ქართველურ ენათა ლექსიკა



გურული, ზემოიგერული და ლეჩხუმური ლექსიკონები

Лексика картвельских языков

I

Г. ШАРАШИДЗЕ

СЛОВАРЬ ГУРИНСКОГО НАРЕЧИЯ

Б. ЦЕРЕТЕЛИ

СЛОВАРЬ ВЕРХНЕИМЕРСКОГО НАРЕЧИЯ

М. АЛАВИДЗЕ

СЛОВАРЬ ЛЕЧХУМСКОГО НАРЕЧИЯ

Под редакцией проф. В. М. БЕРИДЗЕ

Lexique des langues kartvèles

I

G. CHARACHIDZÉ

VOCABULAIRE DU DIALECTE DE LA GOURIE

B. TSÉRÉTÉLI

VOCABULAIRE DU DIALECTE DE LA HAUTE-IMÉRÉTHIE

M. ALAVIDZÉ

VOCABULAIRE DU DIALECTE DU LETCHKHOUM

Rédigé par prof. V. BÉRIDZÉ

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
აკად. მარის სახ.

ქართველურ ენათა ლექსიკა

I

ა. უ ა რ ა უ შ ი ქ ე
გურული ლექსიკონი

ბ. ვ ე რ ე თ ე ლ ი
ზემონივერული ლექსიკონი

გ. ა ლ ა ვ ი ქ ე
ლეჩხუმური ლექსიკონი

პროფ. **ვ. ბ ე რ ი ქ ი ს** რედაქციით

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით
თავმჯდომარე პროფ. ნ. მუსხელიშვილი

ტიპოგრაფიკორი ნ. გორგაძე
კორექტორი | დ. კორძია
გამომგებები

გადაეცა წარბეჭდას 10|XI-37 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15|I 1933 წ.
მთავლიტი № 124. შეკვეთა № 1989. ტრაჟი—1000. ქალაღდის ზომა 62X94.
წიგნის ზომა 6X10. 11 საბ. ფუჟცელი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობის სტამბა, ორჯონიკიძის ქუჩა № 50.

შემოკლებანი

აკაკი—აკაკი წერეთელი.

ალავ.—მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი.

ა. მ.—ალ. მგელაძე.

ა. კ.—ან. კელიძე.

ბერ.—გ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბ. 1912.

ბოტ.—ბოტანიკური.

გადატ.—გადატანითი მნიშვნელობით.

გურ.—გურული.

გ. წ.—გიორგი წერეთელი (მწერალი).

ერისთ.—რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფილისი 1884.

მ. კ.—მ. ი. კიკოძე.

ნ.—ნახე.

ელ.—ს. ელენტი, გურული კილო, ტფილისი 1936.

საბა—სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ.

ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი 1928.

ქვ. იმ.—ქვემოიერული.

ქ. ლ.—ქ. ლომთათიძე.

შარშ.—გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი.

შდრ.—შეადარე.

ჩუბ.—დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი 1887.

წერ.—ბ. წერეთელი, ზემოიერული ლექსიკონი.

ქყ.—ი. ქყონია, სიტყვის-კონა, პეტერბურგი 1910.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	V
გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ზურული ლექსიკონი	1—96
ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ზემოიმერული ლექსიკონი	97—135
მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი	136—164

წინასიტყვაობა

აკად. ნ მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური-კულტურის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილებამ, დღიდან თავისი ჩამოყალიბებისა (1936 წლის მაისი), გაშალა მუშაობა ქართველურ ენათა სხვადასხვაგვარი ლექსიკონების დასამზადებლად, როგორცაა: თანამედროვე ლიტერატურული ქართულისა და ძველი ქართულის განმარტებითი ლექსიკონები, სამენოვანი ლექსიკონები (სვანურ-ქართულ-რუსული, მეგრულ-ქართულ-რუსული, ჭანურ-ქართულ-რუსული), ქართველურ ენათა შედარებითი და ქართულ კილოთა ლექსიკონები.

სალექსიკოლოგიო მუშაობის ცენტრის შექმნა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ლექსიკური საუნჯის ასე გეგმაშეწონილად თავმოყრა, საფუძვლიანი შესწავლა და გამომზეურება შესაძლებელი გახდა. მხოლოდ სტალინურ ეპოქაში, ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის, მეცნიერების მეგობრის აშხ. ლავრენტი ბერიას თაოსნობითა და ყოველდღიური მზრუნველობით.

წინამდებარე ნაშრომიც სალექსიკოლოგიო განყოფილების ზემოხსენებული გეგმის ერთ-ერთი მუხლის განხორციელების დასაწყისია. იგი სამი დიალექტის ლექსიკონს შეიცავს: გურულს, ზემოიმერულსა და ლეჩხუმურს.

გურული სალექსიკონო მასალა შეკრებილი და დამუშავებულია დამსახურებული მასწავლებლის გიგო შარაშიძის მიერ (1848 — 1932). გ. შარაშიძემ მთელი თავისი ხანგრძლივი მუშაობა პედაგოგიურ ასპარეზზე (თითქმის სამოცი წელი) გურიაში გაატარა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მას გასცნობოდა გურიის თითქმის ყველა კუთხეს და მის მეტად საგულისხმო ენობრივ ფაქტებს მრავალი ათეული წლისას. მის ლექსიკონშიაც მოცემული ენობრივი მასალა სწვდება თითქმის მთელ საუკუნეს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ შიგ მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც დროთა ვითარებაში, ძველი ყოფის შეცვლასთან დაკავშირებით, დავიწყებულა, უკვე არ იხმარება, მაგრამ ენის ისტორიისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობისაა. ამგვარია: ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა სახელწოდებანი,

ძველი იარაღებისა და ტანსაცმლის ტერმინებზე, სხვადასხვა ხელოვნობასთან დაკავშირებული ცნებები და მათი აღმნიშვნელი სიტყვები და სხვა. ამ მხრივ გ. შარაშიძის ლექსიკონი ორის უკანასკნელისაგან უთუოდ გაირჩევა — როგორც ძველ სიტყვათა მარჯვით, ისე განსაკუთრებით ფართო განმარტებებით.

ზემოივრული ლექსიკონი დამზადებულია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის ბარბაღე წერეთლის მიერ. მასალა შეკრებილია უმთავრესად ქიათურა-საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში. სიტყვები ჩაწერილია მშრომელთა სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორცაა: საამშენებლო საქმე, მეკურკლეობა, მეაგურეობა, მეკრამიტეობა, სოფლის მეურნეობა (ხენა-თესვა, მევენახეობა, მებოსტნეობა), კრა-კერვა და სხვა საოჯახო საქმიანობა. სიტყვები ცოცხალ სასაუბრო ენიდანაა ჩაწერილი და განმარტებულია საქმის გაცნობისა და ხალხის მიერ მოცემული ახსნის თანახმად.

ლეჩხუმური ლექსიკონი შედგენილია ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტის მიხეილ ალავიძის მიერ. სიტყვები შეკრებილია სოფ. საირმესა და მის ახლომახლო კუთხეებში. ეს მასალაც თავისი შინაარსით იმგვარივეა, როგორც ზემოივრული. მასალები შეამოწმა და პირველადი რედაქცია გაუკეთა მათ პროფ. გ. ახვლედიანმა.

ეს ლექსიკონი დიალექტურია, თუმცა შიგ უმეტესად ისეთი სიტყვები მოიპოვება, რომელთაც სამწერლო ენაში თავისი ლიტერატურული პარალელი, თავისი შესატყვისი არ გააჩნიათ. მაგრამ თუ ყველა ეს სიტყვა ლექსიკონში დავტოვეთ, იმ მოსაზრებით, რომ: ა) თითქმის არც ერთი მათგანი წარმოდგენილი მნიშვნელობით არსებულ ლექსიკონებში არ არის შეტანილი და ბ) მრავალი მათგანი უთუოდ იპოვის ადგილს როგორც მბატერულ, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ზოგი მათგანი ჩვენ ანლაც გამოვიყენებთ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის დადგენისას, როგორცაა: საამშენებლო საქმე, მეცხოველეობა, მემცენარეობა და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა. ამგვარია, მაგ., გართვა, გასანახავი (გურული); ახალპირი, გაღვერვა, პირხვეული (ზემოივრული); ბრელო, მადგინო (ლეჩხუმური) და სხვ.

ლექსიკონებში შეტანილი მასალა ახალია, ძირითადად პირველად შემოდის სიტყვათ-კონაში, თუმცა შიგ ისეთი სიტ-

ყვებიც გვხვდება, რომლებიც წინანდელი ლექსიკონებიდანაცაა ცნობილი (საბა, დ. ჩუბინაშვილი, ილ. ჭყონია, ვ. ბერიძე, იშვიათად მხატვრულ ლიტერატურაშიაც არის ნახმარი), მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობითაა მოცემული, ყოველ შემთხვევაში, განსხვავებული იერითა და ელფერით.

სულ სამივე ლექსიკონში 3600-მდე სიტყვაა. აქედან საკმაოდაა ნასესხები როგორც უცხო ენებიდან, განსაკუთრებით გერულში (თურქული, ბერძნული, სპარსული), ისე ქართულის მოძმე—მეგრულ-სვანურიდან (მაგ., ლეჩხუმურში). საჭირო იყო თითოეული ამგვარი სიტყვის სადაურობის ჩვენება, მაგრამ ვინაიდან ლექსიკონები ჩვენ ნავარაუდები გვაქვს როგორც მასალა დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის, სადაც ყოველი სიტყვის ისტორია სათანადოდ იქნება წარმოდგენილი, ჩვენც ამჟამად თავი შევიკავებთ ამგვარ მითითებათაგან. ამავე მოსაზრებით ხელი ავიღეთ, სულ მცირე გამოწკლის გარდა, სიტყვათა ეტიმოლოგიურად განხილვაზედაც.

ლექსიკონებში არც ისაა ნაჩვენები, თუ რა მიმართებაშია ესა თუ ის დიალექტური სიტყვა თავის ლიტერატურულ შესატყვისთან, სხვაგვარად: თუ რა ფონეტიკური ან სხვა ხასიათის ცვლილება განიცადა მან, რადგანაც დიალექტური ვარიაციები სათანადოდ იქნება წარმოდგენილი და კვალიფიცირებული ქართულ კილოთა ერთიან ლექსიკონში.

თითოეული სიტყვა ლექსიკონებში მოცემულია თავისი საწყისი ფორმით, მაგრამ აქაც, თუმცა მკირედად, მაინც დარღვეულია ეს წესი: ეს იმ შემთხვევაში, როდესაც შემკრებს სიტყვა დაქერილი აქვს ფრაზაში და ვერ დაუდასტურებია ცოცხალ საუბარში მისი საწყისი სახე. ასეთია, მაგ., გაასკვა, გარწყვა, ექვილაჩება, ილეკრა, იჭიოტა და სხვ.

ცალკე თქმებიც (გულმა მრენჩხა, ენამ უყვილა, ერთად პირის ბანა), ადვილად მონახვის მიზნით, პირველი სიტყვის მიხედვითაა ანბანზე გაწყობილი.

სიტყვათა განმარტებას ხშირად თან ახლავს ფრაზეოლოგია. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმისათვის, რომ სიტყვის შინაარსი უფრო მკაფიოდ, უფრო ზუსტად გამოირკვეს: თავისთავადაც ეს ფრაზეოლოგია დიდი ღირებულებისაა, როგორც დიალექტოლოგიური მასალა.

ზოგი სიტყვა ლექსიკონებში, სათანადო მასალათა უქონლობის

გამო, არასაკმარისადაა ახსნილი. ჩვენ ამგვარნიც დავტოვეთ შემდგომი შემოწმებისა და უფრო ზუსტად განმარტების მიზნით.

რედაქციას დიდი მუშაობის ჩატარება დასკვირდა, რომ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გეგმით შედგენილი ლექსიკონებისათვის შედარებით ერთიანი ლექსიკონური სტილი მიეცა.

1

მ. შაკაშიძე

გურული ლექსიკონი

ანცება მეტიმეტი ცელქო-
ბით, სიანციით აკლება (შდრ. ჩუბ.
ანცი).

„აბა, დაჩეჯან“ სიმღერაა (ნ.
სიმღერები გურიაში).

„აბა დელი-და“ ხალხური სიმ-
ღერაა (ნ. სიმღერები გურიაში).

აბანოება ბანობა სამკურნალო
აბანოში. „ბარე ხუთი გზობა ქე
ვია ბანუე“.

აპარბაღება ნ. ბარბალი.

აბლი ავლი; ფერფლი.

აბოს. კპილი ერთნაირი ნიჟარა
(შდრ. ბერ. ალისკბილი).

აბრაგიდელის გადაყრა გაჯაე-
რებით, მკაცრად საყვედურის თქმა,
შავი დღის დაყენება. „აგი რომ
შეიტყო ბებიაჩემმა, აბრაგიდე-
ლი გადამაყარა თავზე“ (შდრ.
ქლ. აბრადუნ).

აბრეშუმის ჭიის ჯიშები გუ-
რიაში: „კახურაი, ორმოსავალაი,
ანუ ოროლაი, რუსულაი, ფრანგუ-
ლაი“ (აღწერა ნ. თავ-თავის აღ-
გილას).

აბუზაგება სხვისი გაკეთებუ-
ლი საქმის სასაცილოდ აგდება. „ამ
საქმეს ასე აბუზაგება არ ეკად-
რებოდა“.

აბუძგვა ტანში (შიშისა ან სხვა
რამისაგან) მთელ ტანზე თმის ყალყ-
ზე დადგომა (შდრ. ჩუბ. აბურ-
ძგნა, ბერ. ბურძგვლა).

„აგვიმატე“ აიღეთ (სუფრა),
აალაგეთ (სუფრა)!

„აგიდელა“ სიმღერაა მალლარი
ყურძნის კრეფის დროს: ერთი მკრე-
ფელთაგანი ხმამალა წამოიწყებდა:

„ა გიდელა, ჰაა!“

ა, გიდელი კუშტულ მახვილიო,
შით არის ხუთი მარჩილიო“...

დანარჩენი მკრეფელები მხიარუ-
ლი ახმაურებითა და ყიყინით ბანს
აძლევდნენ. ამ დროსვე მღეროდ-
ნენ „აგუნაის“ (ნ.) სიმღერას და
მრავალნაირ სხვას.

ა, გიდელი! ჰა, გიდელი! ასე
დაიძახებს ყურძნის მკრეფელი, რო-
ცა ყურძნით სავსე გიდელს თოკით
დაბლა ჩამოუშვებს დასაცლელად.
გიდლის მცლელი სარჩაროდ ჩა-
მოართმევს სავსე გიდელს და მღუ-
ცელის კარიგლით, თან დაატანს
სიტყვებს: „შვიდობით ჩამოი“.

აგუნაი ნ. აგუნაის გადაძახება.

აგუნაის გადაძახება იცოდნენ
კალანდა სალამოს. ათ-თხუთმეტ-
ოცი კაცი მოიყრიდა თავს, გობზე
დააწყობდნენ ღორის თავს, ხაჭა-

პურს, ღვინოს, შეიტანდნენ მარან-ში და დადგამდნენ საწნახელთან. ერთი მოღეჟსე, რომელსაც ბავ-შვი ჰყავდა მოკიდებული ზურგზე, ურაკუნებდა საწნახელზე ღორის თავს (დანარჩენებიც ურაკუნებდნენ, რაც მოხვდებოდათ ხელში: ცულის ყუას და სხვ.) და გადაიძახებ-და:

„აგუნა, აგუნა, გადმეიარე, ბახვი, ასკანა გადმეიტანე! ჩვენს მამულში ყურძენიო, სხვის მამულში ფურცელიო. ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრე-შუმი (ჩერიე და კვირისთავი), სხვის ქალებს ძილი და ვირის-თავი...“ და სხვ,

მოღეჟსე რომ დაამთავრებდა[■] დანარჩენები ერთხმად დასძახებ-დნენ: „აგუნააა, უუუ!“ დასცემ-დნენ ყიჟინას და შემდეგ მოსთლიდ-ნენ ღორის თავს, სჭამდნენ ხაჭა-პურს და დაღეღდნენ თითო-ორ-ორ ჭიქა ღვინოს. ეს ჯგუფი ყვე-ლა მეზობელს ჩამოვიღიდა (შდრ. ჟღ. აგუნა ■

ადამკოკო მეტად დიდი ხნის ადამიანი.

ადგილობრივი ჯიში ნ. სიმინ-დის ჯიშები გურიაში.

ადრეილადი ცოტა ადრე.

აზაგება ხალხის ერთბაშად ამოდრავება. „რომ აზ ავებულა ამდენი ჯარი (ნ.), სა მიეა, ნეტაი?“

აზღარალება ბევრი ბავშვის ან წიწილის შეწუხებული ხმაურო-

ბა. „ისე აზ ღ რ ი ა ლ დ ე ნ, რომ წეილეს ყური!“ (შდრ. ჩუბ. ზრია-ლი, ბერ. სხრიალი).

ათავება გაწვდომა, ყოფნა, საკმარისობა. „რა უუთ ავდებ ა მდონ სულს?“ — რა გასწვდება, რა ეყოფა ამდენ სულს?

1. ათოკვა თოკის დაკეცა. „მაი ბაწარი ათოკე და შეინახე, თუ ძმა ხარ“.

2. ათოკვა გზისა დიდი მანძი-ლის გავლა ჩქარი სიარულით. „დღეს რომ ჩვენ გზაი ავთო-კეთ, კაი ორი დღის სასიარულო იქნებოდა“.

აიზი სათაკილო, სასირცხოსა-ვით (შდრ. ჭყ.).

აკატრებული კატარაყრილი (ნ. კატარი).

აკაფსვა, აჩარიჭვა დაკლული საქონლის ასო-ასო დაკრა, აქნა.

აკვარკვალება ნ. კვარკვალი.

აკვაჭვა ურიგოდ წამოწოლა (პირალმა, ფეხებაწეული).

აკვიწინება ამოჩემება, ათვალ-წუნება. „ისე ეიკვიწინიეს სა-ცოდავი ციცი, რომ რა ექნა, არ იცოდა“ (შდრ. ჭყ. აკვიწინება, საბა აკინქილება).

აკმაკურის თქმაი (ქ. ლ.) კა-ტას ყურებში ჩაავლებენ ხელს და იძახებენ: „აკმაკურს გათქმ-ეფ“ — გათქმევიანებ იმას, რაც მე მინდა ვთქვა.

აკუნკლა უშნოდ, ულაზათოდ წამოდგომა. „გვეიხედე და ეიკუნკლა ნიკოლოზაი ამ ჯარში (ნ.) და ქი არ წამეიწყო მისებურა!“

ალაფასტური ვაზის ჯიში. ეს ჯიში სხვაზე უკეთ უძლებს სოკოსებურ ავადმყოფობას. ამის გამო იგი მეტად გავრცელდა გურიაში ღვინოს მუქ-წითელს და, სხვა ჯიშებთან შედარებით, მდარეს იძლევა. ვაზი ძლიერ ხარბად იზრდება და ნაყოფიერიც არის. ლერწები მსხვილი, მოწითალო-მიხაკისფერი, ოდნავ ზოლებიანი, პაწაწინა ლაქებით დაფარული აქვს; ფოთლები დიღია, სამეური, ოდნავ ნალრებიანი, მცირედ დაკბილულკიდეებიანი. ფოთლის ზედაპირი დახვეწილია, ქვედა გინგლიანი; ყუნწი მსხვილი და მოწითალოა; მტევანი საშუალო სიდიდისა, ცილინდრისებური მოყვანილობისა; ლერწი (ნ.) აქვს გრძელი; ნაყოფის ფეხი—მოკლე, მსხვილი, ნაყოფი—შავი ფერისა, საკმაოდ მსხვილი, ცოტათი მოგრძო; ნაყოფის კანი—სქელი; გული—ზომიერად წყლიანი, მაგრამ სხვა გურული ჯიშის ყურძენზე ნაკლებ გემრიელი. ამ ჯიშს აშენებენ საჯავახოს, ციხესა და სხვ. კუთხეებში (ნ. ქყ., ქლ.).

ალაზანი ნ. სიმინდის ჯიშები გურიაში.

„**ალაღ-ვაღლი**“ ძველი, ორმუხლიანი ფერხული (ნ. სიმღერები გურიაში).

ალაღია-მაღალია მუცულატკე-ნილი ბავშვის შელოცვა იყო:

„**ალაღია-მაღალია**, ჩემი სახელი წამალია.

გორსა, გორმაღალსა ძალლი მყავდა თაუშია (ჩაუშია?),

ის ყურდგელსა წაუსია.

შენ, ბატონო სატკივარო, ჩემი ავადმყოფი (სახელი, მაგ., ვანო) გაუშვია“.

ამ დროს შემლოცავი ხელს უსვამდა და ფრთხილად უზღელდა ავადმყოფს მტკივან ადგილს.

ალანცარიე (ზემო გურ. ქ. ლ.) ზარმაცი, საქმეს გულს რომ ვერ უღებს.

ალაო უხვავო, უბარაქო, არანოყიერი. „ქვილის ღომი ალაოა: ქე მოვაშიეფეს ერ საათში.“ (შდრ. ჩუბ.).

ალაქვერაი (ა. მ.) უხეში, ტლანქი, თაუშუქავებელი (შდრ. ბერ. ლეძვერა, ქლ. ალიქვერა).

ალაქაჩაი (ა. მ.) ალაგ-ალაგ, უსწორმასწორად ამოსული ნათესი.

ალგუნაი დაუღვეარი, უთავბოლო.

ალენჯაი (ზემო გურიაში ალინჯე) მაღალი სარეველა ბალახი.

ალერდული ბალახი მაღალი, ძნელად გასავლელი ბალახი (შდრ. ჩუბ., წერ.).

ალი (ქ. ლ.) სახის გამომეტყველება. „ალში დედამისს გავს“.

ალიზა მიწა წითელი მიწა (თიხა), რომელსაც გურიაში ქვეერის

დასაგოზავად, საწნახლის გასაგლე-
სად ხმარობენ (შდრ. საბა ალი-
ზი).

ალინჯე ნ. ალენჯაი.

„ალი-ფაშამ გვილალატა“ ქო-
ბულეთური სიმღერა. მღერიან გუ-
რიაშიც. სიმღერა დაკავშირებულია
1878 წლ. რუსეთ-თურქეთის ომის
დროს კვირიკეთის ბრძოლასთან
და ალი-ფაშა თავდგირიძის სა-
ხელთან.

„ალი-ფაშამ გვილალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეთში;
იმან ფულეები ეილო,
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში.
კაი არც მას დამართია:
ბაწრით ჩეითრიეს გემში.
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსას გაღმა, ბაილეთში“.

(ნ. სიმღერები გურიაში).

ალკაპი ხის აღვირი, ალიკაპი;
ალკაპის ადება გადაც. ხმის
გაკმენდინება, ლაგამის ამოდება.

ალმასაი ნ. ძაღლის სახელები.

ამგავანი აგებულება (სხეულისა);
ძალ-ღონე. „იმდენი ამგავანი
არ შესწევს და რაღას ექვილაჩე-
ბა!“ (ნ.).

ამიანი (ა. მ.) ბადე-ტომარი.

ამოლაშთვრა ტალახში ამოსვრა;
ამოლაშთრული ტალახში ამო-
სვრილი (შდრ. ბერ. ლართხვა,
ლაშტვრა).

ამოლიშხინება მცენარის უხ-
ვად (ხარბად) ამოსვლა. „ძალიან

არ ამოლიშხინებულა პრასა
ჩვენ ბახჩაში!“

ამონოყვა მცენარის გაყვითლე-
ბა ნიადაგის კაობიანობის გამო
(შდრ. ჩუბ. ნოყა, ბერ. ნოსტ-
ვა).

ამოჟღღემა ნ. ეღღემა.

ამორანქვა ნ. ამორაქვა.

ამორაქვა (ზემო გურიაში ამო-
რანქვა) წყლის ამოსხმა, ამოწურვა
(შეიძლება გობის, ჯამის ან სხვა რამ
ჭურჭლის ამოკვრითაც).

ამოტიკვანა ნისკარტით ამოწი-
წვანა. „მაკიდო ქე ამუუტიკნი-
ენ ქათმებს ბახჩაში“.

ამოქვანქვლა ნ. ქვანქვლა.

ამოჩირჩხლული ძალიან სქლად
ამოყრილი; როცა მუწუქს ბევრი
თავი ამოუჩნდება, იტყვიან: ამო-
ჩირჩხლულაო.

ამოხვარხვალეება ნათესის უკ-
ლისად და სალად ამოსვლა. „ისე
ამოხვარხვალეებულა, რომ
გული გაგინათლდება“.

ამფერუმ ყოჩაღ! (შდრ. ჩუბ.
აფერიმ).

ამწატეხული ძალიან ამყავებუ-
ლი, წამხდარი (ნ. მწატე).

ანაგერაი ნ. ნაგერაი.

ანკრათ ქორად. „მაგას მეც
ქე მოკვარი ანკრათ ყური, მა-
რაკი არ დამიჯერებია“.

ანწლიკაი დაბალი სარეველა
ბალახი, ანწლისგვარი.

აპატუაი (ა. მ.) კქუანაკლები.

არამც ნუმც, ნურც. „არამცაა მისი თავი“; „არამც გყოლია კაცს მაგისთანა მოყვარე“.

აროხვა ხის მასალისა და საზოგადოდ მაგარი რამეების ურიგოდ დაყრა ერთმანეთზე შეწყობით. აქიდან: **აროხვილი** უშნოდ ნაგები (შდრ. საბა აჩხორვა).

არქი ნ. წისქვილის ნაწილები.

ასვარიე უწესრიგობა, ასვრილობა, არეგ-დარევა.

„ასლი და კვალი მამაა!“ სრულიად მამას ჰგავს, გამოკვეთილი მამაა შდრ. ჰყ. ალი-კვალი).

ატაკუტაი (ა. მ.) ყბადასალები.

ატკვაფშული ატკრეცილი, ასივებული, აბებრებული კანი, მაგ., დაწვის ან ავადმყოფობის გამო; შიგ სითხეა ჩამდგარი (ნ. ტკვაფში).

ატრიზავება სასაცილოდ აგდება (შდრ. ჩუბ. გატრიზავება).

აუვია ნ. სასიმღერო გასალებები გურიაში.

აფაკლება აფარკლება, მეტად აწითლება. „აი ბალანაი აფაკლებული მეჩვენება რაცხა“ (შდრ. საბა ფაკლა).

აფოლიანცება ნ. ფოლიანცი.

აფრაქათ (ქ. ლ. იხმარება მხოლოდ ამ ფორმით) მრუდედ, შემოლილად. მაგ., „აფრაქათაა

კქუაზე“ (შდრ. საბა აფრაკი და დააფრაკება).

აფურფუშება ნ. აღუება.

აფხაზი: აფხაზიგით ჯდომა ცხენზე 1. კარგი ცხენოსნობა; აფხაზია კარგი ცხენოსანი; 2. ჩრდილოეთის ქარი, რომელსაც ჩვეულებრივად წვიმა მოსდევს; ქრის აფხაზეთის მხრიდან.

აქაია ნ. სასიმღერო გასალებები გურიაში.

აქეთრელე ცოტა აქეთ.

აქოთება აწყრალება. ცუდი სუნის დაყენება. აქიდან: **აქოთებული** აყროლებული.

აქაროდეა ნ. ქოროდინი.

აღერღვა ამრეზა; მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ადამიანი ავად გახდომის წინ. აქიდან: **აღერღილი**. „აი ბალანაი ისეა აღერღილი, რომ ნამდვილათ გააციებს“.

აღილული მრავალი ღილით აბნეული (ნ. გურული ქალის ტანსაცმელი).

აღმა-დაღმა უთაებოლოდ, უგზო-უგელოდ, ზევით-ქვევით.

აღუება, აფურფუშება აღვივება, აფუება (ნ. ჩუბ. ლვიება).

აყულარდა (ქ. ლ.) აყლაყულა.

აშვანტალებული ნ. შვანტალი.

აშვატიება გულზე მიხუტებით აყვანა. „ეიშვატიე მამი ბალანაი

და გუუდქი გზას! „რალა დროის მაგის აშვატიება აწი“.

აშვება ტანში: ევიშვი ტანში გულს მომეშვა. „მაგ ბალანაის მოკეთება რომ შვეიტიჟე, ევიშვი ტანში“.

აჩარიქვა ნ. აკაფსვა.

აჩუაი ცხენი (ბავშვის ენაზე).

აჩხიბარკული უშნოდ დაწოლი-ლი (უფრო ხშირად გამხდარ ადამიანზე იტყვიან). „რაფერ აჩხიბარკულა აი საცოდავი!“

აცუცქვა ნამცეცების აკრეფა (შესაქმელად). „რაფერ უუცუცქავს ყორიფელი ამ დაღუპულ თავგს!“

აწი ამიერიდან, შემდეგში. „ალარვიზამ აწი“.

აწონ-დაწონაი სათამაშოა სახელდახელოდ გაკეთებული. გრძელ ფიცარს შუა ადგილით დადებენ მორზე. ფიცრის თავსა და ბოლოზე შედგება თითო ბავშვი: ერთი რომ ზევით აიწეეს, მეორე ქვე-

ვით დასწონის და ასე თამაშობენ (შდრ. ბერ. ოკაწონა).

აქლიკული მეტად მაღალი, კოჭმაღალი, ტანაყრილი.

აკოპნ(გ)ა უტოტო ხეზე ასვლა ცოცვით, ხელ-ფეხის ოსტატური ხმარებით. „რაფერ ელანძე აკოპნა ამ ბიჭმა აგი აშვანტალეშული ხეი“ (ნ. შვანტალი).

ახაშრული ასხმული გრძლად, აკიდოსებურად (ნ. ხაშარი 2).

ახიფვა დასაქსელავად დანზადებული ძაფის ჯვარედინად აკრეფა.

ახოხორიქება ნ. ხოხორიკ.

ახტაუჯა ნ. ახტაჯი.

ახტაჯი, ახტაუჯა (ქ. ლ.) გადაქარბებით თამაში ქალი, ახტაჯანა.

აჯაბაჯა, აჯიბაჯა სიარული ფეხებგაშლილი სიარული, აქითიქით გადახრით (შდრ. ბერ. აჯაბაჯა).

აჯიბაჯა ნ. აჯაბაჯა.

აჯიბექირა (ქ. ლ.) უშნო, მოუქნელი.

ბ

ბაბაგინი, ბაგესწორი პირსავსე, ლაღაგადასმული; მაგ., ფქვილით პირამდის სავსე ქურქელი. აქიდან: **გაბაბაგინებული (ნ.)**.

ბაბნიკი ერთ ადგილას ბეკნა, ტყეპნა. „დეიწყებს ახლა მაი მისებურა ბაბნიკს და ქე დუურჩება გუუკეთებელი საქმე“.

ბაგესწორი ნ. ბაბაგინი.

ბადექონი შიგნეულზე მოდებული ქონი.

ბადუნი (ა. მ.) ბლაკუნი (ნ.); უშნოდ, უაზროდ სიარული; ებადუნება უაზროდ დადის.

ბადურაი ნ. ბადური.

ბადური, ბადურაი ბადისებურად ნაქსოვი რამ: წამოსასხამი, ლარი (ნ.) და სხვ. (ნ. ტანისამოსი მამაკაცისა ძველად).

ბაზე სიმწითეში შესული; მაგ., „ბაზე ლობიე“, „დაბაზებულო ლობიე“ (შდრ. ქ.ყ. ბაზი).

ბათურაი მსუქანი (მაგ., ბავშვი, ლექვი).

ბაიკოზი. მაგარი თუთუნი.

ბაინდურა, ბაინდურაი უხეირო შეხედულობისა; უხეიროდ მოსიარულე კაცი.

„ბაკიბუკი“, „ბაკიპუკი“ ჩექმა (ბავშვის ენაზე).

ბალაბოშა ბალახბულახი; ბურბუშელა. აქიდან: ბალაბოშაი, ბალაბუშაი დაუდევრად, ზღვებულად მოსაქმე.

ბალაბუშაი ნ. ბალაბოშა.

ბალანგარაი (ქ. ლ.) უსუფთაო, უწესრიგო (შდრ. საბა ბალანგარი).

ბალახტარაი (ქ. ლ.) საქმის ნაჩქარევად და უხეიროდ გამკეთებელი. „ყოლიფერს შიბალახტარეფს“.

ბანი ნ. სიმღერების ხმები გურიში.

ბარამბუაი ძაფის სახვევი (შდრ. ბარამბა).

ბარბალი ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაურობა, ბრიალი, პრიალი. „ცეხლის ბარბალმა გამოალევიდა“. აქიდან: „აბარბალე ბაპრიალება“.

ბარელმაი ბარელა.

ბარჩხალი მარჯვე, ყოჩალი.

ბაქურა'ი მსუქანი ძაღლის სახელი (შდრ. ბათურაი, ნ. ძაღლის სახელები).

ბაშტაობა ჩეილი ბავშვის ხელში აყვანა და მასთან თამაში, გართობა (შდრ. ქ.ყ. საბაშტაო).

ბაშხათ ფართოდ, განივრად. „უყურე მაგ გადაყრუებულს, რავა ბაშხათ ჩამჯდარა ახალგაზდებში!“

ბაწარი ნ. საომარი იარაღები გურიში.

ბგოვა დასევა, დახვევა; ებგოვა ესევა, ეხვევა (ქიანქველა, ბუზი ან სხვა მწერი რომ მიესევა რასმე სქლად).

ბე! ჰო, როგორ არა, დიახ, რასაკვირველია. — ხალხი ბევრია ბახმაროზე? — კი, ბე!

ბეგთარი მაგარი, მტკიცე (ტანსაცმელი). „მაი დარაია ძან მაგარი გამოდგა, ბეგთარია, ბეგთარი!“ (შდრ. საბა ბეგთარი).

ბედგერაი უბედო, უიღბლო.

ბედოური ირონიულად ადამიანზედაც იტყვიან. — მაიც კი ბედოური ა! — არც მაია ბედოური, ოჯო!“

ბენდელაი ძაღლის ქირია; ამ დროს ძაღლი ბანდალით დადის (შდრ. ბერ. ბანცალა).

ბენძეხი უზნოდ მოყვანილი,

ტლანქი ტანის ადამიანი (შდრ. ბერ. ბენძლ).

ბერვა გალიზიანება, გახელება. „მაიციყაი რომ ვარზეა: არ წაეზობიო, ვინცხა უბერავს ალბათ!“

ბერსელაი (ქ. ლ.) ბალახია ისლის მსგავსი.

ბერძულაი ბერძნული ჯიშის თხილი; მსხვილი, მაგარნაქუქიანი თხილი (ნ. თხილის ჯიშები გურიაში).

ბესალიკონი, დიდი ბესალიკონი დედალი იტყვიან დიდ, მსუქან დედალზე.

ბეკირაი უხეში, გაუთლელი.

ბეყერაი უშნოდ გასუქებულ-გაბერილი კაცი (შდრ. ბერ. გა-ბე-ყილი).

ბეჯითად ნამდვილად. „აბა, მოხვალ ბეჯითად?“ „ბეჯითად მაგის წაღებულა“.

ბჟიაკი წიწილების მოშლილი ხმა, როცა მკბენარი აწუხებს, ან კრუხი შორს არის და მარტო რჩებიან (შდრ. ბერ. წიაქი).

ბიღინაი მოსულელიო.

ბიცი კეცზე გაცივებულ-გამაგრებული მქადი; აქიდან: გაბიციებული (ქლ.).

ბიჯგი საყრდენი, ბრჯენი (შდრ. ბერ. ბიჯგ: და-ბიჯგება, სა-ბიჯგარა/ე-ჟ).

ბიჯიკინაი ჯნანთითა ავთბაჟი ბიჯგისაგან: პატარა ბიჯგი (ნ.).

ბლაყვი ჩოფანო, შეუძლო, გაუგებარი (შდრ. ბლაყუჩაი).

ბლაყნა: იბლაყნება უშნოდ ილუქება, ხარბად, უწესოდ ქამს. „რაფერ მუაშიეე ასე აი ბალანაი, ციე მქადს რომ იბლაყნება“.

ბლაყუჩაი ბლაჩუა, უხერხული, უუნარო.

ბლაცუნი, **ბადუნი** ტანმოშლით, უშნოდ, უაზროდ სიარული (შდრ. წერ. ბლაყუნი).

ბლუყუნი, **ენაბრგვნილის** ლაპარაკი (ნ. ბერ.).

ბობოლი აბრეშუმის ქია; მატლი (შდრ. საბა).

ბობორჩისკაი 1. ერთგვარი მწერი; 2. ვადაც. სუსტი, ულონო ადამიანი (შდრ. ბერ. ბობორჩაჟ).

ბობოყვაური მეჩხერკუბერიანი, მსხვილთაველიანი ყვითელი ღომის ჯიში (ნ. ღომის ჯიშები გურიაში).

ბოვშის მოვანება ნ. მოვანება.

ბოილი ბორიალი, უსაქმოდ, უაზროდ ხეტიალი.

ბომბო დაბეგვილი კანაფი, ძენძი.

ბონდო ხმელი ბალახბულახი, საგანგებოდ მოგროვილი დასაწევად.

ბონძვერაი ბანჯგელიანი და უსუფთაო (ძალლი). ვადაც. ადამიანზედაც იტყვიან (ნ. ძალლის სახელები).

ბორბალი ნ. წისქვილის ნაწილები.

ბორბოცი ენაბრგენილის ლა-
პარაკი (შდრ. ჩუბ. ბორბოცი).

ბორგისი ავეჯის — მაგიდის, სკა-
მისა და სხვ. — რყევა ფეხების უს-
წორმასწორობის გამო.

ბორდოხი უსიამოვნო, ბოხი
ხმით აჩქარებით ლაპარაკი; აქიდან:
ბორდოხოხი.

ბორჯ ერთგვარი ზნე (ნ. ბო-
როიანი).

ბორჯიანი კაცო, რომელაც ერთ
აზრს, ერთ საქმეს ვერ შერჩებად.
ხშირად მოულოდნელად და უმია
ზეზოდ იცვლის სოლმე გუნებას-

ბორჯალი (ქ. ლ.) დიდ-დიდი ნა-
ტეხი ყინულისა.

ბოსლობა დღესასწაული იყო
უწყებდა ხორციელას ხუთშაბათს,
დიდმარხვის წინ. ყოველ ოჯახში
ლორის ქონიან მკაღს აცხობდნენ,
რისთვისაც საგანგებოდ ინახავ-
დნენ და ახმობდნენ ლორის ქონს.
შემდეგ ლოცულობდნენ, ევედრე-
ბოდნენ ილორის წმ. გიორგის;
„ილორთა ხორციელო, საქონელი
გაგვიმრავლეო“. ერთი მლოცველ-
თავანი იტყოდა:

— ბოსლო, შინა ხარ?

— შინა, ბატონო! — უპასუხებდა
მეორე.

— ცხვარი რაეთი გყავს?

— ასი, ბატონო!

— ძროხა რაეთი გყავს?.. და ამ-
გვარად ეკითხებოდა სხვა შინაურ
პირუტყვებზედაც.

სალამოს უხვად ჩაყრიდნენ ბა-

გაში კაკალს (ნიგოზს). მეორე დი-
ლას კი იწყებოდა ბავშვების შე-
ჯიბრება: ყოველი მათგანი ცდი-
ლობდა დაესწრო სხვებისათვის ბა-
გიდან კაკლის ამოკრეფა (ნ. ბერ.;
შდრ. ესომ ქმ. ჯანაშვილი). „ახა-
ლი წელიწადი და ბოსლობა რაქა-
ში“: გაზ. „ივერია“, 1890, № 2,
გვ. 3; ქლ.).

ბოღრო (იმერ.) ნ. ბლორო.

ბოჩინი უაზრო და უშედეგო
საქმიანობა.

ბოჭებუა ქათმის წვრილი ტილი.

ბოჯგა ღომის ჯიში გურიაში
(ნ.): თაველის ბოლო ორ, ზოგჯერ
სამ ტოტად აქვს გაყოფილი: კარგ
ღომს იძლევა.

1. ბუტი ბატის წიწილი (შდრ.
საბა).

2. ბუტი უმწითარი, წვრილი
მარცვალი.

ბუჯო დაუმწიფებელი, უგე-
მური. „შარშან ბუჯო ყურძენი
იყო“ (ნ. ბუქტურაი, ბუქტურე
ღვინო).

ბუქტურაი, ბუქტურე ღვინო
მომეაყო, ულონო ღვინო.

ბუღალი ქლალი, ღია ნაცრის-
ფერი.

ბრავაწობა (← მრავალწლობა)
შობის წინა დღის დღესასწაულს
ეძახდნენ გურიაში. ამ დღეს საშო-
ბაო სამზადისისათვის საგანგებოდ
ანთებდნენ წითლის შეშას.

ბრაზი ძალღის ავადმყოფობა,
რომლის დროსაც ძალღს ახველებს

(აბრაზებს). ადამიანზედაც იტყვიან „ა ბ რ ა ზ ე ბ ს ო“ განუწყვეტელი ხველის დროს (შდრ. საბა).

ბრანდა 1. ცუდად კერვა, ბანდავა; 2. მიქარვა, მიღებ-მოდებით ლაპარაკი. — რას ბრანდავ, კაძახო? — ქალბანს ებრანდავ, ბატონო! (ხალხური სახუმარო თქმა: პირველ შემთხვევაში „ბრანდა“ — მიქარავ; მეორეში: „ებრანდა“ — ვკერავ).

ბრაქვა ტრაბახობა, კვებნა, ბაქიობა. რას იბრაქები? — რას ტრაბახობ?

ბრინჯული/აი ხაქაპურისებრი ნამცხვარი: პურის ფქვილს კვერცხის გულსა და წყალში ზელენ, კვერცხში ჩვილი ყველია აზელილი. ზოგჯერ ყველის მაგიერ მონარშულს, შაქრით შემზადებულ ბრინჯს ურთავენ.

ბროლია, ბროლიე მთლად თეთრი ძაღლი (ნ. ძაღლის სახელები).

ბრუშუნი უთაებოლოდ და უზომოდ ლაპარაკი.

ბ'რ'ძნა ცრუმორწმუნეობაზე და მყარებული შიშის გამო რაიმე საქმის არქმნა, ან სიტყვის ართქმა. ვისაც ძმა ჰყავდა, ორშაბათს და ოთხშაბათს თავის დაბანას იბ'რ'ძნი იდნენ; ორშაბათს შინიდან გადარებას იბ'რ'ძნი იდნენ; სიტყვა „გველის“ ხმარებას იბ'რ'ძნი იდნენ. ამბობდნენ „უხსენებელიო“; ვისაც აბრეშუმის ქია ჰყავდა, „ქიანკველის“ ხსენებას იბ'რ'ძნი იდნენ — „შავფეხას“ ეძახდნენ: „მე-

ლა მიეს“ ოთახში შემოფრენას იბ'რ'ძნი იდნენ და სხვ. (შდრ. ბერ. ბრძნ. და მზნა, წერ. მზნილობა).

ბუბუნაი ენა ტკბილად, სასიამოვნოდ მოსაუბრე ენა.

„ბუღრააშ - ბუღრააშ“ კრუხს უხმობენ, როცა უნდათ ბუღრეში ჩაჯდეს.

ბუზუნი ნ. სასიმღერო გასალებები გურიასი.

ბუნდრუკი, ფუნდრუკი, ცუნდრუკი უხეიროდ ხტუნვა. და ბუნდრუკობს დასეირნობს, დახტის... (შდრ. საბა ფუნდრუკი; ქლ.).

ბუჟება ცოტათი შეცივება (შდრ. ჩუბ. ბუჟი).

ბუჟუჟი უხვად გაშლილი ყვავილი; გაბუჟუჟებული ვარდი უხვად გაშლილი ვარდი (შდრ. საბა, ბერ.).

ბურგალი თავაშვებული თამაში. ბურგალობენ თამაშობენ (შდრ. ქყ. ბურქალი, ბურხალი).

ბურღლაში დაუნდობლად ხევაგლეჯა (მაგ., ჩხუბის ან ჭიდაობის დროს). აქიდან: გაბურღლაშება. გააბურღლაშა ბურღლაშად აქცია, დაფხრიწა, დაგლიჯა.

ბურული ისლით დახურული ნაგებობა (შდრ. ბერ.).

ბურღავაი ფართოფოთლებიანი მცენარე (ბალახი); ფოთლები გოგრისებური აქვს (შდრ. წერ. ფურღვენა, ჩუბ. ბულლო).

ბურჩხი თხილის ქურჩელა, ჩენ-ჩი.

ბურძღალი მარცვლებგაცილილი ყურძნის მტევანი (შდრ. საბა ბურძღენი, წერ. ბოძონძი).

ბურჯგვანა ხელით ძებნის დროს ნივთების არეგ-დარევა სკივრში, განჯინაში და სხვ.

ბუტია/ე ქათამს რომ ყურებზე ბუმბული სქლად ექნება დადებული და თავდიდად მოჩანს, ბუტიეს ეძახიან (ნ. ქათმის სახელები).

ბუღავაშლი (ქ. ლ.) დიდი, წითელი ვაშლის ჯიში.

ბუშკენა რჩოლა, რქენა, რქებით დაძკერება, ბუსკენა.

ბუშკაბი წერილი ეკლებით შემოსილი რამ, მაგ., წაბლის ბუდე (შდრ. საბა ბუშკიერი).

ბღეზი: ბღეზი ძალი ძლიერ ავ ძალზე იტყვიან (შდრ. ჟღ. გაბღეზებული).

ბღეჯელი 1. ხბოს ბღეჯილი. 2. ბავშვის თავშეუკავებელი, ხმა-მაღალი ტირილი. „რას ბღეჯელობ ამხელა კაძახი!“ (შდრ. ქუ. ბღეჯელობა).

ბღორა, **ბღოჭი** (იმერ. ბოლორო) დიდი ღრუ, ფულურო.

ბღოტალი მალლობიდან ან ხიდან გაქირევებით ჩამოსვლა, სხეულის დაკაწვრითა და დაბეჭვით (შდრ. ჩუბ. აბლოტება და ბლოტვა).

ბღოჭი ნ. ბღორა.

ბღოჭინი (ქ. ლ.) უსიამოვნო-მაღალი ყვირილი. „ხარი ბღოჭინობს“.

ბღუნკი ნ. მოზღუნკული.

ბ

გაღმასებული მეტად გაღესილი.

გაამინება დათანხმება, დასტურის დაცემა დაშოშმინების მიზნით (უფრო ბავშვისა). „ბაღანას რომ ყოლიფერს გუუამინებ, ქევიგდებს თლა თავს!“

გაბაბაგინებული ლაღაგადანმული, ბაგესწორი. „ქტილით გაბაბაბაგინებული კოთხო წვილა და ჩემდა ჩენჩილაი (ნ.) მუუტანია იმ ციკას“ (ნ. ბაბაგინი).

გაბარგაღებული გაბეკნილი-დატყენილი თოვლიანი გზა. „გზაი გაბარგაღებულია და ქე ბუუღექი, ძმაო, აწი!“

გაბაჯიკინება ფეხისა ფეხების გაბოტება ერთი მეორისაგან შორი-შორ დადგმით (შდრ. საბა გაბაჯანი).

გაბგიაღებული ძალიან გასუ-ქებული.

გაბიციბული ნ. ბიცი.

ვაბიჯგული ერთ ალაგას უშნოდ გაჩერებული ფეხების გაბოტებით (უფრო ადამიანზე იტყვიან).

გაბოგირებული უადგილო ადვილას გადებული, გახირული (შდრ. ჩუბ. გაბოგირება).

გაბუღიანებული გაჩირადნებული, ძალზე განათებული.

გაბრეჭილი უშნოდ გამართული (შდრ. საბაბრეჭა).

გაბრიგანებული გაბერილ-გასივებული და თან გამაგრებული.

გაბრინჯული მეტისმეტად მორიდებულად, უხმოდ, უძრავად ყოფნა (ქალისა). „რაფერ სტუმარსავით გაბრინჯულხარ!“ (შდრ. წერ. გადაბრინჯვა).

გაბულიაიება გაწბილება, შორს დაქვრა; გამიბულთია უარი მითხრა, გამაწბილა, სიტყვა შორს ღამიკირა.

გაბუჟუჟებული ნ. ბუჟუჟი.

გაბურღლაშება ნ. ბურღლაში.

გაბურხალება სულის განაბვა (შდრ. ჟღ.).

გაგალება: ღვინო. გაგაღღა და ღვინოს სიმაგრე მოაკლდა (ნ. ვალა).

გაგოდვრილი გოდორივით გასივებული (კაცი).

გადაზავება 1. უხვად გადაყრა (ქურკელში ფხვიერი ნივთიერებისა, მარცვლეულისა); 2. მარცვლეულის ფართოდ გაშლა (გასაშრობად).

„ამ სიმინდს თუ არ გადაუშავებ, წელიწადს არ გაშრება“.

გაღაირებული სალანძლავი სიტყვა.

გაღაკვება ნ. გაკვება.

გადაკნავება ძალზე მისუსტება; გადაკნავებული ძალზე მისუსტებული, მიმკვდარი, მიღნავებული.

გალამინვა წყლისა წყლის სხვა მხარეს გადაშვება დაგუბების საშუალებით.

გაღამკედლული სახელდახელოდ ფიცრებით გაყოფილი საღვოში; გადატიხრული.

გაღანარვა გულზე სიამოვნების გრძნობა, გამოწვეული დარდის მოშორებით, შემსუბუქებით.

გაღანდარება მეტად გახურება. „კეცი გაგინდარებინა-მეტარი, ქე დაწვავს ჭადს“ (შდრ. ალავე. გადარდარება; წერ. დაღანდალება).

გაღაპირადებული (ქურქელი) მეტად საესე.

გაღარაზი კარის ან დარაბის დასაკეტი რკინის კაკვი.

გაღასაგდავი ნ. საგდულიაი.

გაღასაშობი სიმღერაში მუხლი, რომლის შემდეგაც მელოდია იცვლება.

გაღასხვაგნება სხვა ადგილზე გადატანა ან გადაყვანა. „გაღასხვაგნე და ვეღარ მიაკლოვენ ბანები“ (შდრ. ჟღ.).

გადაქარაფუჩება გადათქმა, ერთხელ ნაოქვამის გადაკეთება მიჩქმალვის მიზნით. „ერთი ქე წამოტოა და მერე ქე გადააქარაფუჩა“.

გადაყუღრება ნ. ყუღრება.

გადაჩინება ხველისა, სიცილის ან ტირილისაგან სულის შეგუბება (შდრ. ქყ. გადაფინება).

გადახვიწებული მეტისმეტად დაღლილ-დასუსტებული (ნ. ხაეწი); მოხავეწებული ნამეტანი მოხარშული.

გადახიშვა სახელდახელოდ შეკვება; შეკეთება გარღვეული ღობისა (შდრ. საბახიში; წერ. ხიმის ღობე).

გაზვირინებული უშნოდ გასუქებული.

გაზუთხული ლალად, გაშლით გაწოლილი.

გათვალული თვალნაკრავი, გალალული (შდრ. გათვალყბა).

გათითქინებული ნ. თითქინაი.

გათხლარწული, გათხლიარწებული თხელი და უღონო (მაგ. რაიმე ქსოვილი ან ტყავი).

გათხლიარწებული ნ. გათხლარწული.

გაკავება, გადაკავება გამაგრება, გამოლობვა (მაგ., ღობისა).

გაკაიპება შებოჭვა, გაბაწრვა. „გამაქაიპეს; გაკაიპებული ვარ“.

გალა ნელი, სუსტი; თხელი (იოქმის სითხეზე: მაგ., გალაღვინო სუსტი, ნელი ღვინო: გალაჩაი თხელი, ღია ჩაი).

გალანცული ნ. ლანცვა.

გალაღება სამაძღროდ ქმევა, გულის შეჯერება (ნ. მოლაღება გულისა).

„გალიაში რომ გაგზარდე“ სიმღერაა. (ნ. სიმღერები ვურიაში).

გალიპარდის პერანგი გარიბალდის პერანგი: მოკლე, წითელი ფერის ნაოქებიანი პერანგი, ზევით ჩასაცემელი; ხმარებაში იყო ვურიაში მე-60—70 წლებში.

გალუღვა შეშის ზედაპირის გააღვა ცეცხლის ერთბაშად მოკიდებით და სწრაფად ჩაქრობით.

გამერულვა სალომედ მოთოხნილი მიწის გასწორება მერულით (ნ.).

გამიორედება სიმინდის მეორეჯერ გათოხნა (შდრ. ბერ. მორადი).

გამირა, გამირი ბოძებზე გადებული ხე; დირე, რომელზედაც დასახერხავ ხეებს დებენ.

გამოზიჟმეტებული, გამოფიჟმეტებული გამხდარ-გაყვითლებული.

გამოგორჯოლება რისამე შოვნა, ხელში ჩაგდება. „უყურე ამას. რამხელა ხორცი გამოგორჯოლებია“.

გამოგუდული გამობერილი.

გამოზუზული ძალიან სწორად ვახომილი; (ნ. ზუზი; შდრ. ბერ. ზუსკი, ქყ. ღუსტად).

გამოთანთვლა ნ. თანთელაი.

გამოთევევა ნ. თევევა.

გამოკავება მიწისა სახნავი მიწის გამოხმობა გველვისაგან იმდენად, რომ ხენა-თესვა შეუძლებელია. „სახნისი კი აღარ ეკარება, ისე გამუჟუკავებია ამ გველვას მიწა“.

გამოკვანჭული კობტად გამოწყობილი (შდრ. ქყ. გამოკვანჭული).

გამოკვარაჭინებული გამოლამაზებული, გამოკობტავებული (შდრ. ბერ. კვარახხ; მო-კვარახჩინება).

გამოკობიტება გასაკეთებელი ნივთის წინასწარ შავად გაკეთება (შდრ. ჩუბ. კობიტი).

გამოკუჭვა კუჭ-ნაწლავის გამოცლა, გამოშიგნვა.

გამომანანება მანანა კიების (ნ. მანანა 2) ცალკე გამოყოფა, გამოკვება და საპარკე მოწყობილობის ცალკე გაკეთება მათთვის. „ცავ! რაფერ კარქა გამოგიმანანებია აი ბზლიტი ბობოლი“ (ნ.).

გამომჟრალი ნ. მოჟრობა.

გამოსახული პირწავარდნილი (მსგავსება). „ავი ბალანაი გამოსახული ღედაა“ (ნ. „ასლი და კვალი“).

გამოსკვინჩული მარდი, მალხახი, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟი (შდრ. ქყ.).

გამოტირილი მიცვალებულის დატირება იყო დასაფლავების შემდეგ 40 დღეზე ან წლის თავზე, შეტირილი.

გამოფიქინებული ფერ-უმარილით შეთეთრებული.

გამოფიქმებებული ნ. გამობიქმებებული.

გამოფქოვა ნ. ქფოვა.

გამოქუთვნა ნ. ქუთვნა.

გამოშუშება ავადმყოფის საბოლოოდ მოკეთების შემდეგ ლოგინში წოლა გასამაგრებლად, ღონის მოსამატებლად (შდრ. საბა შუშვა; ჩუბ. გამოშუშვა).

გამოშხაფვა (ქ. ლ.) წყველა: მოსპობა, ამოწყვეტა.

გამოხამება ზედმეტად მსუქანი ცხენისთვის საქმლის შერჩევა და ისე მოვლა, რომ დონეზე დადგეს და მსუბუქად სვლა შეძლოს. აქიდან: **გამოხამებული**. „იმ ცხენს ცხენი არ ჯობდა, გამოხამებული არ იყო თვარა“ (შდრ. საბა ხამი).

გამოხირეკებული გამოცარიელებული; ითქმის სახლზე, განჯინაზე, ზანდუკზე და მისთ. (შდრ. წერ. გამოხიკვნა).

მგაფრინვალე ჩიტო საფრენად მომზადებული. „რაფერ გამ-

ფრინვალე ჩიტსავეით გაქ
ფხარი აწყობილი (წასასვლელად“.

გამქანვარე წყალი მდინარე,
გაქანებული წყალი.

გამყვანი კრიმანქული.

გამყოზა (ქ. ლ.) გაჯდომა,
გაუღნთა, მაგ., წყლით (თიხის)
ქურკლისა.

განარვა ქურიდან ღვინის ამო-
ღების დროს ამოსაღები ქურკლით
ღვინის ზედაპირის შენძრევა, რომ
ბრკემ გვერდებზე მოიყაროს თავი
და ღვინო სუფთად ამოიღონ.
„ღვინო განარე და ისე ამეი-
ღე!“ (შდრ. ქყ.).

განდვადვა (ქ. ლ.), გაპრწყი-
ლება განაბვა, გაბურსალება (ნ.)
გაჩუმება. აქიდან: განდვალუ-
ლი გაჩუმებული, გატრუნული.

განთება სწრაფად გაკიდება;
გიენტო, გეენტო დიდის სის-
წრაფით გამოუდგა დასაწევად, და-
საქერად. „ისე გიენტო, რომე“...

განთქერა ხელით გაქვლეტა, გა-
ხეთქა, მაგ., ყურძნის მარცვლისა,
დამწიფებული მუწუკისა და სხვ.
(შდრ. წერ. გათქერა).

განჯეხება მაგრად გახირება,
გაქედვა.

გაორტაბახებული ნ. ორტაბა-
ხაი.

გამბკული წმინდად გაცრი-
ლი, გამტკიცული.

გაპიტკინებული ძალიან გასუ-
ქებული ან გამძლარი (შდრ. ბერ.
პუტკუნა).

გაპრწყილება ნ. განდვალვა.

გაუინულილებული, გაუირული-
ლებული წითლად გასუქებული
აღმზინი.

გაუირულილებული ნ. გაეინე-
ლილებული.

გაუღვართვა გაშხლართვა.

გარგალი ცეცხლის გუზგუზი.

გარგანი დიდი ჯოხი (შდრ. ძვ.
არგანი).

გარგეისი (ქ. ლ.) გარდამეისი
(ნ. ალაგ.), გაისის მომდევნო წელი.

გართვა უნარი ბევრი წყლის
შესმისა და ამის მიხედვით მოცუ-
ლობის მომატება ხარშვის ან მო-
ზელის დროს. „აი ღომი არ ვარ-
გებულა: სულ არა აქ გართვა“.

გაროფილი, გასიპული ძლიერ
გაყინული.

გარსი, გარცი კვერცხის ცილი
(შდრ. საბა გარსი).

გარუჯვა ნ. რუჯვა.

გარცი ნ. გარსი.

გარჯა ნ. რჯა.

გარჯლა ბარძაყის ზემო, შიგნი-
თა არე (შდრ. საბა გარჯლა).

გასანახავი გემოს გასასინჯად
აღებული ლუკმა ახალდამზადებუ-
ლი საქმლისა.

გასანსაღებული ძლიერ გა-

ლესილი, გამარბალებული (ნ. სან-სალა).

გასაქვა, საქვა უძრავად გაჩუ-მება, განაბვა, დამალვის ან ნაღი-რის დაქერის მიზნით. „ჩეისა-პა, მერე გადახტა და დეიქირა ჩიტი“.

გასართვა მოწესრიგება. იტყ-ვიან აბრეშუის კიის გამეჩხრები-სათვის: ჩელტზე დასმულ კიას უკანასკნელად გაამეჩხრებენ, მოა-წესრიგებენ, მოამზადებენ ცახის მისადგამად. „გავსართე ჩემი ჩელტები და ვეიშეი ტანში“.

გასიპული ნ. გაროფილი.

გასისინებული 1. მეტად გამძ-ლარ-გაბერილი, გაზიზინებული; 2. ძალზე სავე (შდრ. ბერ. ზიზინ).

გასლოგნილი გასუფთავებული, გასლექილი.

გატატკილი ფერმიხდილი (შდრ. საბა ჩატეტკილი).

გატაკვული ნ. ქათმის სახელე-ბი.

გატაკინებული განზმარ-გაღა-გრებულებით, დაუქმუქნელი.

გატუტული ქოსა (უწვერ-ულ-ვაშო), უბალნო, ბალანგაცენილი; გაპუტული.

გაფანჩხალება ნ. ფანჩხალი.

გაფეთვა კარის სწრაფად და ფართოდ გაღება. „რაფერ გაგი-ფეთიათ ყველა კარები“ (შდრ. საბა განაფეთენეს).

გაფეთქება ჯოხზე მიბმული ჩი-ტის ერთ ადგილას აფრენა (ჩიტს უფეთქებენ მტაცებელ ფრინველებს: მიმინოს, ქორს და ამით ბადეში იტ-ყუებენ). „უფეთქებდენ, ბატო-ნო, ქალიშვილებს ამ საცოლო ყმა-წვილებს!.. არ იყო აგი ლამაზი!“ (შდრ. საბა ფეთქა, საფეთქი).

გაფილევებული გამეტებით გა-ხეული, გაფხრეწილი, გაკვეთილი.

გაფორმება, **ფორმოზა** გაპრანქვა. „ფორმოზს მაგი, თვარა ისე უნდა, რომ ორივე ხელებით“; **გეიფორმა** გაინაზა, გაიპრანქა-

გაფოფვრა

გაფოფვრილი } ნ. ფოფვრა.

გაფრთხნილი გართხმული, გა-შოტეილი, მთელი სიგრძე-სიგანით გაწოლილი.

გაფრიოდაი მეტად სუსტი ავე-ბულების ადამიანი.

გაფურცვლა 1. გაზაფხულზე ფოთლების გაშლა; 2. ფურცლები-საგან გაცლა ხისა; 3. ქურდულად გაპარვა. „რაფერ გეიფურცლა კაცმა რომ ვერ დეინახა“.

გაფჩენა ნ. ფჩენა.

გაჭუცული (ა. მ.) გაეშმაკებუ-ლი, სიყალბეს შეჩვეული.

გაყოლა: „ერი გაყოლა“ ერ-თი პირი, ერთი მოყოლა. „ერი გაყოლა გზაი ქე გაგხვეი და მერმე ქე მოვტრუალი“.

გაშიშვა ძალზე გაძლომა, გა-ბერვა.

ვაჩიჩინება გაშტერება, გაოცება. „აი რომ გვეიგონე. გაეჩიჩინდი“.

გაცვეთა მიწასთან გასწორება, განადგურება. „გაჩუმდი, თვარა გაცვეთ ახლავე!“

გაციცამება ნ. ციმცამი.

გაციცქნილი მეტად გამხდარი და ფერწასული.

გაციქნთული სახეგამხდარი, სახე დაპატარავებული სიგამხდრისაგან.

გაძაგვრა (ა. მ.) მაგრად გაკვრა; ისე დაქერა, რომ გასაქანი აღარ ჰქონდეს. „გაძაგვრეს და წიყყანეს“ (შდრ. ჭყ. ძაგვრა).

გაძვერიე კალია, რომელიც ისლის ბუჩქებში დაძვრება (დაეო მას ძალიან ეტანება); გაძვერიე კაცი გაიძვერა.

გაწარმალებული ტყვილისაგან მოუსვენარი, გამწარებული.

გაწივება მეტად გახმობა. „ასე რამ გააწივა აი ქაღი, აღარც იქომა“. აქიდან: გაწივებული მეტად გამხმარი.

გაწიწილაკება, დაწიწილაკება (კოტ-კოტათი, ნაწილ-ნაწილ ჩამორიგება რისამე).

გაჭყაპვა გაჭყლეტა, გასრესა, გახნეჭა, ჩახნეჭა.

გახელთოფებულნი ხელში თოფ-მომარჯვებულნი.

გახუნხული გარუჯული, შავი. „გარუჯული, გახუნხული, კუთხეშია მიგდებული“ [ცოცხი] (შდრ. ჩუბ. გახუნხვა).

გელია, გელიე მგლის მსგავსი ძალლი (ნ. ძაღლის სახელები).

გესამანია მიხვედრილი აღამიანი, არაფერი რომ არ გამოეპარება.

გვეხა ვააყრია ძალიან მაგრად დაეცა. „ღუშუთა ფეხი და გვეხა ვააყრია მიწაზე“.

გზის ათოკვა ნ. ათოკვა გზისა.

გიდლის მცვლელი ვინც მალ-მალად ვენახში გიდელს უცვლის მკრეფელებს (სავსე გიდელს ჩამოართმევს და ცარიელს გამოუყიდებს თოკზე).

გიშერაი ნ. ძროხის სახელები.

გოდრვა: უგოდრა მაწყინარმა საქმელმა მუცელზე წამოხერა, უჯიჯგვა.

გომბაქი ქოფაკი (ძაღლი).

გომური ბოლოკი დიდი ბოლოკის ჯიში: დასავლეთ გურიის სოფ. გომში მოჰყავთ.

გონჯაო ყოფნა ავად ყოფნა.

გოჯო ბავშვის ავადმყოფობა, რომლის დროსაც ბავშვი მქლევდება, მუცელი უღდდება, ძელები უსუსტდება; ინგლისური ავადმყოფობა, რახიტი (შდრ. ჭყ.).

გოჩა, გოჩია, გოჩიე ძაბუნ ბერიკაცი.

გოჩია, გოჩიე ნ. გოჩა.

გულავარაი უგულოდ, გულდაუდებლად. „შენ თავიდანვე გულავარაი მიეკიდე მაგ საქმეს“.

გულავარდნილი გულდაუდებელი.

გულამაი, ღულამაი ძროხის სახელი.

გულბანდი მკერდი.

გულერო მართალი.

გულზე ვადანარვა სიამის გრძობა. „სელომ რომ ჩონგურზე დაალიდინა, გულზე გადამნარა!“

გულზე გადაცილება გადავიწყება. „სულ მახსოვდა და რაფერ გადამცილდა გულზე, ველარ გვეიკლიე“.

გულზე მოხვლა გულის შეწუხება, გულის წასვლა. „გულზე მთუ უვიდა და ქე დიეცა მიწაზე“.

გულზე წამოქეფება კამის დროს წამოხიდება.

გულთაზრი გრძნობით გაგება.

გულთათაი მასრების (ქილების) ჩასაწყობი ადგილი ჩოხის გულზე.

გულის გადატანება“ დარდიანი გულის რითიმე (საქმით, თამაშით) გართობა. „გულს ვატან“ — ვერთობი.

გულმა მრენჩხა გულმა გამკრა, გულმა ცუდი რამე იგრძნო (წინასწარ). „მის შემოსვლაზე ისე მრენჩხა გულმა, რომ ქე ვიცოდი, კას აფერს შეტყოდა“.

გულობაი ჩადაბლებული ადგილი, ტაფობი.

გულს გასვლა თავის აგდება,

გათამამება, გაგულდიდება (ცოტაოდენი გამარჯვებით). „ქება რომ დუშწყეს, გულს გევიდა და რაცხა გონია — ვარო“.

გულუმმა (ქ. ლ.) ღრმა (მაგ., თეფში, ტბა).

გულლამუტიანი ხარბისა დაუნდო გულის კაცი, გულჩახვეული.

გულშემპირვნე ერთგული, მოკირნახული, გულშემატიკვარი.

გულშიშველა თხილი ერთნაირი ჯიშის თხილი გურიაში: ცალი გვერდი არა აქვს დაფარული კაკალს ჩენჩით (ნ. თხილის ჯიშები).

გულცულაი ზღაპრული დევი, რომელსაც გულზე ცული აქვს ამოსული.

გუმური შუბი. ნ. საომარი იარაღები გურიაში.

გურგულაი გრგვინვა, ქუხილი (შდრ. ჭყ. გურგური).

გურგუხი მრავალი ადამიანის უწყსრიგო ხმაურობა და მოძრაობამლეღვარება.

გურგუში/აი კურკუმელა, დაგუნდავებული რამ; მაგ., „თავსაბანი მიწის“ გუნდა.

გურული ქალის ტანსაცმელი (ძველად, შეძლებულისა): ჯამფასის ნიფხავ-პერანგი; ყანაოზის კაბა გრძელი, ნაოქიანი, გულზე აღიღული (ნ.); წელზე გრძელი ბრტყელი აბრეშუმის სარტყელი, რომელიც კაბის კალთის წინა ნაწილს შუაში

ჩაპყვებოდა წელიდან ორთად; კერ-
მუხტის ქოშები; თავხურ-
ვა ანუ ჩიხტიკოპი; კაკვი-
ლები; თავსრაკი (თავსაკრა)
მოქარგული; გაურჯელი;
თვლიანი ქინძისთავი ზედ-
მიბნეული; ლაჩაქი (ლეჩაქი, თავ-
სრაკ-ლეჩაქი); ქათიბი (ბეწვიანი
ჩასაცმელი).

გუძუნძლო ფრინველის ზურგი
ფრთებისა და კურტუმოს შუა; ხერ-
ხემლის ეს ნაწილი ნეკნებია (ა)
(შდრ. ქყ. გუძუნძლო, წერ. ბუ-
ძუნძლო).

გუჯაბაზი შემწვარი გოქის შე-
ნელებული შიგნეული (შდრ. საბა,
ბერ. გუჯაბი).

გძლიურ სიგრძეზე.

ღ

დაბალი სადილობა ადრე სადი-
ლობის დრო (შდრ. მაღალი სა-
დილობა).

დაბგალული დაბლაგული, დაჩ-
ლუნგებული.

დაბედება დაკვებება, უსიამოვ-
ნო შემთხვევის წინასწარ თქმა, ახ-
დება თითქოს ამ თქმის გამო. „მე
მგონია, ამ ბალანას გააცივებს ამე-
ლამ. — რას უბედებ წინდაწინ!“

დაბესკნა დატკეპნა, მეტად და-
ტენა. „მე დაბესკნილი გა-
ვატანე და იმან ჩენჩილაი (ნ.) მო-
მიტანა“.

დაბზღნილი მრავალ ადგილას
გაბზარული.

დაბუნდრუკობს ნ. ბუნდრუკი.

დაბულაღება (ქ. ლ.) დაღბო-
ბისა და დუღილისაგან მარცვლეუ-
ლის გაყიენება, მოკულობის მო-
მატება.

დაბლუჯული დაბალი ტანის
უშნო კაცი.

დაგანვა განის ჩამოკლება, მაგ.,
ფიცრის დავიწროება, მიტულის ნაქ-
რის ჩამოხვევა სიგრძივ და სხვ.

დადეგი პირველი სექტემბერი
(ძვ. სტ.), როცა ხალხის რწმენით
მცენარეების ზრდა წყდება. დადე-
გის წინა დღით, საღამოს, ყოველი
ოჯახის ერთ-ერთი წევრი პირს
მეზობლებისაკენ მიიბრუნებდა და
ხმაბალლა წარმოთქვამდა: „ჯვარი
აქა, ჯვარი აქა, კუდიანებო! შენი
სვი და შენი ჰამე, ჩემსას ჯვარი და-
მიწერე; ჯვარი აქა...“ ერთ-ორს
გაისროდა კიდევაც თოფს. შედღუ-
ლი გეგონებოდა სოფელში. ბაჭშ-
ვებს შებეჭავდნენ, მიაწებებდნენ
საფეთქელთან თმებზე ცვილის გუნ-
ლებს. ყანებსაც ბეჭდავდნენ: ოთხი-
ვე კუთხეში შეაწებებდნენ ცვილით
სიმიინდის ღეროებს ან ლომის თა-
ველს ჯვარედინად (შდრ. ქყ.).

დაზავება მეტისმეტად დაღლა
(ფიზიკურად). „ისე დავზავდი,
რომ საძრაობა აღარ მაქ“ (შდრ.
ქყ. მოსავება).

დაზორვა ნ. ზორვა.

დათიქსნილი წვრილად დაქრი-
ლი.

დათოშვა კანზე წვრილი და ხში-
რი მუწუკების დაყრა. „რა დიემარ-
თა, ნეტაი, ამ ქალს, თელი პირი-
სახე რომ დუუთოშავს (დათო-
შვილი აქვს)“.

დათქვირიშინება ნ. თქვირი-
შინი.

დაკალიშება კალიშით დაწურ-
ვა (ნ. კალიში).

დაკანკალება ლოდინში დროის
უშედეგოდ დაკარგვა. „ერთი საათი
დავაკანკალე და არ იქნა მისი
მოსლა“.

დაკეკილებული ნ. კეკილი.

დაკემსვა ნ. კემსი.

დაკვირენჩხებული ნ. კვირენ-
ჩხაი.

დაკირკანტული ნ. კირკანტული.

დაკურკუტებული, დაკურკუ-
ტული ნ. კურკუტაი.

დაკურკუშება ნ. მოკურკუშება.

დალანძული, დაუურხული,
დანაზღული. დამძიმებული ნა-
ყოფის სიმრავლით (შდრ. ბერ.
დანძვა).

დაღელვილი დაბეცილი (ცემი-
საგან).

დალილაგებული დალურჯებუ-

ლი (სხეული): „თლა დალილა-
გებული აქ ზურგი“.

დალურსვა თვალებისა თვალე-
ბის დაბლა დაშეება უსიამოვნოდ.
„ხედავ, რაფერ დალურსა თვალის
მაგ ლორეჯამ (ნ.), ფული რომ შე-
ვესესხულე!“ (შდრ. საბა დალურ-
სვა, ბერ. ლურსვა).

დამანძილება (ქ. ლ.) ზრდის და-
სრულება. „დამანძილებული ხეი“ —
ზრდადასრულებული ხე.

დამგუნება თუთუნისა შეტეხი-
ლი თუთუნის ფოთლების დემა-
დემად (ნ.) დაწყობა და დადება
შეყვითლებამდე.

დამდიდრებული საცებით მო-
წეული, დამწიფებული, დაზრდილი
(მაგ., სიმინდის მარცვლები ტა-
როზე); დამდიდრებული პარ-
კი აბრეშუმის პარკი, იმდენად
დამთავრებული, რომ შეიძლება მი-
სი „გამოხეკა“ (ნ. პარკის გამო-
ხეკა).

დამჯიჭებული } ნ. კვიქვი.
დამკუჭებული }

დამტვრევა: დემეტვრა გაუ-
სწორებელი შეცდომა მოუვიდა უნე-
ბლივით.

დამუხლება დაჯდომით დასვე-
ნება სიარულში. „პაწას დევი-
მუხლეფ და ქე წამუალ“.

დამლიაგება გულხელდაკრეფა.

დამჭახება კირნახულის დაუმ-
წიფებლობა ცივი დარების გამო.
„წროულს მთის ყანები დამჭახ-
და“.

დანაბღული ნ. დალანძული.

დანა პირს არ უღებს მწუხარებისაგან სიტყვის ამოღებაც უმძიმს; კრიკა აქვს შეკრული.

დანარწყული დაქცეული, გაპარტახებული.

დანახელავებული კარგად, საგანგებოდ გაკეთებული. „ვო, რა დანახელავებულია აი დარაია!“

დანგალება ძალზე მითანება რაზედმე, თავის მითხება. „ქათმები არ დამიპურებია ჯერე და ტვინს ანგალებენ პარმალს“.

დანგრევა (ქ. ლ.) ბევრი წყლის დაქცევა უწყისოდ.

დანემსება სახელდახლოდ დამაგრება ნემსით, ნაჩქარევად გაკერვა. „ვერ დაანემსებებიე მამი პერანგი, თლა რომ შამოგხეცია ტანზე!“

დაპანტარიშებული, დაპინტარიშებული გარღვეული, ურიგოდ მიფანტულ-მოფანტული (მაგ., ლობე).

დაპინტარიშებული ნ. დაპანტარიშებული.

დაპიტვა მრავალ ადგილას დახეულის დაკერება.

დაპიტვიშება (ა. მ.) პატარ-პატარა ნაჭრების დაკერება.

დარბონვა ნახევრად გაცეხვა ლომისა.

დარეკა: დეირეკა, ხორცი დეირეკა გახდა, გამჭლევდა.

„ძალიან დარეკილხარ, ძამია!“ — ხორცი დაგიყრია, გამხდარხარ.

დარკილული რკილისაგან დარული ფიცარი (შდრ. საბა კრკილი).

დარნა ნ. დარნე.

დარნე, დარნა ღრმა ორმო, მოგრძოდ გათხრილი ჩასარგავად (შდრ. ჩუბ. დარანი).

დასალიერი უკანასკნელი პუნქტი, ბოლო; დასალიერს სულ ბოლოში. „თლა დასალიერს არ ყოფილა!“

დასდებლის კილო ნ. სასიმლერო გასაღებები გურიაში.

დასკიპარქული გამრუდებული, მიგრეხილ-მოგრეხილი, დანგრეული. „აქიდან და ქუთაისი დასკიპარქული გზა ვიცი“ (ხალხური სიმღერა).

დასორტვა თოვლის დაბეკნა დაშვანვის გამო.

დასულვა წაბლისა შესაწყავი ან მოსახარში წაბლის დასერვა.

დატეტკილი დანაყილივით, მეტად გაცეხილი (შდრ. ბერ. ტეტკვა; წიწკილა).

დატუკვა ტუკით ცემა. „რაფერ ქვეყნის საშინელათ დუუტუკავს იი გელი ამ გადარეულს“ (შდრ. ბერ. ტუკი).

დაფა ხელნაწერი ქალღლები ჩასაწყობი, რომელიც ორი ფიცარისაგან შედგებოდა. თითოეულის

სიგრძე დაახლოებით ერთ ალაბს უდრიდა, სიგანე— $\frac{3}{4}$ ალაბს. ამ ფიტრებშია ჩადებდნენ ხოლმე ხელნაწერებს. ფიტრებს საგანგებოდ ჩალილულ ადგილებში წვრილ კანათს გადაუქერდნენ და შეკრავდნენ.

დაფარიხება ნ. ფარიხი.

დაფარკალებული ლამაზად დაპობილი (შეშა).

დაფესვა შესაღებავ ძათს ან ქსოვილს შეღებვის წინ დაალბობენ წყალში, რომელშიაც ნიგვზის (კაკლის) ფესვები აწყვია. ამას ეძახიან დაფესვა.

დაფეშვა მსხვილად დანაყვარიანე (მაგ., ნიგვზისა), აქიდან: დაფეშვილი მსხვილად დანაყული.

დაფოტვრილი დარკილულივით (ნ.) დაფოტოროვებული.

დაფრანგული აგერ-ეგერ გალუნული.

დაფსება დაესება (დაქრობის, გაფაც. დალუპვის მნიშვნელობით). „დააფსე მაი ცეხლი და წამოი!“

დაფსებული დაესებული.

დაფურეშქული, **დაფურეშკული** დახეთქილი (კანი ხელზე, ფეხზე); **დაფურეშქული** ჭადი გამოცხობის დროს დახეთქილი მჭადი და სხვ.

დაფურცვლა ჭადისა კეცზე დაკრული მჭადის ფურცლით (ფოთლებით) დაფარვა. „მაი ჭადი კარ-

ქა დაფურცლე, თვარა ქე გეფესება ნაცრით“.

დაფუფხვა ნ. ფუფხი.

დაფუხული დაფეხვილი.

დაფჩილვა ნ. ფჩილვა.

დაფხოჭვა ნ. ფხოჭვა.

დაქალაბნვა დაქრთამვა.

დაქამული ნ. ქამი.

დაქარდული გრძლად დასერილი, დაჭრილი. „დაქარდული ხორცი“; „დაქარდული აქთლა ბარკალი (ქრილობისაგან)“.

დაქვარცხული ნ. ქვარცხი.

დაქიჩმაჩება ნ. ქიჩმაჩი.

დაქხიტება (ა. მ.) ცხვირის დაცემინება.

დაქუმელება ნამცეცებად ქცევა.

დაქურეცება ნამცეცებად დახვრა (თაგვისაგან).

დაქურუქება კრუხის დაჯდომა, ფრთებქვეშ წიწილების შემოსხდომით.

დალაღვრა (ქ. ლ.) კეცზე ნაღვერდლის დაყრა მჭადის გამოსაცხობად.

დაღრეკილი ნ. ღრეკა.

დაღურეშული მსხვილად დაფქული, დაღერდილი.

დაყურება სმენის გამახვილება გაგონების მიზნით. „დააყურე, თოფის სროლა ხომ არ იყურება“.

დაყურსული ნ. დალანძული.

დაყუყუება საქიროებისათვის (გარეთ გასასვლელად) დაჯდომა, ჩაკუკვა.

დაშიშხათება დაშინება.

დაშკუბრული, დაშკუპრული უშნო, ჯმუხი პირისახის კაცი ან ქალი.

დაშუშხვა დასუსხვა, კანის დახეთქა სიცივისა ან ქარისაგან (შდრ. ბერ. შუშხი).

დაჩაგრება (ქ. ლ.) დამახინჯება, დაშავეება, გახეიბრება რაიმე მარცხით (ტყვიით, ცეცხლით და სხვ.).

დაჩახმახება (ქ. ლ.) დაფაცურება. „დაჩახმახდა და გეიქცა“.

დაჩიქვა ყანაში ხეების ხელმეორედ დასხებვა, რომ ნათესი არ დაიჩრდილოს; ნორჩი ტოტების დასხებვა.

დაჩუჩეშვა მარცვლეულის მსხვილად დაფქვა (ნ. დალურეშული).

დაჩუტვა წყლით ან ჰაერით გაბერილის დაცლა.

დაჩხირვა ჩხირების ჩასობა დათესილის გარშემო ქათმებისაგან დასაცავად. აქიდან: დაჩხირული. „ამ დაჩხირულში რაფერ შევიდა მაგი ტურის დასაქმელი“.

დაწიწილაკება ნ. გაწიწილაკება.

დაჭარფალეზული უხვად დაყრილ-გაბნეული.

დაჭოკვა ფრჩხილით დაკაწვრა.

დაჭუჭკვა ლამაზად მიწყობა-დალაგება (შდრ. ბერ. ჭუჭკვა).

დახანებული საკმაოდ მოძველებული რამ, ხანში შესული.

დახარხლული უხეიროდ დაყრილი (ახალდაბადებული კნუტები, ლეკვები...).

დახევა დახერხვა. „აი ნამორი თლა უნდა დავახევიო“; „დახევა უნდა მაგ შეშას“.

დახიმეშული წვრილად დამარცვლული რამ (მაგ.: ცვილი დულილისაგან დახიმეშდება).

დახურეცვა ნამცეცებად დახვრა. „თლათ არ დუუხხურეცავს თავს იი ორი კაკალი თხილი!“

დაჯღუნვა (ა. შ.) სახის უშნოდ დაღრეჯა (უსიამოვნების გამოხატვა სახეზე).

დგან-დგანაი ბავშვს, პირველ ფეხის აღდგმისას, ეუბნებიან: „დგან!“ „დგან!“

დედიშაი ნ. ძროხის სახელები.

დედოშიწის სამძიმარი ნ. მიწის სამძიმარი.

დედოჭია, დედოჭიე სოლიტერი, დიდი ქია.

დედულეთი დედის სამშობლო კუთხე და დედის ნათესაობა.

„დელი-დელა“ ძველი ხალხური სიმღერა (ნ. სიმღერები გურიაში).

დელიყანდი თაემომწონე, დარ-

დიმანდი; მოსული, ახოვანი ახალ-გაზრდა.

დეღეფენაი ზორბა, ხორცვანი (ნ.) აღამიანი, დეღეფინივით მსუქანი (შდრ. ქყ. დემფილა).

დემა რამდენიმე ფურცელი თუთუნი, ერთი მეორეზე დადებული და ერთად შეკრული ღერწებში.

დენგი მეოთხედი დრემი (ნ. შდრ. საბა დანგი).

დვრინი ნ. სიმღერების ხმები.

დიდი წილთქმა ნ. სასიმღერო გასაღებები გურიაში.

დიდნენე დიდედა, ბებია.

დილაჰნელს დილით ადრე, გათენებისას. „დილაჰნელს გუუდგები ტყეში“.

- დიღენჯი ზარმაცი, გაურჯელი (შდრ. ბერ.).

- დინდვილაი დინდგელი (ნ. საბა).

დინაშუო ნ. ნიადაგის სახელე-ბი გურიაში.

დობირაი ნ. ნიადაგის სახელე-ბი გურიაში.

დოლი/ა ნ. ძროხის სახელეები.

დონაძის ხაჰაპური სქელყველი-ანი, გემრიელი ხაჰაპური.

დორის ბალიში ძალიან დიდი ბალიში (შდრ. საბა დორი).

დოშკანი სახლის გვერდზე მოფარებული, ფარდული, წვიმისა

და თოვლისაგან კედლის დასაფა-რავეად.

დრ - ნ. უდრის.

დრამი ნ. დრემი.

დრანცი (დედაკაცი) ტლანქი ტანის (ქალი).

დრემი, დრამი წონის საზომი; ოყაში 400 დრამი იყო.

დრიაში ბეჯითი დიასახლისო-ბა; დრიაშობს დიასახლისობს.

დრიქი დიდი და უშნო საჯდო-მი (შდრ. ბერ. დრუქი).

დუდგა ერთად, უწესრიგოდ თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ხალხი. „ივისანა დუდგა იდგა იქინე; რომ ძვილაი გამუაწიე!“

დუმბი, დუმბო ნ. სიმღერების ხმები გურიაში.

დუნდრუცი: მოდუნდრუცული, მოდგლეშილი ულაზათოდ მოყვანილი, დიდი, მსხვილი (ქალი).

დურენჯი/აი უცხვირპირი, გონ-ჯი, უშნო (ქალი).

დურუბაი სწორეპირიანი, მუცლიანი და ყელდაბალი დოქი (შდრ. ელ.).

დურცხი მეტად წითური.

დუყი ახალამოყრილი ყლორ-ტი (შდრ. ელ.; ბერ. დოყო).

დუშაყი მოაჯირის ზევითა ძე-ლი, რიკულეების დასამაგრებლად (შდრ. საბა დუშაყი და პალვან-დი).

დღაბაშა გადაშეტებით მსუქანი, ჰირთართო.

დღეჩაგდებ დღეგამოშვებით.

დღისინათლაი სალამოკეჰს, დაბ-ნელეზამდე, ბინდბუნდზე. „დღი-

სინათლაი მეითავე აგი საქმე!“

დღიურაი სანამ სინათლეა, სალამომდე. „ანიპირი დღიურაი უნდა გევიტანოთ, ბიკებო!“ (შდრ. დღისინათლაი).

9

ებგოგა ნ. ბგოვა.

ეგინჩარი თავაშვებული.

ელა ელი, იელი.

ელეგი ნ. ტანისამოსი მამაკაცისა.

ელეგენდი ნ. ლევენდი.

ელესაი გურული ხალხური სიმღერა, რომელსაც მღერიან მძიმე ტვირთის ხელით გადატანის ან აწვევის დროს და რიტმულ სიმღერას მწყობრად აყოლებენ ნაბიჯს (ნ. სიმღერები გურიაშა; შდრ. ქლ.).

ელიოზა დღესასწაულობდნენ კვირიკობისთვის (ივლისის) 20-ს (ძვ. სტილით). წინა დღით მოჭრიდნენ ლუკუმხას, გააკეთებდნენ მაღალ სარს, ააჭრელებდნენ დანით ალაგ-ალაგ კანის ამოჭრით. ამ სარს თაეში ჯვარს უკეთებდნენ და შემოახვევდნენ ეკლის რგოლს, ზედ დაჭკიდებდნენ პატარა ქებებს. ამგვარად გაკეთებულ ჯვარს პაპაჯვარს (ნ. ბერ.) უწოდებდნენ პაპაჯვარს დაასობდნენ ყოველ ეზოში თვალსაჩინო ადგილას, აგრეთვე ყანაში შუა ადგილას. პატარა-პატარა

რა პაპაჯვარს ბევრებიც იკეთებდნენ სახლსა და სახლის წინ თითქოსდა კუდიანების საწინააღმდეგოდ.

ენაბორკილი ენაბრგვნილი, ბლუკუნა.

ენაგარეცხილი მომამხურებლად, ურცხუად მოლაპარაკე.

ენაგაშაშხანებული მრავლად და უსიამოვნოდ, მწარედ მოლაპარაკე.

ენადაცული თაედაკერილად, ზომამზე მოლაპარაკე.

ენაზე მებორკება ვიცი (სახელი, სიტყვა) და ვერ მომიგონებია. „ენაზე მებორკება იმ ქალის სახელი და არ იქნა, არ გამახსენდა“.

ენამრავალი ბევრი ლაპარაკის მოყვარული.

ენამ უყვილა წინასწარ წამოსცდა ის, რაც შემდგომ ასრულდა. „მაგ ბიკს ენამ უყვილა: ქი არ მუა დასურ აგერ მამისი!“

ენატრაკალა უაზრო, ჩქარი და ბევრის მოლაპარაკე.

ენაჩავარდნილი გადაშეტებით

ჩუმი ადამიანი, სიტყვას რომ ძვირად დაძრავს (შდრ. ჩუბ.).

ენა ჩაუვარდა მეტი მღელვარებისაგან ვერაფერი თქვა.

ენაწავარდნილი თავდაუტყერლად მოლაპარაკე.

ეუვარუნება ბალახებში უთავბოლოდ დაბორილღებს (შდრ. ბერ. ევარუნი).

ერთად პირის ბანა: „შენ და იმას პირი ერთად არ გიბანიათ“ — ერთმანეთის შეუფერებელი ხართ, სხედასხვა ხართ.

ერთგული ნ. ძაღლის სახელები.

ერთი სული მაქ ძალიან მეჩქარება (ნახვა, წასვლა, გაკეთება რისამე). „ერთი სული მაქ, სანამდი იმ ბიჭის ამბავი მომივიდოდეს“.

ერი ერთი. „ერმა სტაქანმა ღვინომა ამოდებული ხმალი ჩააგოვო“ (ანდაზა).

ერი ცხრაი (ერთი ცხრაი) „ერი ცხრა“, „ორი ცხრა“, „სამი ცხრა“ დასათვალავი, აღსარიცხავი ცხრაობით აღირიცხებოდა. ახლაც იტყვიან: „ერი ცხრაი ჯანჯუხა კი გუუგზავენე იმ ბაღნებს“.

ერსალიკაი ერთგან, ერთ ადგილას.

ერჯევა/აი სანოვანის დაუზოგავად, ერთბაშად მხარჯველი („ხელშემონახულის“ (შდრ.), დაზოგვით მხარჯავის საწინააღმდეგო ცნება).

ეტლი (ქ. ლ.) უწყინარი, მორჩილი ადამიანი. „ეტლია კაცათ“.

ეკვილაჩება ულონო რომ ღონიერს მოეჭიდება, ან ძნელად დასაძრავის დაძვრას მიჰყოფს ხელს, იტყვიან: ეკვილაჩებაო (ნ. ეკვილაჩი).

ეშხობა კეკლუცობა; ეშხობს კეკლუცობს.

ეწერი უნაყოფო მიწა.

ეწრის მოლოქაი სამკურნალო ბალახია.

3

ვაგლახა (ა. მ.) წყლის ცხოველია ერთგვარი.

ვაგლახათ არასასიკეთოდ. „ვაგლახათ ღუუბერა ქვენამ, გაწვიმდება ბეჯითათ (ნ.)“.

ვადაღარაი უვარგისი, უშაქნისი.

ვადილა, შაა ანუ „ხელხვაეი“ ნ. სიმღერები გურიაში.

ვაკეზურჯიანი გორაკი ვაკე გორა.

ვირხიდა თავებით ჯვარედინად ერთმანეთში შეცმული ბოძები, რომელზედაც დაყრდნობილია მღინარეზე გადებული საქვეითო ხიდი (შდრ. ბერ.).

ვლადი ულაყი (ნ. სახარაზოს

წულის კალაპოტების სახელები; შდრ. ბერ. ულაილიჩ.

ვოდილაჲ, ჰოილა ძველი ხელხვაგი, პირველი იწყებს (ნ. სიმღერები გურიაში).

ვოილა ოსორერა ნ. სიმღერები გურიაში.

ვოო-ვუი-ვოდელო ხალხური სიმღერა (ნ. სიმღერები გურიაში).

ვორონაი ყურძნის ჯიში, მალარი; მხოლოდ შუა გურიაში აწენებენ; მდარე ღირსებისა, წვრილმარცვლებიანი; ღვინოს საშუალოს იძლევა. ყურძენი 'შავია, კანი თქელი აქვს.

„ვოპო-ჰოილა, ნანა“ სუფრის ხელხვაგი (ნ. სიმღერები გურიაში).

ფ

ზაბაკი ნაკლი (შდრ. ალავ. უზაბაკო უნაკლო).

ზამთარხმელობა უთოვლო ზამთარი. „თუ ზამთარხმელობა იქნა, ქე მყოფთა აი შეშა“.

ზაპა ხორცვანი (ნ.), მძიმე ტანის ადამიანი. „რომ ასულხარ ხეზე აი ზაპა კაცი, არ გეშინია, რომ გაღმეიქრე?“

ზარტაკაი ნიგვზის წვენი, უხეთოდ დამზადებული.

ზეგადარება (ქ. ლ.) ნ. ტყეში გადარება.

ზეგანი ნ. ნიადაგის სახელები გურიაში.

ზემავალი მტაცებელი ფრინველი.

ზენგილი მდიდარი, ყველაფრით სავსე ოჯახი.

ზერფელე ცოტა ზემოთკენ (შდრ. ქყ.).

ზიარებაა მისწრება. „აი ახლა ჩემდა ზიარებაა სტორეთ“.

ზიარი საზიარო.

ზილი ნ. სიმღერების ხმები.

ზინზილი ბავშვის ნელი ხმით ტირილი (უბრალო მიზეზით). „რას ზინზილობს აი ბალანაი, სოპ არ შია?“

ზნე ბნედა. ზნემ მოუარა ბნედა მოუვიდა (შდრ. ბერ. ავიზნე).

ზოლოხი ბადე ნ. მახე.

ზორვა, მოზორვა, დაზორვა (ქ. ლ.) (კემა, რტყმა (უმეტესად ზურგზე).

ზორი გასაქირი. „რა ზორი მადვა, ფეხით რომ გამევიარე აი ტალახიანი გზაი“.

ზრინება ციების დასაწყისში შეცივება, წოდინი და სხვ. (ნ. ქიზება; შდრ. საბა ზრინება).

ზრუმუნი საქონლის წყნარი ზმუილი (შდრ. საბა ზრუნი).

ზუზი კალატოზებისა და ხუროების იარაღი, პერპენდიკულარის.

ასამართავი შეეუღლი; აქიდან: გა-
მოზუზული (ნ.).

ზუკუტური: მოზუკუტურიება
ზურგზე შემოგდებით აყვანა:
ბევშეს გასართობად წამოიგდებ-
ენ ზურგზე (მოიზუკუტურიებენ)
და თან ამ ლექსს ეუბნებიან:
„ზუკუტური გორიციი,
გაყიცი და მომიციი“... (შდრ.
ბერ. კურალიება).

ზუმპა ზუმბა.

ზლაპრის თავი ზლაპრის დასა-

წყისი, რომელიც ორგანულად არ
არის დეკავშირებული სილექტთან
და სხვა ზლაპრისაც გამოებმის:
„იყო და არა იყო რა, ღვთის უკე-
თესი რა იქნებოდა...“; „ზლაპარი
და ზლაპრის თავი, შეგაკამე ძლაბ-
ლის (ნ.) თაკი“ (აალხური ხუმრობა).

ზლიპინი: ყივეთვი, წიწილების
ან ჩიტების შეწუხებული ხმა (ნ.
აზღრიალება).

ზღმურტლი ქუქყი, სიბინძურე
(შდრ. საბა ზღმურდლი).

თ

თაბუნი ტოლი, ამბანავი.

თავისკვილია ძირმაგარას (ნ.)
შგავისი, პატარა, მტკივნეული მუ-
წუკი.

თავგიდელია უშნოდ გრძელ-
თავა.

თავზე გადახტომა კაუიანის
დაუკითხავად ან მისი რჩევის სა-
წინააღმდეგოდ რისამე გაკეთება.

„თავზე შემოვლება“ წინათ,
როცა სწამდათ, მაგ., რომ შეიძ-
ლებოდა დედა მომკვდარიყო ავად-
მყოფი შვილის მაგიერ, დედა „თავს
შემოველებოდა“: ლოცვით შესთ-
ხოვდა ღმერთს, რომ ის მიელო
შვილის მაგიერ. ავადმყოფს „თავს
შემოაველებდნენ“ აგრეთვე რაიმე
ნივთს ან შინაურ ცხოველს და
გადასცემდნენ კულტის მსახურთ
საწინდრად.

თავიანი მთლად საესე (მაგ.,
კოთხო ფქვილით საესე), თავდად-
გმული.

თავის გამოზმა საქმის დაწყე-
ბა, მოგვარება.

თავის მორცხვა ნ. მორცხვა
თავისა.

თავის მოქონვა მომადლიერე-
ბა, ცბიერებით გადმობრება.
„ძალიან არ უქონავს თავს!“

თავის შერუჯვა, თმის შერუ-
ჯვა აღთქმის დადება, რომ მა-
ვან და მავან საქმეს თავის დღეში
ალარ გააკეთებს. „თავი შევი-
რუჯე! მიდღემში ალარ გვეერე-
ვი მის საქმეში“.

თავის ძავუნი თავის ქანება,
თანხმობის ან ქადილის ნიშნად.

თავმონაწიერი ერთი მეორეზე
მიყოლებული წვრილშვილი. „რა

კარქა უარს (უელის) ამ თავმო-
ნაწიერ ბაღნებს!“

თავსაბანი მიწა ასკანის მიწა,
ასკანიტი.

თავსაფარავად ნ. თავსაყარად.

თავსაყარად, თავსაფარავად უხ-
ვად, სამაძღროდ, საკმაოზე მეტად.
„ყორითელი თავსაყარათა“.

თავტიკვა ქათამი თავსა და
კისერზე ბუმბულგაცლილი ქათამი.

თავ-ყელი (თავი და ყელი) „მაგის
თავ-ყელი ერთ ქალად ღირს“;
„თავ-ყელი არ უვარგა“.

თავცეხლიკიდება მოუცლელო-
ბა, მეტისმეტი დატვირთულობა,
მეწუხი. „იმისანანი თავცეხლ-
კიდება მჯონდა, რომე...“

თათარახი, მოთათარახება (ქ.
ლ.) საქმის სწრაფად, მაგრამ უწე-
სოდ და ცუდად გაკეთება.

თათარიახნად გაკეთება სახელ-
დახელოდ გაკეთება.

თათუნი, მოთათუნება ხელის
დაკვრით მიაღერებდა. „რას უთა-
თუნეფ ხელს, ახლა ნახე თუ?“
(შღრ. ბერ. ტატუნი, ცაცუნი).

თათურაი ბატიბუტი.

თანაქა თუნუქის ქურქელი (სა-
ნავთე).

თანთელაი საღი, მთელი ნი-
გოზი (კაკალი), თხილი; გამო-
თანთელა უკეთესი კაკლის ან
თხილის გამორჩევა. „აი, თხილი
ქე გამოგითანთელავს და..!“

თანში შეთამამებული. „ჩემ
ოჯახში შენ უფრო თანიშათ
იქნებოდი, მეგონა“.

თარაში თარეში.

თაუნლარი (თაეუხლარი) თავ-
აგდებელი, უწვრთნელი, თავგა-
სული.

თალარა ყანის საზღვარი.

თაღლითი (იტყვიან ადამიანზე)
არაგულწრფელი, ყალბი.

თეგვა, გამოთეგვა ქუქრუტანის
გამოგმანვა-ამოვსება თეგით (ნ.).

თეგი პატარა სატეხი, თენგი.

თეთრი ლომიე საუკეთესო ჯი-
ჯის ქონა ლომიო, მეტად თხელ-
კანიანი და ნოყიერი.

თეთრი ლომი გრძელთაველია-
ნი ლომი, თეთრად მზადდება, გემ-
რიელია (ნ. ლომის ჯიშები გური-
აში).

თეთრი ხილი თეთრი ქლიავი.

თეთრუაი თეთრი ქათმის სა-
ხელი (ნ. ქათმის სახელები გური-
აში)

თელურთა ნ. სახარაზოს წუ-
ლის კალაპოტების სახელები.

თემბელი მატყუარა, ცბიერი.

თექი შესადარი, მსგავსი, შე-
სადერი.

თემოს თავი ერთნაირი ხერხი
ქიდაობაში.

თვალდანახული ნიმდვილი,

თვალით ნანახი. „თვალ დანახულს გელაპარიკები, სხვისი ნათქვამი არ გეგონოს“.

თვალდაყლიბული თვალეგამოწეული (ქუთუთოებიდან).

თვალდახელშეუა თვალწინ. „უყუჩრეთ, რათერ თვალდახელშეუა გააკეთა“.

თვალეზის ყლიპინი ნ. ყლიპინი.

თვალი გამწვირვალე მრგვალი მუწუკი, თვალის კაკლის მსგავსი.

თვალის ასიორება, თვალის აჭრიაღება თვალის აბნევა (აჭრელება) მდინარის მოძრაობისა ან კრელი საგნის ცქერისაგან (შდრ. ქყ. ასიორება თვალისა, ელ. აფსიორება).

თვალის აჭრიაღება ნ. თვალის ასიორება.

თვალის გადამკტავება თვალეზის გადაკარგვა, ზევით აპკრობა გულის წასვლის დროს. „ისე გადაამკტავა თვალეზი, რომ თუ მობრუნდებოდა არ მეგონა“.

თვალის მიტანება მიხედვა, თვალ-ყურის დევნება. „თვალი მათტანე, აფერი ქნას“.

თვალის მოკვრა ერთი წუთით დანახვა.

თვალის ფიჭვები (ქ. ლ.) წამუშები.

თვალის ჩავარდნა ქსოვის დროს წინდის ხხირიდან კილოს ჩავარდნა.

თვალყვა გათვალვა, გალაღვა; უფრო ხშირად იხმარება „გალაღვა“, „გათვალვა“. თვალყვის შემდეგი ლოცვა იცოდნენ: „მოვიდოდა შავი წყალი, მას მოქონდა შავი გველი, ჩავკარ შავი ყვარჯენი, ამევილე შავი გველი, ჩავაგდე ქვაბსა რვაველისასა, გასკტა რვაველი, წავარდა თვალი მისი ავი სულით, ავი გულით, ავი თვალით შემხედვარის, მოხთა ღლიაფში, გავარდა ყიაში. მე ვარ მლოცველი, ქრისტეა მარგებელი. ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, არის ბრძანება თქვენი“ (შდრ. ბერ. გათვალყვა).

თათის გორებაი ერთი თითის დადება. „ამას ერი თითის გორებაი მიემატება ბეჭში და გეიკერება“.

თითქინაი თეთრი, სუფთა, სპეტაკი; გჩათითქინებული ჩათეთრებელი, სუფთა, სპეტაკი (შდრ. ბერ. ქინქიტი).

თიკი ხის ტოტი, წატეხილი, მოკლე და გაშვერილი, ან მის მსგავსად გაშვერილი ნაწილი საგნისა (შდრ. ბერ.).

თიკნისყურაი თხელნაჭუჭიანი საგვიანო თხილი.

თირინა თრითინა.

თიხი მოდგმა, გვარი.

თმის შერუჯვა ნ. თავის შერუჯვა.

თოლაპულთაი თოვლის გუნ-
და, სათამაშოდ გაკეთებული: თო-
ლაბულთაის თაქამობა—თოვ-
ლის გუნდაობა.

თოლაბულუხის სარტყელი სამ-
ყადი სარტყელი (ნ. ტანისამო-
სი გურული).

თოლია, თოლიე, თეთრი ძალ-
ლი (ნ. ძაღლის სახელები).

თორმეტ - თორმეტ - თორმეტაო
გასართობი. მოთამაშე აიღებს და-
ნას, დაიჭერს ხელში, როგორც
კალამს და ქვემოთმოტანილი სი-
ტყეების წარმოთქმით დანის წვე-
რით ფიცარს სცემს: „თორმეტ-
თორმეტ-თორმეტაო, თუ თორმე-
ტი არ გამუა, დანა შენ და პირი
მეო“. შემდეგ დათვლიან კეკი-
ლებს (ნ). თუ თორმეტი გამოვიდა,
მოთამაშე მოგებულა.

თოხეჩო თოხის მსგავსი ეჩო,
ხუროს იარაღი.

თოხისტარაი ტანგრძელი, ფრთებ-
ფართო, მოზრდილი მწერი, ტანა-
ჯორი; ღელესთან იცის ფრენა.

თუთხუნი თუხთუხი.

თუნთუსი სქელი სითხე (მაგ.,
ფელამუში).

თასამანი ძველი ლილინი (ნ.
სიმღერები გურიაში).

თასალი გამოსაჩენად აკრძალუ-
ლი (მაგ., კონტრაბანდის საქონე-
ლი); ძნელსაშოვნელი.

თქვარიშინი, დათქვარიშინება
(ქ. ლ.) ბლომად დაქცევა რანე სი-
თხისა (ნ. თხრიშინი; სდრ. ბერ.
თქიშინი).

თქლაფაი თხილის ჯიშია (ნ.)

თქლაფი 1. ადვილად გასაა-
ქელფეი რამ (კვერცხი, მწიფე ხი-
ლი); 2. რბილი. „რა თქლაფი
ძუძუ აქ ამ ძროხას!“

თქმელი ნ. სიმღერების სმები
გურიაში.

თხამლი ჩირქი (შდრ. საბა
თხრამლი).

თხილის ჯიშები გურიაში: ბე-
რძული/აი, გულშიშველავი, თიქნის-
ყურაი, თქლაფაი, საივანობო თხი-
ლი, შველისყურა (ცხენისძუძუა),
ჩინჩა (ჩინჩა), ჩხიკვისთავაი, წუწუ-
შეტაი (ნ. თავ-თავის ადგილას).

თხრეშა თხლეშა, მაგრად დარ-
ტყმა.

თხრიშინი ერთბაშად გადმოსუ-
ლი წყლის ხმა. „თხრიშინ-
თხრიშინით მევიდოდა წვიმა“
(შდრ. თქვირიშინი).

თხროშო თავსხმა, კოკისპირუ-
ლი წვიმა (შდრ. ბერ. თქიშინი).

ი

იაფოფხი ღომის ფქვილისაგან
გამომცხვარი თხელი ხაჭაპურისებ-
რი ნამცხვარი, რომელსაც ხვეიდან
დაყრილი აქვს დაფეშეილი (ნ.) ნი-
გოზ-ხახვი.

იბლაყნება ნ. ბლაყნა.

იბ'რძინდნენ ნ. ბრძნა.

იკი მას! მაგრე! ახია იმაზე!
ნიწნის მოგება.

იეში ცხენის ან სხვა შინაური
ცხოველის ულუფა.

იის ფიფინაი იის წვეწისაგან
მომზადებული სასმელი (წამალი).

ილული მრუდე (ხუროების
ტერმინია).

ინათი ჯიუტობა; ინათიანი
ქინიანი, ჯიუტი (მღრ. ჩუბ.
ინადი).

ინბათი ჩრდილო-დასავლეთის
ნელი ქარი, რომელიც ავდრის მო-
მასწავებელია.

ინგრება გრეხილი მცენარე.

ინდი-მინდი, ფერად შინდი
ხალხური სიმღერა (ნ. სიმღერები
გურიაში).

იო-დელა, ჯაშის ქალა მარი-

კელა ძველი ხალხური სიმღერა
(ნ. სიმღერები გურიაში).

„იოვდელა-ოდელა“ ხალხური
სიმღერა (ნ. სიმღერები გურიაში).

ირაობა ქორის, მიმინოს ნა-
ვარდობა.

ირემაი 1. ერთნაირი კალია;
2. ხარის სახელი.

ირჯება ქალი ნ. რჯა.

ისრი ისლი.

იქამც იყო მარცხის ხსენების
დროს იტყვიან. — ელპიტეის ინდო-
ური ლელეში ნახეს დამჩვალის —
იქამც იყო ს! (იქ იყო, ჩვენ
აგვცდეს!).

იქითრელე ცოტა იქით.

იწკიპიწკაი ქათმის მკერდის
ძვალი, ორკაპი.

ინტიბარის გატება სირცხვი-
ლის გრძნობის დაკარგვა. „მავას
ინტიბარი გატეხილი აქ და
ყორიფელს იზამს აწი!“

კ

კაღანა (ა. მ.) წიბე, დიდი ცე-
ცხლი.

კაფილი კნავილი.

კავობით ნ. კაობით.

კაი მომკმელი კარგი მადის
პატრონი.

კაისაგან კაი რჩეული, საუკე-
თესო.

კაიფების ფეხბედნიერი.

კაკალი გულია გულწრფე-
ლად.

კაკვილი, კაკვილები კავები;
კულულები, რძლად დახვეული
თმები. ხელოვნურ კაკვილებს ხმა-
რობდნენ თავდანურული ქალები.
(ნ. გურული ქალის ტანსაცმელი).

კაკვინა (ქ. ლ.) ხუჭუჭი.

კაკვობა/ე ბავშვთა თამაშო-
ბა: გვიმრისაგან დამზადებულ

კაკეებს მოსდებს ერთი მეორისას და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი კაკვი დაუხლიჩოს მოწინააღმდეგეს.

კაკულია, **კაკულიე** წელში მოსრილი; მორცხე ადამიანაც უწოდებენ.

კალბა (ა. მ.) ორთითზე გაკრული პატარა ზადე, საქსოვი, საჩქარხელი.

კალიში ქაქის დასაწურავი მოწყობილობა; დაკალიშება ქაქის დაწურვა კალიშით.

კალმობიე კალმებით თამაში. **კამუშა** ხარის საწელია.

კამჭაჭი ხიელი აგებულების ადამიანი.

კანკასი სუფთა, ანკარა, მაგ., წყალი (შდრ. ბერ. კანკალო).

კანკური ხამხამი; „თვალს აკანკურებს“ (შდრ. საბა).

კანში ამოსვლა კანის ცვლა (აზრეშუმის ქიხია): „ჯერე დიდ კანში არ ამოსულა ბობოლი (ნ.) და ხედავ შენ, რამხელვანია!“

კანში ღატევა: 1. დიეტეი შენ კანში! შენთვის იყავი, ნუ ერევი ჩემს საქმეში; 2. კანში ვერ ეტევა, მის კანში ვეღარ ეტევა მეტად გასუქებულია; ყელამდის სავსეა და აღარ იცის, რა გამოიგონოს; გალაღებულია კარგი ცხოვრებით.

კანძი თუთუნისა რამდენიმე ხეფენგი (ნ.) თუთუნი ერთად, გასაშრობად დაკიდებული (შდრ. ჩუბ.).

კანკარაკუნაი გამხმარი, წვრილწვევებიანი კაცი (შდრ. საბაკანკი).

კაობით, **კავობით** კარგობით, კარგობის გამო. „აი ერთი ღერი სხალი კაობით მოგიტანე, თვა-რა ისე რა მოსატანი იყო“.

კაპარწახი (ა. მ.) ციხის ძმარი, ცხარე ძმარი; მეტად კაპას ქალზედაც იტყვიან: კაპარწახიაო.

კაპუეტი თავისნათქვამა, უტეხი; ძნელად მოსახარშ ქათამზედაც იტყვიან: კაპუეტიაო (შდრ. ალავე; ბერ. კაპეტი).

კარანჩხაი პატარა კალათი (შდრ. ქუ. კალანჩხა).

კარიე, **საკარიე** საქათმე.

კარის შეზობელი ახლო შეზობელი.

კარჩხალი მთაი კლდოვანი, ტიტველი მთა.

კარწახი დიდი აღმართი.

კარწუმელი თესლისაგან დაცლილი ღომის თავთავი (შდრ. საბა, ჩუბ.).

კატაპარასა მინდვრის პარასა.

კატარი სიმინდის ყვავილი; აქიდან: აკატრებული (ნ.).

კატაჯვარაი ღურბელი, კისრის ჯირკელის დასიება, ჯირკელის ტუბერკულოზი.

კატისთავიანი სალანძღავი სიტყვაა. „საღვიკარქა იგი კატისთავიანი!“

კატის სახელები: ხატავერა დახატულივით, ლამაზად აქრულე-ბული კატა. ჯაურაი ჯავარიანი (ბოლბიანი) დიდი მამალი კატა.

კაფე-თესე გვეჯლის ძახილს უწოდებენ (შდრ. ქყ. კლ. „კაფე“).

კაძახა ლობიე ნ. ყაძახი ლობიე.

კაძახი ქალი მამაკაცის მსგავსი ქალი.

კაძახი ნ. ყაძახი.

კაძახრუსი ყახახ-რუსი.

კახურაი აბრეშუმის ქიის ჯიში გურიაში ძველად; მოზრდილს, კვერცხის მსგავს, ყვითელ პარკებს აკეთებდა (ნ. აბრეშუმის ქიის ჯიშები გურიაში).

კავა მატყლის წეწვა ხელით (შდრ. საბა, ჩუბ. კეკა).

კეილი, დაკეილებული და-ნის, ნაჯახისა ან მისთანა იარაღის წვერის ცემით დაჩენილი კვალი ფიცარზე.

კეკული, კეკულიე ძაღლის პატარა ლეკვი.

კელეხობა შექამანდის ნაკლებობა (აღრე გაზაფხულზე, როცა შინაური ფრინველი ჯერ არ წამოზრდილა).

კელტი კენტი; კელტოთ მარტო, კენტად.

კემსი მახათი, დიდი ნემსი. და-კემსვა კემსით შეკერვა.

კენაწილაი რკინის ნაღნობი.

კენკრეჯი (ა. მ.) საქმელად მაგარი ხორცი.

კენცხარაი კეცის ნატეხი.

კენჭი კენიტი, ნატეხი: კენჭი მარილი დაუნაყავი მარილი; კენჭი შაქარი ერთი ნატეხი შაქარი.

კენჭობიე კენჭობანა, ბავშთა თამაშობა კენჭებით. კენჭობიეს სხედასხვა მომენტი: ერთობიე, ორობიე, სამობიე, ოთხობიე, გორობიე (შდრ. ბერ. კენჭალობა).

კერია/ე კერა, შუაცეცხლი.

„კერიახ ნახშირი“ სასიამოვნო გაკვირვება იშვიათი სტუმრის მოსვლისას.

კერმუხტი მაგარი ტყავი, რითაც ღვეკურისა და სატევარის ქარქაშს მოსავენ (შდრ. კემუხტი).

კელამ, კილამ კინდამ.

კეში ტახი დაუკოდავი ღორი (შდრ. ჩუბ. კერატი, ბერ. კერი).

კეხის კანი აბრეშუმის ქიის მეორე კანის ცვლა, როცა ქიას ზურგზე შავი ლაქა გამოაჩნდება ხოლმე კეხის მსგავსად.

კვანტალი მთელი სხეულით მოუსვენარი მოძრაობა, წრიალი. „იმდენი იკვანტალა ამ შერცხვენილმა, რომ ქე დამიქცია მომიათ მოტანილი წყალი“ (შდრ. ბერ. კვანწალი).

კვანჩხის ქარი ხელ-ფეხის კრუნ-
ჩხვა (ავადმყოფობაა ერთგვარი).

კვაჟღუნი კორძიან ხეზე ცულის
ცემა (შდრ. ბერ. კვიკლი).

კვარიახაი (მ. ქ.) მეტად მიზე-
ზიანი.

კვარკვალი ცახცახი: აკვარ-
კვალე ბს აცახცახებს შეციე-
ბისაგან.

კვატუნი ხელის ან ფეხის სწრა-
ფად ქანება სახსარში ღუნვით.

კვერტო, კორტუაი მოკლე გადა-
საცემელი (ნ. ტანისამოსი გურიაში
ძველად).

კვერცხეზაი საალერსო სიტყვა,
რომლითაც პატარა ბიჭს მიმართა-
ვენ.

კვეს-აბედი ტალ-კვესი.

კვესი ნ. საომარი იარაღები
გურიაში.

კვიმი (ქ. ლ.) სქელი, დახვე-
ული კვამლი (შდრ. ბერ.).

კვირენჩხაი მეტად ხუჭუჭი;
დაკვირენჩხებული ძალიან
დახუჭუჭებული.

კვიჰე, მკვიჰე, მკუჰე (ქ. ლ.) მე-
ტად მწიფე. აქიდან: დამკვიჰე-
ბული, დამკუჰებული (შდრ.
ბერ. ლეინჯა, ყურჭი).

კიამპო ძნელად ასასვლელს
აღმართი (შდრ. ჟლ.).

კილაჟ კვლაჟ. ამ სიტყვას ამჟა-
მად აზრი დაკარგული აქვს და
ხმარობენ ისე, როგორც: „ხო-და“,
„მერმე“ და სხვ.

კილარჯული ნ. კლარჯული.

კიმიკმაი ლავიწი (შდრ. ბერ.
კინკიბა/ვი კიკიკა).

კინაი — რკინა) ცული (ზემოგუ-
რიაში).

კინკლი, ყინყლი, კინკლიანი
კაცი პინკული, მიზეზიანი, ჩხუბის
გამომწვევი (შდრ. საბა კინკლა-
ობა).

კირკანტული, დაკირკანტული,
კრიკანტული მიხვეულ-მოხვეული.
„აქიდან და ქუთაისი და კირკან-
ტული გზა ვიცი“ (ხალხ.).

კირკიმალი მიზეზის ძებნა,
წერილმან საქმეში ჩაძიება და ჩაყო-
ლა; უკირკიმალებს აღიზი-
ნებს, მიზეზს ეძებს (შდრ. ბერ. კირ-
კიტი, წერ. კირკიმალში ჩადგომა).

კირკიცი კისკისი (შდრ. ბერ.
კარკაცი).

კირკლი წერილი ბავშვების
გროვა. „აკირკლულან და მო-
მადგენენ კარზე“; „სა მოგყავს, ცავ,
ავი კირკლი ბალნები!“ (შდრ.
ბერ. კირკვლა).

კიჰეჰი პატარა ნატეხი, კენიტი.
„ერთი კიჰეჰი მარილი მომეცი“.

კილაშ ნ. კელამ.

კლაპუნი ძალღი რომ კბენას
დააპირებს და კბილზე კბილს და-
აცემინებს. „ერთი წამიკლაპუ-
ნა და დამეთხუა“.

კლარტა მავნე ბალახია (შდრ.
საბა კლერტი).

კლარჯული, კილარჯული გუ-

რული ჯიშის ვაზი. ყურძენი სა-
ზამთროდ კარგად ინახებოდა. იმ-
დენად მშრალი იყო, რომ დანით
გაპკრილს წვენი არ გამოსდიოდა;
ხმარობდნენ საკმელად, ფერი მო-
წითალო ჰქონდა, კორფლიანიყით.
ამბობენ: აპარაში ეს ჯიში დღესაც
შენახულიაო; გურიაში კი მოისპო
(შდრ. ჩუბ. კლარჯული).

კლიმვა ჭურის პირველად მოხ-
და და ღვინის ამოღება. „ღვინო
ვკლიმე“ — პირველად ამოვიღე
საესე ჭურვიდან.

კნეტა კენეტა, კენიტი. „ერი
კნეტა შაქარი მინდა“.

კობული მრგვლად გათლილი
ხის იარაღი, ტარიანი, რომლითაც
ყურძენს ტენიან საწნახელში. აქი-
დან: ჩაკობულვა (ნ. ღვინის
ჩაკობულვა; შდრ. საბაკობალი).

კოდი გულგამოთლილი ხის
მორი, შვეულად დამდგარი, რო-
მელშიაც კოდის წისქვილისათვის
(ნ.) წყალს აგუბებენ.

კოდის წისქვილი ნ. წისქვი-
ლი კოდისა.

კოქათ მოხარჩული არა ძა-
ლიან მოხარშული (მაგ., „ქათამი
კოქათ“).

კოკლაური თამამი, თავმოშწო-
ნე. „ოო, რა კოკლაური ქალი
იყო მაი თავის. დროზე!“

კოკობი კობტად მოყვანილი.

კოკობინაი პატარა და კობტა,
მინიატურული (შდრ. ჩუბ.).

კოკუაი ნ. კუკუაი.

კომპი ფოლაქი, ღილი (შდრ.
ბერ. კომპი).

კონკილარი ძაღლი ღიდი,
კუდმოგრებილი ძაღლი.

კონწოლა ძაღლი გრძელბა-
ნიანი ძაღლი.

კოპიტა: სპილენძის ფულის
ზოგადი სახელწოდება.

კორტუაი ნ. კვერტა.

კორჩხალი ნ. კორჩხელი.

კორჩხელი, კორჩხალი 1. ჯერ-
კიდევ ღონიერი მოხუცი, ჰარმაგი-
ბერიკაცი; 2. მხნე, მარჯვე.

კორწალი ქანაობა (შდრ. ჭებერ-
სი-კორწიალა).

კოტრიზი კუნტრუში.

კოლინაი პატარა, საცოდავი,
გლახა, დაჩიავებული (შდრ. ჭყ-
დაკილინება).

კოლონა კოლო.

კოჭყური კარ-ფანჯრის ჩამო-
საკიდი რკინისა.

კპალი ნ. პკალი.

კრიკანტული (ა. მ.) მიხვეულ-
მოხვეული (ნ. კირკანტული; შდრ.
ჩუბ. იკლიკანტური).

კრინი ნ. სიმღერების ხმები.

კრიპუჭუნაი ოთახი პაწაწინა-
ოთახი.

კრიკინი კრიალი.

კროკინი (ა. მ.) ჩვილი ბავშვის.
ხმაშალალი სიცილი.

კრუზის შეკვირება კრუზის მიერ წიწილების გაფრთხილება საშიშროების მოლოდინში, თავისებური ხმაურობის ატეხით. «კრუზმა შეიკვირა: ყვავი თუ მუხთა».

კრუზმა ააწიაქა ჭუჭული კრუზმა პირველი წიწილი გამოჩეკა.

კუდალაი კუდმოკლე, კუდმოჭრალი ძალი (ნ. ძალის სახელები).

კუდზოძალი მწერია ორტოტა კუდიანი.

კუდზე დანის მიტება დაბოლოებისას საქმის მიტოვება, ან წახედენა.

კუდის კუდზე გადასვენა განუყრელად ერთად ყოფნა და მოქმედება.

კუზა უკადრისი, ამპარტავანი (შდრ. ბერ. ილაკუზა).

კუკუაი, კოკუაი მკადი (ბავშვის ენაზე).

კუკუნიეი პატარა და კოხტა რამ.

კუმპალი ნ. კუმხალი.

კუმხალი, კუმპალი მტეენის ნაწილი. «ერი კუმხალი ყურძენი არ ჩასულა წროულს ჩემს პირში» (ჩუბ. კუფხალი, ქყ. კუმპალი).

კუნკული ნელი კენესა და წუხილი ძილში (შდრ. ქყ.).

კუნკურეხი/აი დიდისნის ადამიანი. «იმკუნკურეხმა დედაბერმა უნელი (ნ.) წინდაი მომყიდა».

კუნჭუხურო კუნჭული, კუთხე შიგნიდან (შდრ. წერ. კუჭუხური).

კუპატი (ქ. ლ.) ძეხვი.

კურკუთაი, დაკურკუთული, დაკურკუთებული მრგვლად გამაგრებული რამ, მაგ. ჯირკვალი, დასველებული ფქვილი (ნ. მოკურკუშება).

კურნაზი, გულჩახვეული, მუდამ გაჯაერებული.

კურძვალი ძაღლების უხუცესი ძველი მებატონის მეურნეობაში.

კუშტული გიღლის ვიწრო ბოლო.

კუჩაბა საქონლის ხორცი კუდის არეში.

კუჭიანი ანჩხლი (შდრ. ქლ. კუჭი მოუვიდა).

ლ

ლაბადა დედათა წელქვედასამოსი, დაბამბული (შდრ. ჩუბ. ლაბადა).

ლაბი ლობიოს, ბრინჯისა და მისთანათა ნაღები დუღილის დროს; შედედებული ნახარში თევზისა და სხვათა.

ლაგაზი მაგარი, ძარღვებიანი, ძნელად დასამუშავებელი ხის მასალა (შდრ. საბა).

ლამაზაი ნ. ძროხის სახელები.

ლამბი რბილი, სუსტი. ლამბი რკინა ფოლადნაკლები რკინა

ნა; ლამბი კაცი სუსტი, უნების-ყოფო კაცი.

ლანცა ალვა; გალანცული ალით შემურვილი; მოლანცული საქმელი — ლანცის, ალის გემოს მქონე (შდრ. ჩუბ. ლანძვა).

ლანცი ალი.

ლარი ბადურად (ნ.) ნაქსოვი სარტყელი; ხვანჯარი (შდრ. საბა ლარი).

ლაფერაი ნ. წისკვილის ნაწილები.

ლაღანდარი, (ქ. ლ.) უსაქმოდ დროს ტარება და ხეტიალი (შდრ. ჩუბ. ლაზღანდარა).

ლევენდი, **ელევენდი** უცოლ-შვილო, მარტოხელი კაცი, ან უქმრო ქალი; მომცდარი, თავისუფალი. **ლევენდი** სიმიინდი უტარო სიმიინდი.

ლენჩქური, **ლენჩხური**, **ნელჩქუ-**ლი ნელთბილი; მოლენჩქურება (ქ. ლ.) ოდნავ მოთბობა წყლისა, განელებასავით (ნ. ძვალმოტეხილი, ნელჩქული; შდრ. ბერ. ნელი-გიყო).

ლენჩხური ნ. ლენჩქური.

ლენძა წვრილი ბაწარი (თოკი), რომელსაც ხუროები საზომად ხმარობენ.

ლევერთ-ლევერთათ ნაგლეჯ-ნაგლეჯად, ნაფოტად (ფიცრის, ვაშლის ან სხვა ნაფლეთები. ნ. ლევერჩი; შდრ. ბერ. ლევორჩანი).

ლევერჩი პატარა ნაფლეთი.

ლედვის ცოდვა უმწიფარი ლელვის ქამის შემდეგ ტუჩებზე ან თითებზე გაჩენილი მსუბუქი წყლული.

ლიანქრათ ოდნავ.

ლიბერი მომკრთალო ფერ გაურკვეველი ფერი.

ლილოჭრელი გაზაფხულის თოვლი ალაგ-ალაგ გამდნარი (შდრ. საბა ლილო, ბერ. რილო-ჭრილო).

ლიმოსი მოღრუბლული ამინდი, რომელიც ხელს უწყობს თოვლის დნობას. „თოვლს ლიმოსი მიეცა“; „ავადმყოფს ლიმოსი აქვს“ ოფლის დენა ეწყება, სისველე ეტყობა.

ლიჟი წვრილი წვიმა (შდრ. ქუ. ლიფრიანი; ლეფერი).

ლიჩვი რბილი. ჩვილი ხე (მაგ., ლელვისხე).

ლოგორაი, **ლოგორა** პირდაუსერავი ნაქა (ნ.) ნიგეზისა (წენგო); **ლოგორაი** ნიგოზი უმწიფარი კაკალი (წენგო).

ლოპერაი წვრილი, ლამაზი, თეთრ ყვავილიანი ბალახი.

ლოპერი, **ლოპერაი** ქაფი.

ლორთქო ნ. ლურთქი.

ლოჩაბაი სუსტი, ძაბუნნი (კაცი).

ლუგა-ლუგა ნაფლეთ-ნაფლეთ.

ლურთქი, **ლორთქო** ჩვილი, ახალამოყრილი ყლორტები (შდრ. ბერ. ლურტყი).

ლუჟა, **ლუჯი** 1. სიცხარეს მოკლებული საქმელი; 2. ლუჯი კაცი უგემური, უფხო კაცი.

მ

მადლობელი სამადლობელი სიმღერა (სუფრისა. ნ. სიმღერები გურიაში).

მათარა ნ. საომარი იარაღები გურიაში.

მათრევალი (ა. მ.) მუცლით მოსიარულე (გველი და მისთანა).

მაიობიე - ბავშვთა თამაშობაა — გაქცევაში შეჯიბრებით.

მალადანა დანის მსგავსი იარაღი კალატოხისა, ჩუქურთმების გასაქმებელი.

მალაპატარა მალადანაზე (ნ.) მომცრო იარაღი, ჩუქურთმის საქრელი ქვაზე.

მამლუჩაი ყვირილი.

1. მანანა პატარა და კარგი რამ.

„ერთი პატარა მანანა ხან გეიცინებს, ხან არა“.

(გამოცანა = ციცინათელა).

2. მანანა ზრდაში ჩამორჩენილი და ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის ქია.

3. მანანა ძველი „ჩაირამა“ (ნ. სიმღერები გურიაში).

მანდიჭოფური ყურძნის ჯიშია.

მანჭიკაი შარდის ბუშტი. „რა ამბავია ამდენი წყალის სმაი, გასკტები მანჭიკაზე!“ „მანჭიკაი გაგისკტა.“ წყევლაა (შდრ. საბა მაქიკი).

მართეს გამოსვლა ნაყარი

ფუტკრის გამრავლება. „სკამ მართვე გამუშუვეა“ — ფუტკარმა იყარა (აქარა).

მარილნაკენი მლაშე.

მარტოტკალაი მარტოდ-მარტო.

მარჩენალაი ნ. ძროხის სახელები.

მარკვალი მანკვალი.

მასტი მარდი, მალხაზი, მარჯვე.

მატატი მოტიტინე ბავშვი.

მატაური, მატაურის ქარი (ა. მ.) სენი ძვლისგამტეხი. „მატაურმა შიახმოს მისი ხელი და ფეხი“ (წყევლა).

მატაურის ქარი ნ. მატაური.

მაფხაქუნაი პატარა ჩიტია. მოგროძონისკარტიანი, ზურგი მწვანე აქვს. კოდალას მსგავსად დაცოცავს ხეზე. ბუდეს ხის ღრუში იკეთებს და ღრუში ჩასაძვრომს ლესავს ძალის ფინთით. ბავშვები შიგ ხელს ემღარ უყოფენ.

მაქლიქი (ქ.ლ.) პირში მაქვბარი, პირფერი, მლიქვენლი.

1. მაქციერაი ერთნაირი ჩიტი, რომელიც თავს იმკვდარუნებს, რომ დაქერას გადარჩეს: გაღაც. თავის მოკატუნება რომ სჩვევია. ისეთი აღამიანი; კეკლუცი, კობტაობის მოყვარული, კოკეტი.

2. მაქციერაი პატარა, ბელურას ოდენა მოხდენილი ჩიტი.

მალაქი სადილობა დროშუად-
ლის 12-დან 1 საათამდე (ნ. დაბა-
ლი სადილობა; შდრ. ქყ. მალაქი
ვანშობა).

მალაქი ხმაი ტენორი.

მალნარი ნაყანევი ადგილი, „მო-
საყანებელი“. დროებით აყანებდ-
ნენ, რვა წელიწადს ასვენებდნენ
და მერე ისევ დაამუშავებდნენ. და-
ბლობზე ასეთ ადგილს ეწოდებ-
ოდა დობირო, მალლობზე —
მალნარი.

მაცურული ნ. სიმღერები გუ-
რიაში.

მანე: 1. ზოლოხი ბადე, 2. ოკი-
დოშა, 3. რაგვი, 4. საფენი, 5. სხა-
პი (ნ. თავ-თავის ადგილას).

მახსოვნობა მებსიერება, მახ-
სოვრობა.

მგელისტოტა სამკურნალო ბა-
ლახია.

მდივანე ნაკელი, პატივი, მიწის
სასუქი.

მედიული მოიხედე, იხედული.

მეზერი საფლავი. „ამის გულიზა
მეზერი ში ჩაგსდევ, არ შეგარჩენ“.

მერე დაბალი, ნოყიერი სასნავი
ადგილი (შდრ. ჩუბ.).

მერი (ა. მ.) ქაქის დასაწურა-
ვი ხელსაწყო (შდრ. ბერ. მერე-
ტაფა).

მერული სამთითი, ფიწალი;
აქიდან: გამერულვა (ნ.; შდრ.
საბა მერული, ბერ. მელული).

მერცხალაი ნ. ძაღლის სახელები.

მელამიევი ღამურა (შდრ. ჩუბ.
მელამურე).

მეყანე ხარი ან ძროხა, მხეთ-
ქელი ხარი ყანაში ქესელას დაჩ-
ვეული; გამსუნაგებელი იმდენად,
რომ ლობესაც კი მიანგრ-მიანგრეც
და ყანაში შევა.

„მეცამეტე გოჭი“ უადგილო, ზედ-
მეტი, მეტიჩარა.

მეწლე ხეხილი, რომელიც წე-
ლიწადგამომეებით, წლისჩაგდებ
ისხამს ნაყოფს (შდრ. ჩუბ.).

მეწრიხალი წიხლის მსროლელი
ოთხფეხი, მეწიხლია (ივ.).

მეხის ნატენი მეხის დაცემით
გადამლნარი ქეიშა (შდრ. ჩუბ.
მეხი).

მზე შინა ძველი ხალხური
სიმღერაა (ნ. სიმღერები გური-
აში).

მზისყური მზიანი კუნჭული.

მთავარი სული სიცოცხლის უმ-
თავრესი ძალა. „ჩემი მთავარი
სული მაშინ წვეიდა, იი გენის
ცეხლი რომ დავმარხე“.

„მთას შესცინა“ ნაშუადღევს რომ
მზე მთას მიანათებს, იტყვიან: მზემ
მთას შესცინა, ხვალ ავდარიაო.

მთვარემ დაივაჯაშმა მთვარე
მოგვიანებით ამოცლის პერიოდში
შევიდა.

მიდევება ხშირ-ხშირად, ზედი-
ზედ მოწოდება, მიცემა. „ნუ მი-
დეზეფ ბალანას მაგ საკმელს,
თვარა გადაცთება და დეირჩობა“.

მიეფინე წითელასებური ავად-
მყოფობა; კანს წითლად მოეფი-
ნება და გაივლის ცოტა ხანში.

მიკალიფება მიწყობა, მილა-
გება.

მიპირება 1. მიმართულების მიცემა (მკენარისათვის). „ვერ მუჟპირეთ მაგი ლობიე, რომ რჯლას ახოლოდა“; 2. ერთი პიროვნებიდან მეორეზე გადატანა ვალისა.

მირამორე (ქ. ლ.) ახლომახლო.

მისადაგება მიგუება.

მისირის წყალი ნილოსი. „ვერა გავივე ვერაო, მისირისა წყალისაო: ხან სუთია და ხან რვაო“ (ძველებური თქმა ორკოფი ადამიანის შესახებ).

მიტენტერება დაუდევრად, უყურადღებოდ მიგდება და დაევიწყება. „სამიატენტერე, ქალო, ჩემი კაბალახი?“

მიქიმოქიე ლაქაცუნა, პირფერი, სიტყვის მიმტან-მოშტანი.

მიქინი: არას მიქინით არ ქნა! არაფრის გულისათვის, არავითარი ხეწნით არ დათანხმდა.

მიქინძილებული, მიქინძული (ქ. ლ.) კარგი ნასხამი, მრავალნაყოფიანი, ქინძის თესლსავათ მკიდროდ მოსხმული.

მიქინძული ნ. მიქინძილებული.

მიფარაქალება მეტისმეტი სიხარულით შეხვედრა. „რაფერ მოგატარ თქალდა, ცაჲ, აი ბაღანაი“.

მიფარახება ფართოდ მიჯდომა და დაფარვა იმ საგნისა, რომელსაც მისჯდომია. „რომ მიფართხები ხარ მაგ ფუხარს, პაწაი მეც დამანახვე ცეხლი“.

მიღანილებული მისუსტებული, მიღნეებული.

მიწას არ აშორებია ჯერ პატარაა. „რუა (როვა) გამიბედა მაგ ყაზილარმა! მიწას არ აშორებია ჯერე!“

მიწის სამძიმარი, დედოქაწის სამძიმარი უკადრისი, ამპარტაენი ადამიანი, თავის თავის გადამეტებით დამფასებელი. „არ დამანახვა, ნეტაი, მაი მიწის სამძიმარი“.

მიჭიპჭიპება ნ. მოჭიპჭიპება.

მკვიპე { ნ. კვიპე.
მკუპე }

მოანაგერება ნ. მონაგერება.

მოზიგჯა ბიგით (ორითით) გასუფთავება საყანე ადგილისა.

მოზოდრეშება გადამდები სენით შეპყრობილი ავადმყოფის მიაღერება იყო ძველად, მიფერება ამ სენის შექებით (მაგ. წითელასი, ყივანახველასი და შისი „ბატონობით“ მოხსენიება (შდრ. ბერ. ხიოდი).

მოზულბულება: მოზულბულა და წამოიკეთა.

მოზლუნკული, ბლუნკი მოკუნცხული, მოკაკული (შდრ. ჩუბ. მოზლუნძვა).

მოგოგვნა საყანე ადგილში თოხით ბალახისა და წერილი ბუჩქების მოწმენდა. „მაგი ადგილი თუ არ მეიგოგვნა, ისე დახვნა არ მიეწყობა“.

მოღღლეშილი ნ. ღუნდრუცი.

მოდო, ჩემო ნინო სუფრის ღიღინი (ნ. სიმღერები გურიანში).

მოდუნდრუცული ნ. დუნდრუცი.

მოდღურული მოთხენული, პირისახე მოსერილი. „რაფერ მოდღურულა აი ბაღანაი, დაბანეთ პირი“.

მოვანება, ბოვშის მოვანება მუცლის მოშლა ორსულისა (შდრ. ბერ. მოვნებული).

მოზორვა ნ. ზორვა.

მოზრუგვა (ქ. ლ.) მოზურგვა: დიდი ტვირთის წაღება. გატანება.

მოზუკუტურიება ნ. ზუკუტური.

მოთათარახება ნ. თათარახი.

მოთათუნება ნ. თათუნი.

მოთადრე მოსაზღვრე. „ნიკოიე ჩემი მოთადრეა“ (ნ. თადარა).

მოთემბვლა ტკბილი სიტყვით მოტყუება, მოთაფლვა. „იმისანა-იმისანა მითხრა, რომ, მომთემბლა კაცი“.

მოთრეული კაცი ცბიერობით მიუყოლედი კაცი.

1. მოთურთქვლა, აქიდან: მოთურთქლული ნაჩქარევად და უხეიროდ გამომცხვარი ან შემწვარი. „რას გავს აი ქადი, რაფერი მოთურთქლულია!“

2. მოთურთქვლა (ქ. ლ.) სატკეჩე წნელის ცხელ ნაცარში შეღება, რომ მოქნილობა ჰქონდეს.

მოიარებით მორიდებით, ზრდილობიანად. „აი შენი ბიჭი ნამეტანი მოიარებით ლაპარაკობს“ (შდრ. ქყ.).

მოიხაზობა ძველებური დღესასწაული. ამ დღეს ბავშვებს სა-

თითაოდ შეულოცავდნენ: უწმენდნენ სუფთა წყლით დასველებული ჩვრით თვალებს და იტყოდნენ: „ხატო მოისარისაო, ამის თვალს ააცილე ყოველნაირი ავადმყოფობა: ფარჩხი, ფურჩხი, ნალი, ლურსმანი“ და სხვ.

მოკანწული ნახევრად მოხარული. „ჯერე დიდხანს უნდა იდღლოს, მოკანწულიც არ არის“.

მოკეკვა წისქვილის ქვების გადაღესილი ხორკლების აღდგენა წალკატით.

მოკენჭული, მოკენჭილი გზატკეცილი.

მოკონილი მაგრად მოკრული მცარე ბარგი.

მოკოპვა ქალამნის ასხმა ნაოქვებით (შდრ. ჩუბ. კოპი; ბერ. კოპური).

მოკტი-მოჩიე ვინც ხშირად მძიმე ავადმყოფია და ისევე წამოუდგება ხოლმე სნეულებას.

მოკუნკლული მორკალვით დაწოლილი. (შდრ. მოკურენცხული; საბაკუნტვა, ჩუბ. მოკუნტვა, ბერ. მოკუტვა).

მოკურენცხული წელში მოკაული, მოხრილი.

მოკურკუშება, დაკურკუშება, მოკურკუშვა მოკუმშვა, მოგუნდავება (ნ. კურკუთი, შდრ. დაკურკუტება).

მოკუტურიება, მოზუკუტურიება ნ. ზუკუტური (შდრ. ბერ. კუტალიება).

მოლანტული ნ. ლანცვა. მომხმარებელი ტანში მოშვებუ-

მოლაღება გულისა .ისე გაძლომა, რომ საკმელი აღარ იზიდავს. „ისე მოლაღებული მაქვს, რომ როისმე თუ ეკამ აღარ მგონია“.

მოღენგვრა ხეხილის დაუსოგველად გაცლა ხილისაგან ლენგერაის ტყორცნით. ზღაღ. „მოგიღენგერეთ ზრუგს“.

მოღენჩქურება ნ. ლენჩქური.

მომბრუნვალე წყალი მორევი.

მომთვარვა ბავშვის დაბნელა სიცხისაგან (მაღალი ტემპერატურისაგან ავადმყოფობის დროს) ან კიებისაგან. „მომთვარა“, „მომთვარულია“, „მომთვარავს“.

მომიათ შენახვა ნ. მუმიათ შენახვა.

მომოცება ხბოს მიშეება მოსაწოვებლად, რომ წველა გაადვილდეს. „მუამოცე ცავ, კილო!“ (შდრ. ბერ. მოცნა, გენვა).

მომტანი (ქ. ლ.) უმტროსი, მომდევნო. „გოგო ბიქის მომტანია“ — გოგო ბიქის მომდევნოა, შემდეგ დაბადებულია.

მომშუშული ძელგი, მძლაგე, საკმლის ცული გემო, რაც სანელბელისაგანაა გამოწვეული.

მომღვიძარება მძინარის გამოსალვიძებლად ზომების მიღება. „მუამღვიძარე, ცავ, თვარა ნამეტარი სძინავს მაგ ბალანას“.

ლი, მოღენებული.

მონაგერება. მონაგერება ყანის აღების ან ხილის მოკრეფის შემდეგ დარჩენილი კირნახულის ან ხილის მოძებნა-მოგროვება. „ახლა სიმინდი მინდა მუანაგერო ყანაში“ (შდრ. ბერ. მონაკერება, ჩუბ. ნაგერალი).

მონაქნევი მიხვრა-მოხვრა. „ქი მონაქნევი აქ ამ ქალს, კარგი მიხვრა-მოხვრა აქვს“.

მონთქმა: ერი მონთქმად ერთ შესუნთქვაზე რომ წყალს გადაყლაპავ. „ერი მონთქმა წყალი თელ ქვეყნათ მიღირდა, მარა სად იყო.“ (შდრ. ბერ. მონთქი).

მონიავება ფართოდ დაღვრა რისამე ან მარცვლეულის დაყრადღებანტვა.

მონოშვილი უსუფეთაოდ მიყრილ-მოყრილი, ნოშოთი დაფარული ადგილი.

მოპაინება (პაენანი) საიღუმლოდ მოხზობა დანიშნულ ადგილას.

მოპეტმეზება ნ. მოპიზმიტება.

მოპიზმიტება (ზემო გურ. მოპეტმეზება) ქათვისაგან გაწმენდა დულილის დროს. „ტბილის მოპიზმიტება“.

მოფრობა ნელი დუღილით მოზადება (ნადულარისა); გამომჯრალი საქმე დიდი ხნის მოსაწყენი საქმიანობით ნაკეთები.

გამოაქრო დარიო — იტყვიან, ამინდის ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ რომ დარი დადგება.

მოუხეტელა ნ. ეუნტალი.

მორება რომელიმე სნეულების შემოტევა. „კადო არ მუუარა მაგ უბედურს?“

მორთვა მოხერხება. „ხომ მოხვალ ბეჯითათ? (ნ.) — თუ მოვრთე, მუალ!“

მორაზვილია მაულაკებელი, არეულ-დარეული.

მორცხვა თავისა, თავის მორცხვა (ქ. ლ.) თავის მოწენა დაღობვისას, მაგ., გოდრისათვის.

მოსარგალება მოსრესა და გაფუჭება.

მოხასიაფი ცხირი რომ მოეჭავებათ გურიაში, მოსასრადიო იტყვიან: სტუმრის მოსწრაფების ნიშნად თელიან. „მოსას- [წ] რაფია, ვდნება მუა ნამდვილი“.

მოსაქანი სახსარი (სხეულისა). „გეიქნია და კაკალ მოსაქანში მომარტყა“.

მოსაქცევი ნ. მოქცევა.

მოსაყანებელი მიწა ნ. მალნარი.

მოსენთება ადგილმდებარეობაში გარკვევა, გაგნება. „ისე დაშებნა ტინი, რომ ძვილაი მევისენთე“.

მოხინვა სპილენძის ქურჭლის

მწვანე საწამლავეთ დაფარვა. „მოსინული არ იყოს მაი ქურჭელი და არ მევიწამლოთ“.

მოხანაილება ნ. სინსილი.

მოხეხნიერება მწვავე ტკივილის მოკლა ხანვამოშვებით. „მოტეხნიეოებამ უხშირა... მალე მორჩება (შმობიარე)“.

მოტლენილი ცუდად მოხელილი.

მოტოლვა ძაფისა ძაფის ორფად ახვევა, სანამ შეიგრიხებოდეს.

მოჯარაზვა ფარჩებით დაფარვა ბოსჩინის კლეისა, რომ ქათამ და სხვა ფრინველი ვერ მიუღეს გასახრეად.

მოფთიანება ფრთების წამოხრდა (წიწილებისა).

მოფულურებულა მობუხული, მოწყენილი, მოაეადებული (მაგ., ფრინველი).

მოქერეჯული ნაბადივით წამოსხმული რამ (ნ. ქერეჯაი, შდრ. საბა ქერეჭი).

მოქნეული წვიმა ქარიანი, მაგარი და ირიბი წვიმა.

მოქცევა გახუნება (ქსოვილისა); მოსაქცევი გასახუნებელი (ფერი, ნაქერი, კაბა და სხვ.); მოქცეული გახუნებული.

მოქცევა კრუხისა გამოკრუხება.

მოღალანებული კვერცხის მო-

საწყებად განზადებული ქათამი. „აი დედალი ისეა მოლაღანებულა, რომ მალე მეიწყებს კვერცხს“.

მოდღეინებელი მრგვალად მოღუნული. „მოლაღეინებული ცხვირი“.

მოლაღებელი მეტად გაღვლილი. „რავა მოგიღიადებია მაი გული, ცავ!“

მოყანება (ბ. ლ.) საყანედ მოზნადება (ადგილისა).

მოყინცილება ნ. ყინცილი.

მოშიბვა მონაოჭებით თავის მოყრა (მაგ. პარკის, ქისისა და სხვ.), რომ შიგ ჩადებული არ გამოცივდეს. „მოშიბე მაი ტუშარაი, თვარა ქე გამოცივა ყორიფელი“.

მოჩენება ღომისა ღომის საბოლოოდ გაცეხვა.

მოცვეთი მორბედი, ოჯახის უმცროსი წევრი, რომელსაც სხვების დავალებით უხდება წასვლამოსვლა (შდრ. ელ.).

მოცლითაი მოკლილ დროს, თავისუფალ დროს კეთება. „მაი საბანი მოკლითაი უნდა შეიკეროს“.

მოძაძვა ღობის თავის შემოსვა ძაძით (ნ.).

მოძახილი ნ. სიმღერების ხნები.

მოძევა მოძებნა; პოვნა. „ერი რაცხა მევიძიე და არ გეტყვი“.

მოძაბლვა დაჭერა, დამორჩილება, მორევა.

მოწონება მოწევა, ჩამოწევა, მოდრეკა ტოტისა ხილის დასაკრეთად. „მოშიწონიე ერთი მაი შტოი!“

მოწყება 1. შემოღება.

„ახლა ქალებს მოუწყია მოვის კაბა სატანტურა“ (ნ.) (ხალხური).

2. დაწყება „ამ ქათამმა მეიწყყო კვერცხი აი ორი დღეია“.

მოწყვეტა მუცლისა ორსულის მუცლის მოშლა.

მოჭიის, მოჭიის ამ სიტყვებით კრუხსა და წიწილებს უხმობენ საკენკის მისაცემად.

მოჭიპიპება, მიჭიპიპება მჭიდროდ მიკვრა, მიწებება; ჩაციება. „რავა, რომ შიაკიპიპიპდი მაგ წიგნს და აღარ შორდები!“

მოჭმა-მომოდვილება გამოფიტვა (ნიადავისა).

მოჭუბუკვა თავის მოყრა, დაბნეული ნივთების ერთად ლამაზად დაწყობა.

მოჭყლიპურტული მოქყლეტილი.

მოჭყუპვა ანაოქება.

მოხავიწებული ნ. გადახავიწებული.

მოხონოლოგებული წამოზრდილი. წიწილებზე იტყვიან: მოხონოლოდენო.

მოხუბურკვლა ადამიანის შე-
ბოკვა ხელის მოხვევით.

მაჯანიშული მოსავადებული.

მოჯგინვა ნაჭრების, ნაფლე-
თების, ნაფოტების დაყრით გაუ-
სუფთაება. „რაფერ მო გ ი ჯ გ ი -
ნ ა კ თ აქოურობა“.

მჟავა-მჟავა მჟაუნა (ბალახი).

მჟღერი წკრიალა ხმის გამომ-
ცემი; კ ა ი მ ჟ ღ ე რ ი კ უ რ კ ე -
ლი. კურკლის ვარგისობის შესა-
მოწმებლად წკიპურტს ჰკრავენ და
თუ „კაი მჟღერი კურქელი“
გამოდგა, იყიდიან.

მრავალგვარი ნ. სასიმღერო გა-
საღებები გურიაში.

მრავალგვარადმიერ ნ. სიმღერები
გურიაში.

მრავალწიგნაი ნ. მრავალკინკაი.

მრავალკინკაი, მრავალწიგნაი
მკობნელ ცხოველთა კუქისთავი,
მრავლად დაკეცილი წიგნივით
(შდრ. ბერ. ცხრაპატარძალა).

მსუქანი ნიადაგი ნაყოფიერი,
გასუქებული (ნ. ნიადაგის სახელები
გურიაში).

მსხალუვითელი საადრეო ჯი-
შის ყვითელი მსხალი.

მსხილათობანი საშუალო ტა-
ნის ვაზია, საკმაოდ ნაყოფიერი.
ბევრი ნაყარი (ნ.) იცის. ლერწები
საშუალო სიმსხოსი მოყვითალო
ფერისა აქვს, მუხლები — მოკლე;
ფოთლები — პატარა, მოგრძო, სამ-
ფრთიანი, უმნიშვნელო ნალრები-
ანი. ფოთლის კბილები ძალიან წვრი-

ლი, მახვილი აქვს; ფოთლის ზე-
დაპირი — უგინგლო, ღია-მწვანე,
მიგნითა — გინგლიანი; ყუნწი —
გრძელი, წვრილი; მტევანი — სა-
შუალო სიდიდისა, საკმაოდ მკვრი-
ვი; ლერწი — მოკლე, მსხვილი. აქვს
ნაყოფის ლერწი: მარცვლები — სა-
შუალო სიდიდისა. შავი, მრგვალი,
კანთხელი, მდიდარი საღებავი ნივ-
თიერებით; გული — ძალიან წყლია-
ნი, ტკბილი აქვს. ამ ჯიშს მეტად
ეტანება „ნაცარი“. მსხილათობანი
მძლავრ ღვინოს იძლევა, შავი ფე-
რისაჲს. აშენებენ საჯავახოს, ციხეს,
ჯვარცმასა და სურებს.

მტევანდიდი საღვინე ვაზის ჯი-
ში. ღვინო იცის მუქი წითელი და
მაგარი; სასიამოვნო გემო აქვს,
სურნელოვანია, კარგად ინახება;
ტიკებით შორს გადატანასაც კარ-
გად იტანს. რამდენადაც ძველდე-
ბა, უმჯობესდება, სწრაფად იზრ-
დება, ბევრს ისხამს. მსუქანი ნია-
დაგი უყვარს. ლერწები აქვს გრძე-
ლი, მსხვილი, მწვანე ან მიხაკის-
ფერისა. ლერწი მუხლებს შუა
გრძელია; ფოთლები დიდი, თით-
ქმის მრგვალი, მწვანე ფერისა აქვს;
ლერწების ნალრები — ღრმა და ღია,
ხოლო ფოთლის კიდეების კბილე-
ბი — წვრილი და მახვილი. ფოთო-
ლი ზემოდან უგინგლოა, ქვემოდან
გინგლიანი; კუნწი — გრძელი და
წვრილია; მტევანი — დიდი, ფთე-
ბიანი, მეჩხერი და ტოტებიანი აქვს;
მტევნის კუნწი — მოკლეა, ნაყოფის
კუნწი — გრძელი; მარცვლები — შა-
ვი, შედარებით დიდი, ოდნავ მოვ

რძო, თხელკანიანი, წვნიანი, ტკბილი, მაგრამ არა იმდენად გემრიელი, როგორც ჯანი (ნ.). მტვევანდიდი მებად გავრცელებულია გურიაში.

მუღწევა (ქ. ლ.) ზრუნვა, ცდა; უმუნა ეცადა მისთვის.

მუშიათ, მოშიათ შენახვა საგანგებოდ, კარგად შენახვა.

მურღუ ნათლია, ბავშვის მომნათვლელი, მორღუ.

მურეში გამურული, გაქუჭყია-ნებული (შდრ. საბა მურეში).

მურია ნ. ძალის სახელები.

მუშის კვიტანციე ქალაღღის ფული. ასე უწოდებდნენ გურიაში სამოცდაათიან წლების პოლიტიკური (ნაროდნიკული) მოძრაობის დროს გურულები ქალაღღის ფულს.

მუჩუნეი/ი ჩუმ-ჩუმი, მეტად წყნარი.

მუხაშარიეს გაღარება თავზე გაღალაჯება, რაც, ხალხის ცრუმორწმუნეობით, მიხარღღის სრღღას დააბრკოლებს. „მუხაშარიე გაღამარო“—თავზე გაღამალაჯა ფეზი გაღამავლო.

მძღავე უგეუ/ი, სიმკეფენაკლები საქმელი (შდრ. ბერ. ძელგი).

მწატე ცხარე, მოწწარო. „მწატე გემო“, „მწატე სიტყვა“. „მწატე კაცი“, „მწატე თიღის თქმი...“ აქიღღან: ამწატებული (ნ.; შდრ. საბა, ჩუბ. მწლატე, მწკლატე).

მხეღარი (ქ. ლ.) ქკუიანი, აკკარღღის გამგები (ჩეუულებრივ მიზრღღილ აღამიანზე იტყვიან).

მხეთქელი ხარი ნ. მეყანე ხარი.

მჯობი (ქ. ლ.) უფროსი. „ბიქი სამი წღღით ჯობია ციღას“; მაღი ჩემი მჯობია“.

6

ნაგერაი (ზემო გურიაში ანაგერაი) აღებულ ყანაში (სიმინღღის მოსავღღის აღების შემდეგ) დარჩენიღღი ჭირნახული, რომელსაც საგანგებოდ ეძებენ და აგროვებენ (შდრ. საბა ნაგერაღღი, ბერ. მონაკვერება, ჟღ. ანაგერა).

ნაგვეხი/აი ღღიდი ნატეხი (მქაღღის ან პურისა).

ნაგრაში (ქ. ლ.) ნამრავღღი, შთა-

მომავღღი (შდრ. ქკ. ნეგრო, ნოგრო; ბერ. მონაგარამება).

ნაგრი (ქ. ლ.) მოყანების (ნ.) დროს კიღღებში გრღღად მიყრიღღი ნფოცხი და ბუჩქნარ-ჩირგვები (შდრ. ნაგრის გომბიე).

ნაღღუი ნ. სიმღღერები გურიაში.

ნაღღული ღღვინო საწნახღღიღღან შუმი ღღვინის ამოცღღის შემდეგ მქაღღს წყაღღს დაასხამენ, მაგრად აზე-

ლენ კობულთ (ნ.) და აცლიან ადუღებს. ამ წესით მიღებულ ღვი-ნოს უწოდებენ ნადულს. იგი ძა-ლიან გალაა (ნ.), ბურახისებური სასიამოვნო გემო აქვს.

ნაზარი ნაბზარი, გაბზარული.

ნათავაი ღვინო ახლად მოხდი-ლი ქურიდან პირველად ამოღე-ბული ღვინო; ნათავაი ღვინო დამზადებული ღვინის პირველი კერ-ძი; აბრეშუმის ნათავაი პირ-ველად ამოღებული ძაფი, მსხვილი, უხეში. ნათავაი ხარისხით სხვა ნაწილებზე დაბალია.

ნათალაი ხილის ნაფტკეენი, და-ნით მოცლილი.

ნათქისელაი (ქ. ლ.) პაწაწკინ-ტელა ჩხირი, მაგ., კბილის საჩიჩ-ქნად სახმარი.

ნაკადი (ქ. ლ.) ჩამოთხრილი ან ბუნებრივად ჩამოქცეული ფერდი.

ნაკიდურაი ფიცრების ან ქსი-ვილის კიდე (ხარისხით მდარე ნა-წილია).

ნაკირკვალაი, ნარჩიელაი (ნ.) საქაფედ უფარგისი მატყლი. „ჩემ-და ნაკირკვალაი დუფტიებია და კაი ქე წუთულია შინ“.

ნაკოტალა მარცვლებისგან გა-ცლილი სიმინდის ტარო.

„ნალიეს შეძვრა“ შენახვის შემ-დეგ საჭირო სიმინდის პირველად გამოღება. ნალიდან.

ნამეტარი ნამეტანი.

ნამოკვარაი (კვერცხი) კრების ნაჯდომი გალავებული კვერცხი, ნამოთვარაი.

ნამუსის შენახვა საიდუმლოს დაცვა, გაუმხელობა.

ნამუშიერი მოსავალი, კირნახუ-ლი; ნამუშიერის ალაგება— კირნახულის მოწევა.

„ნანიანი“ ნ: სიმღერები გუ-რიაში.

ნაპერტყულია აბრეშუმის პარ-კის გარშემო დახვეული ბუმბლი (შდრ. ბერ. ნაპერტყულა).

ნაუღვალი თეთრი ღვინო, სა-გვიანო (ნ. ღვინის ჯიშები გური-აში).

ნარდი ქორი ან მიმინო ერთ წლამდე.

ნართისნართი (ქ. ლ.) ვილაც შორებელი (შდრ. „ყვავი ბუის ბა-ბიდაი“).

ნარჩიელაი გადარჩევის დროს დაწუნებული ნაწილი: ნარ-ჩიელაი სიმინდი, ნარჩიე-ლაი ჩივოსი, თხილი და სხვ.

ნახმანი სხეული, ტანი. „მოთე-ლი ნახმანი მტკივა“.

ნატეხარაი ქოთნის ნატეხი, ქოთ-ნისავე სარკველად გამოყენებული.

ნატუსალაი (ქ. ლ.) პატარა ტა-ნის, დაღეული ადამიანი (სალანძ-ლაი სიტყვაა).

ნაფოხიერი უხეიროდ, არამკვიდ-რად ნაკეთები რამ. „ქი არ გარ-

ლოულა აი შენი ნაფოხიერი ლობე.“ (მღრ. ბერ. ფოხი, ელ. ფოსვა).

ნაკვებები ზრდაში ჩამორჩენილი (წიწილი).

ნაქნარი 1. ნამოკმედარი. „კი გიზამ ნაქნარს, რომ გეკადრება იმისთანას!“ (მუქარა); 2. ტანადი, კარგი შესახედავი. „კი ნაქნარი ა“.

ნალრედაი დალარული, ღარებიანი (მაგ., კიქა ან სხვა ქურქეული).

ნალრი ჩაღრმავებული ზოლი; ნალრებიანი (ვახის ტოტები ნალრებიანია).

ნალხიანი ნ. ნახსიანობა.

ნალუჭი ნაკუწი, პატარა ნაკერი ქსოვილისა ან ქაღალდისა.

ნაყარი ახალამოყრილი რტოები.

ნაყრობა ფუტკრის გამრავლება, სკის რაოდენობის გადიდება.

ნაცალფებევი ნ. ცალფებ.

ნაცარისძალი ნაცარტუტა, ნაცარის ნახარში წყალი, ხმარობენ სარეცისათვის, როგორც ტუტე წყალს; ნაცარგარი.

ნაძალი მთავარი სატივირით გამოწვეული მეორე ტკივილი (მაგ., კბილის ტკივილის დროს ყურის ატკივება: „ყური მტკივა, კბილის ნაძალი უნდა იყოს“).

ნაძეძი ნაძენძი.

ნაძველაი (ბოსტნეული) წინა

წლიდან დარჩენილი ბოსტნეულის ამონაყარი.

ნაძირი აბრეშუმის ქიის ჩელტზე დაგროვილი ნაგავი: თუთის ფოთლების ნაფუტქევენები, ქიის სორსლები და სხვ.

ნაჭა ნაჭი, წენგო.

ნაჭუატურაი აბრეშუმის ქიის დასრულბელი, რბილი, უვარგისი პარი (მღრ. ბერ. ქექყ; ნაჭექყურაჲ).

ნახაპურაი თავის ქალა.

ნახდის ხორცი საქონლის ხორცი, რასაც ტყავი გახდილი აქვს.

ნახმერტლა ცხენის ნაჭამი ჩალისაგან დარჩენილი ნამტვრევები.

ნახსიანობა წყენის დიდ ხანს დახსომება. ნახსიანი, ნალსიანი წყენას, შეურაცყოფას რომ არ ივიწყებს, ძვირმხსენბელი.

ნაჯინჟი დათვი გაბოროტებულ დათვზე იტყეიან.

ნაჯინჟურალი ჯიხურის ნანგრევი.

ნელი ლობიე მწვანე ლობიო.

ნელჩქული წყალი ნელაბილი წყალი (ნ. ლენჩქური; მღრ. ბერ. ნელი-გიყო).

ნთქორი თქორი.

ნაგაბი (ა. მ.) ნაირი. „რა ნაგაბი ბალანი ხარ, ხელს რომ ვერ გააჩერებ მიდღემში.“

ნიადაგის სახელები გურიაში: დიხაშყო, დობირაი, ეწერი, ზეგა-

ნი, თირი მიწა, თინნარი, ლაგაზა მიწა, მალნარი, მერე, მსუქანი ნი-
ადავი, მჩატე მიწა, მძიმე მიწა, მწირი მიწა, ორიკვი, საკურკლე
მიწა, სახრომიწა, უკი მიწა, ფხვი-
ერი მიწა, ქვიწნარი, ყარი მიწა, შავი მიწა, წითელი ეწერი, წითე-
ლი მიწა, ჭონჭყო ადგილი, ხრიაკი მიწა.

ნიგვზით მოტყუილი კვერცხი დაფეშვილი (ნ.) ნიგვზი და ათქვე-
ფილი კვერცხი, კეცზე გამომცხვა-
რი და ნიგვზიან საწებელში ჩადე-
ბული.

ნიგუზალი მუგუზალი (შდრ. ჯლ. ნიგუზარი).

ნიკურტი წალდის წვერი (მოკა-
უქებული).

ნიორთა ნაჭურჩელი სულ ცო-
ტა, უმნიშვნელო სარგებლობა.

ნისკარტნაკრავი კვერცხი კვერ-
ცი, საიდანაც წიწილი გამოჩე-
კას იწვებს.

ნისლელა'ი' ნისლისფერი ძრო-
ხა (ნ. ძროხის სახელები).

ნოთია'ე' ნ. ძროხის სახელები.

ნოინი ნ. სასიმღერო გასაღებე-
ბი გურიაში.

ნოლა ნორჩი მოზარდი ხე.

ნოლნარი ნოლებით (ნ.) დაფა-
რული ადგილი.

ნუნა ღრძილი; „ფრჩხილთ გა-
რემო ტყავი“ (საბა, ჩუბ.).

ნულრი (ა. მ.) ახალამოსული,
ნორჩი ისლი.

ნჯიქვება ნიდაყვის კვრა (შდრ.
ბერ. ჯიკავი, ჯიკება).

ო.

ოგვადო (ა. მ.) აბრეშუმის ამო-
სახვევი ორპოტიკა ჯოხი, სა-
მუხელი (ნ. ბერ.).

„ოდელია“ ნაღური სიმღერაა,
სამჯერ იმღერება ყანაში: დილას,
შუადღეზე და საღამოს.

ოთურა რკინის სოლი.

„ოთხი ნანა“ ხალხური სიმღე-
რაა (ნ. სიმღერები გურიაში).

ოთხში ამოღება ცხვრის, კურდ-
ლის, თხის გატყაყევა ფეხებიანად:

ოთხში ამოგიდებ — ტყავს
გაგაძრობ, სასტიკად მოგეპყრობი.

ოკიდოშა (ა. მ.) ოთხკუთხი
ასაბამი პატარა ბადე, რომლითაც
ფრინველს იჭერენ (ნ. მახე).

ოლამფარო (ქ. ლ.) ლაფარო,
ფეფენიკო (ნ.).

ორე დიდი ვარცლი. „უნახავმა
ორე ნახა: ოო, რა სანახავიაო“
(შდრ. საბა, ჩუბ.).

ორთავიანი გადამეტებულად
გაბედული. „ვინა ავი ორთავი-
ანი, ჩემს საქმეში რომ ერევა?“

ორთითაი ორი თითით; ო რ თ ი -
თ ა ი რისამე გამორამევეას იბრძნიდ-
ნენ (ნ.).

ორიანობა მეზობელი სოფლე-
ბის ერთმანეთზე თავდასხმა იყო
ძველად გაძარცვის მიზნით.

ორკვაჭი ტყუბი ვაშლი, ნიგო.
ზი ან სხვა რამ ხილი ერთ კუნწზე
გამოსხმული.

ორმოსავლადი, ოროლადი აბრე-
შუმის კიის ჯიში გურიაში (ნ.)
ძველად: მოჰყავდათ წელიწადში
ორჯერ; ყვითელი მომცრო პარკი
იციოდა და მდარე ხარისხის აბრე-
შუმს იძლეოდა.

ორმოცი მიცვალეხულის დატი-
რება გარდაცვალეხიდან მეორმოცე
დღეს (შდრ. ჩ უ მ).

ოროკი ნარიყალი, საყანე (შდრ.
ს ა ბ ა ო რ ო კ ო).

ოროლადი ნ. ორომოსავლადი.

ორონა გურული საღვინე ვაზის
ჯიში.

ორონხორი 1. ულამაზო სახის
ადამიანი; 2. ძნელად სავალი უს-
წორმასწორი გზა ან ადგილი;
3. უწესრიგოდ მიყრილი ნივთები.

ორტაბახანი, ორტაბახი (ქ. ლ.)
ორნაირი, ორგემოვანი, აქიდან:
გ ა ო რ ტ ა ბ ა ხ ე ბ უ ლ ი. „აი ღვი-
ნო გ ა ო რ ტ ა ბ ა ხ ე ბ უ ლ ა“ (ღვი-
ნო ტკბილიც იყო და მჟავიც. შდრ.
ს ა ბ ა).

ორტოლა ჯირკვალი, რომელიც
გრძლად, ორ ზოლად გადააწვება
კაცს სიპაში.

ორშუმი, ოშუმე ძალიან დი-
დი კოპე, რომლითაც იღებენ ახალ
ღვინოს საწნახლიდან (შდრ. ბ ე რ.
ორშიმო).

ორჭილო სასირე ბადის ბაწა-
რი.

ორჯოხაი ორი ჯოხით სია-
რული. „საცოდავი კესარიე ო რ -
ჯ ო ხ ა ი ძეილაი დეიარება“.

ოსომონტრო სამკურნალო ბა-
ლახი.

„ოსოსოია“ ძველი სიმღერა,
ახლა დაკარგულია (ნ. სიმღერები
გურიაში).

ოფიჩო ხეიმირა, წიქვილის ნა-
წილი, მარცვლეულის ჩააყარი (ნ.
წისქვილის ნაწილები).

ოფოურა გურული საღვინე ვა-
ზის ჯიში.

ოქროს კოჭი სიმინდის უკანას-
კნელად ამოყრილი ფესვები; მიწის
ზედაპირზე ოქროსფრად შემწკრი-
ვებულია სიმინდის ღეროზე (შდრ.
ბ ე რ. ოქროს კბილი).

ოქროცერცვაი საუკეთესო ჯი-
შის ცერცვი.

ოშუმე ნ. ორშუმი.

ოჩხამურის გომბიე გომბეშო,
განსაკუთრებით დიდთვალა და
დიდმუცელა. „რაეა ყლიავე თვა-
ლებს ო ჩ ხ ა მ უ რ ი ს გ ო მ ბ ი ა ს ა
გ ი თ“ (შდრ. ოჩხამურის ქინკა).

ოჯო! (-ვეყო) შორისდებული; ინმარება საუბარში, როგორც: „ვა-ყო“, „ვეყო!“ უფრო გაჯავრებას გამოხატავს. „ოჯო! ვინცა გამა-

ლახვიებს თავს აქანაი!“ ხშირად ცოლი ქმარს სახელს არ უძახის; ასეთ შემთხვევაში ამ სიტყვით მიმართავს.

3

პაიჯი პატივი, პატიჟება, მიწვევა.

„პაკიპუკი“ ნ. ბაკიბუკი.

პალაჭუკუნაი ერთ ყუთში. ან რაიმე ჭურჭელში ჩალაგებული ნემსი, ძაფი, დასაკერებელი და მისთანა წვრილმანი ნივთები.

პამპალი (ა. მ.) ჩამოკიდებულის ან მიმაგრებულის ქანაობა (ნ. ფამფალი).

პანტური უთავბოლოდ ხეტიალი.

პაპაჯვარი ნ. ელიობა.

პაპლაოჯაი მეტად თამამი, მოურიდებელი (ქალი).

პაპლაუჭი (ქ. ლ.) განებივრება, გასათუთება.

პაპუცები ბავშვის პატარა ჩუსტები.

პარეზი მოძრავი, ცოცხალი, ლონიერი. „ოო, რა პარეზი ღორჯუები დუჭირავს!“

პარკის გაშოხეკა პარკის გამოკრეფა. მებარეშუმე მეცხრე-მეთექვსმეტე დღეს ცახის მიდგმის შემდეგ გამოკრებას დამდიდრებულ (ნ.) პარკს, ბომბლს გააცლის და დაახარისხებს.

პარტყალი უთავბოლოდ ლაპარაკი. „რას პარტყალოფ?“ (შდრ. ბარდღალი).

პარწუკი უდარდელად სერიზობა-ხეტიალი; „რა დროს პარწუკია, ცეხლი შეკიდება თავზე“.

„პატარა საყვარელო“ ხალხური სიმღერაა (ნ. სიმღერები გურიაში).

პერწკალი 1. მაშა, საკეცე; 2. რკინის წყირი; 3. ქოლგის ჩონჩხის წყირები (შდრ. ელ.).

პინწკვალი (ქ. ლ.) ძალიან მცირე რამ. „ერი პინწკვალი“.

პირადა (ქ. ლ.) საპირე (მაგ., ფეხსაცმლისა).

პირდაბანილი ღობიე გურული ჯიში ღობიოსი, რომელსაც ნახევარი ნაწილი თეთრი აქვს, დანარჩენი წითელი.

პირჯაბღეცილი პირდაღებულო, დოყლაპია.

პირის ახსნა უმადობის შემდეგ ქამის სურვილის გაღვიძება. „მაგის გაკეთებულმა ფხალმა პირი ამიხსნა“.

პირის ბავა ბავის ნაწილი, სადაც თივას ან ჩალას უყრიან საქონელს (შდრ. ბერ. საპირე).

პირის გამოქნა სახის გასუფთავება ამოსული ბუმბლისაგან დაგრეხილი ძაფის საშუალებით. „უმაჩრული წაგიცხია, პირიც გამოგქნიაო“.

პირის გასოღება პირის გასეღება ხილით ან ტკბილეულით. „მომე ერი კუმხალი ყურძენი, პირს გევისოღეფ“.

პირის დაშვენება პირის დაბანა (ჩვეულებრივი მნიშვნელობით). „მუართვი, ცაე, სტუმარს წყალი, პირს დეიშვენეფს“.

პირის მოწყობა გალესვა, მოპირვა.

პირის შესწრება შესაწვავის ზედაპირის შეწითლება, სანამ შიგნითა ნაწილი შეუწვავია. „უშია, პირ შესწრებულა“.

„პირი ხისკენ მიქნია, პირი ქვისკენ მიქნია“ მოსაბოდიშებელი თქმა, როდესაც ერთი მოუთხოვს მეორეს სხვის შესახებ რაიმე ცუდს, მსმენელმა რომ თავის თავზე არ მიიღოს. „შე გლახის შვილო-მეთქი, ვუთხარი—პირი ხისკენ მიქნია“.

პირმიცემული ყაჭი პირმიცემულიაო—იტყვიან, როცა აბრეშუმის ქია ცახზე იწყებს ასვლას პარკის საკეთებლად.

პირნასერავი, პირნასერი ნ. პირნასრი.

პირნასრი, პირნასერი, პირნასერავი კაკალი კაკლის წინგო უკვე

დასერილია, რაც „მორკეს“ დროს მაჩვენებელია.

პირნასწრი ჩითი, ნარმა, ან სხვა ნაჭერი, რომლის ერთი პირი მეორეს არ მოუდგება შეეკევა-შეტოლების დროს.

პირტეხილობა მტყუანისათვის მოწმის პირში წაყენება.

პირტიტველი უწვერ-ულვაშო ყრმა, ქაბუკი.

პირშეშობილი ფიცრები იატაკის დაგების დროს ფიცრებს შალაშინით გაუთხელებენ ცალ მხარეს და მეორე ფიცარს მიარგებენ.

პირწყალი მტაცებელი ნადირის მიმართ შეძახება იმ რწმენით, რომ ნადირს პირი წყლით ავესება და გატაცებულს პირიდან გაავლებსო. ძველად ღამე ატყდებოდა ყიჟინა და ძახილი: „პირწყალი“, „პირწყალი“... (ნ. ლარლილი).

პიტიზი ნ. დაპიტოება.

პიტინი სტვირის ხმა.

პიშუშაკი (←პირშუშაკი) თხელი დოლბანდი, უმარილის შესასწორებელი (შდრ. ბერ. პირშუშტაკი).

პიწკი წვრილი ფიჩხი (შდრ. ბერ. პიწკა-პუწკა).

პკალი, კპალი კალია, მკალი.

პოპორი, პოპრვა სატირლად მომზადებული ბავშვის ძირს დაშვებული ბაგე. „უყურე, რაფერ იპოპრება! ახლავე ტირილს დაიწყებს.“

პოპრვა ნ. პოპორი.

პორწიალი ნ. პწიალი.

პოჩიე ძალლი კუდმოკრილი ძალლის სახელი (შდრ. საბა პოჩი; ნ. ძალლის სახელები).

პოწიაკე (ქ. ლ.) შალალი, ხმელი, უმნო ტანადი.

პოპოკი ღორის ან სხვა ორჩლიკოვანი ცხოველის ფეხი (შდრ. ბერ.).

პრასა-პრასა ტყის მხალი, პრასის მსგავსი.

პრწკალი მზის პირველი სხივი. „მზემ დედომიწას პრწკალი კრა“.

პუწკი სამი თითით აღებული ლუკმა. „ერი პუწკი არ ჩუუდ-“

ვია პირში“ (შდრ. ქუ. პუწკი ხელისა).

პუპკური, პუპუპკური მაქრის მწერი, მეტად წვრილი (შდრ. ჩუბ. პუპურიკი).

პუპუპკური ნ. პუპკური.

პწიალი, პორწიალი სუსტად მიმაგრებულის ქანაობა; ეპწიალე ბა ეპორწიალე ბა, ეკორწიალე ბა, სუსტად მიმაგრებული რამ რომ ქანაობს.

პწიაკი წიაკი.

პწკენა ჩქმეტა; მიპწკინა მიჩქმიტა (შდრ. საბა ბრწკენა).

პწკენაი, პწკნაი ქავილიერთნაირი. „უუტყდა პწკნაი თელ ტანში და თლა იგლეჯს ყორიფელს“.

უ

უამობა შავი ჰირის მძინვარების დრო წარსული საუკუნის დასაწყისში (შდრ. ჩუბ. უამი, უამობა).

უანულალი (ა. მ.) ნჯორევა, კურტელში სითხის ნძრევა (ნ. ჯანჯალალი).

უანწაჟო ზარნაშო.

ულომი საჯლომი.

უვანქი ცვარი, წვეთი. „უვანქი წყალი არ დუუღევი“ (შდრ. ევენა, ლვენთი).

უვართუნი მოქნილი წნელის რამეზე გამეკრებით (კემა).

უვერთელაი ნ. უღვერთი.

უინჟღვლა (ა. მ.) ნორჩი პირუტყვის ან მცენარის ხელით წვალება, უღვლემა.

უინჟლი 1. ცოტა ოფლი; 2. ქენჭი; შეუინჟელა ოდნავ ოფლის მიცემა, შექენჭვა (შდრ. საბა უინჟლი).

უიჟო თვალეხი ეუჟუნა თვალეხი (შდრ. ქუ.).

უოლოქა შეწითლებული, უმწიფარი ყურძენი.

უოქო უმწიფარი, მცავე ყურძენი (შდრ. საბა).

ქრანტეა, იქრანტეა ზღაზენით, ზანტად ლაპარაკობს.

ქრინვა (ა. მ.) მოავადებულის ნელი ლაპარაკი; შდრ. ქიხება.

ქრობა (ა. მ.) ნელი ხარშვა.

ჟუცტალაი (ბ. მ.) განუეითარებელი ტარო სიმინდისა; მოჟუნტვლა დაბალი ხარისხის სიმინდის ტაროების მოტება.

ჟღვერთი, ჟღვერთელაი ნ. შხვერთი.

ჟღვიპი გამუდმებულ ნისლიან-წვიმიანი, ნესტიანი ამინდი (შდრ. ქუიქორი).

ჟღღემა სრესა; ამოჟღღემა სარეცხისა აგდებულად, უგულოდ ან ჟღღონოდ გარეცხვა (შდრ. ბერ. ჟუქუნა).

რ

რაგვი თაგვის დასაქერი მარტივი მახე (ნ. მახე, შდრ. საბა, ჟღ.).

რატუნი. უსაქმოდ ღოღიალი.

რაშო რერა“ მგზავრული სიმღერა (ნ. სიმღერები გურიასი).

რაველი რვალი.

რკუის ქარი მეტქძერი ქალის ქძქძეს დასივება.

როთინი გაბრაზებულის ღორის ძახილი.

როფი მაგარი, სქელი ყინული (შდრ. გაროფილი).

როკვა უსაქმურად ხეტიალი.

როყო ტყვია შემთხვევით მოხვედრილი ტყვია.

როჩო დიდი, უშნო კბილები; როჩოიანი დიდებილა.

როზილაი გლახა სახლი, აროხვილი.

როზროხი ადამიანის ხმაბალაი ლაპარაკი.

რუსულაი აბრეშუმის ქიის ჯიში. წელში წერილ პარკს იძლეოდა, ღირსებით საშუალოს (ნ. აბრეშუმის ქიის ჯიშები გურიასი).

რუჯვა, გარუჯვა გაალვით გაწმენდა (მაგ., ქათმისა).

რჯა, გარჯა, ირჯება ქალო მშობიარეა.

რჯლაი, ჯლაი სარი, რომელსაც ბოსტნეულს უსობენ ასაყოლად. მაგ., ღობიოს, კიტრსა და სხვ. (შდრ. საბა გრჯლა).

ს

საბლაყური საურავი, ჯარიმა შეცდომის გამო მისჯილი ბატონისაგან. (შდრ. ბერ. საბლაყური და სატალახო).

საგდულაი, გადასაგდავი წყლის გადასაგდები ფიცარი (ნ. წისქვილი კოდისა; შდრ. ბერ. გადასაგდებელა).

საეგებიო საეკო.

სათავანი ნ. წისკვილის ნაწილები.

საიასალო საგანგებო, გამორჩეული.

საივანობო თხილი ნ. თხილის ჯიშები გურიაში.

საირაო ადგილი, სადაც იპერდნენ მოსაშინაურებელ მიძინოს; საირაოზე გამოყვანა საქვეყნოდ, საჯაროდ გამოყვანა; გახმაურება. „რა მიქნა იმ ოჯახქორმა, ჭი არ გამომიყვანა საირაოზე!“ (შდრ. საბაირაო).

საკარიე ნ. კარიე.

საკარული ზღურბლი.

საკვალე წვიმის წყლის საწრეტი თხრილი სახლის გარშემო.

საკითხავი თვალსაჩინო, ერთბაშად გამოსარჩევი, „საკითხავი ქალია“—თვალტანად გამოირჩევა სხვებში იმდენად, რომ იკითხავ: ვინ არისო?

საკმეილაი გურული ვაზის ჯიშები; იცის საღვინე და საჭმელი ყურძენი (შდრ. ჩუბ. საკმელა).

საკუსარაი სიქინჯის ფეხი (ნ.)

სალასტაკონი (ა. მ.) კობტა, ჯაეარიათი კაცი.

სალაური ვინმეს გარშემო ტრიალი და ზრუნვა მისთვის, მოფერება. უსალაურებს უვლის.

სამაკინელი (ძროხის ასაკი) დასამაკებელი; რომ შეიძლება დამაკდეს.

სამანძაგო საძაგელი (სალანძლაი სიტყვა).

სამჭირი სადარაჯო ადგილი, საიდანაც ნადირს უთვალთვალენ; უმთავრესად: გარეულ ღორზე ნადირობის დროს თვალთვალი (შდრ. საბა სამჭირალი).

სამთვარიე თვიური, მენსტრუაცია.

სამიღღემჩიო სამუდამო, სამარადისო. „სამიღღემჩიოთკი არ გეხვეწები: ერი-ორი დღით მინდა“ (შდრ. ჩუბ. სამინღღემო).

სამინღე ნ. წისკვილი კოდისა.

სამყალი სამფერი (ნ. ტანისამოსი გურიაში ძველად; შდრ. ქყ.).

სამშვიდობო წირვა ოჯახში მშვიდობის დასამყარებლად საგანგებოდ აწირვინებდნენ ხუცესს და ცხვარს, დაკლავდნენ.

სამჩხავერა გურული ჯიშის ვაზი, საღვინე; ჩხავერისაგან განირჩევა უმსხვილესი მარცვლებით.

სამჩხვე (ქათამი) სადგამური. „სამჩხვეთ მაინც არ ვარგოდა, მოკტებოდა ამ ზამთარსა“ (შდრ. ბერ. სანჩხვე).

სამძიმარი ნ. მიწის სამძიმარი.

სამხრე გოდრის სახელურები მხრებზე მოსაკიდებელი, ტკეჩის ან თოკისა (შდრ. ჩუბ.).

სანაშენო .1. გასაშენებლად გაცემული მიწა; 2. საიდგამურად გაშვებული საქონელი.

სანაწყაურო საწყაო.

სანსალა მეტისმეტად გაღვინილი რამ (შდრ. ქყ. გასანსალეული).

საომარი იარაღები: ვურიაში: ბაწარი აბრეშუქისა, გასანთლული, ლამაზად ათოკილი და შეკონილი; გუმური ანუ შები; კეესი ვერცხლით შემკობილი; ლეკური ანუ ხრმალი; მათარა, ხშირად მოსირპული; მაკახელა შაშანიანი თოფი; პატარა დანა მოსირმულ-ქარქაშიანი; პატარა ზარბაზანი (გურიელს ჰქონდა); პატარა ფიშტო, ზოგჯერ ორლულიანი; სატევარი ვერცხლით მოპედილი ან ოქროთი მოფერილი, ბუნუკიანი; საქონე ვერცხლის ან თითბრისა; ფილითა ორ ან ერთ ლულიანი; ფისტონა ჩხლიანი; ფიშტო მოჯანიშულ კონდახიანი და ჩახმახ-მოალული (ატარებდნენ ორ-ორსაც) ჩქიფთე; ყავალი (საჩიტე) უშაშხანო თოფი; ყაშა კერმუხტით შემოსილ-ქარქაშიანი; ყანთარქილა თოფის წამლის გამოსარწყავი მოწყობილობა; ყირიმის ლულიანი თოფი; ჩაქალოზი დიდი თოფი, რომელიც ხელით არ იცლებოდა; მძიმე რამეზე დააკრავდნენ და ისე დაცილიდნენ.

საორმოცო მუცლის ტიფი.

საორხელო უბულოდ, უგემურად ნაკეთები საქმე, რომელიც ხელმეორედ გასაკეთებელი ხდება.

საჰვა ნ. გასაჰვა.

საპიტინაი, საპუტუნაი სასტენი (შდრ. ბერ, პიპინი).

საპუტუნაი ნ. საპიტინაი.

სარამიტელი (← სამარიტელი?) მიმხედარი, კეკიანი; კარგი მოლაპარაკე. „აი ბალანი ნამეტარი სარამიტელია!“

სარეგველაი სარეგვაეი.

სარიგაი მდინარე წყლის გასარიგებელი, გასაყოფი მოწყობილობა.

სარული ცურვა სარივით გამართულად ცურვა.

სარჩხანავი (ქ. ლ.) გურული სახლის სახურავის უმაღლესი ნაწილი შიგნიდან.

სასაქმე საშუაო, საქმე (შდრ. ჩუბ.).

სასიმღერო გასაღებები გურიაში: აუეია, აქაია, ბუზუნი, დასდებლის კილო, დიდი წილთქმა, მრავალგვარი, ნოინი, ყოვლადწმინდის კილო, შეყრილი, ჩაქანგული, ჩაწყვეტილი, წილთქმა.

სასხო ხეები მსხვილი საშენი ხეები: საძირკველი, სარტყელი, ქილიში, დვირო და სხვა (ნ. სისხო ხე).

სატანტურაი საკობტაოსავით.

„ახლა ქალებს მუუწყიათ მოვის კაბა სატანტურაჲ; რაეაც მიხვალ ასე გეტყვის: — რას მოსრულხარ, ასე ტყულაჲ?“ (ხალხური).

საუნდომო ავადმყოფისთვის მზადებული საქმელი, სამხიო.

საფაიდო (ქ. ლ.) სახეირო, სარგებლიანი.

საფენი ნ. მახე.

საფურცლოზო წვიმა გაზაფხულის წვრილი წვიმა, რომელიც ფურცლის გაშლას ხელს უწყობს.

საფჩხილე ძროხის თვალის ავადმყოფობა (ფრჩხილის მსგავსად ამოუვა თვალის კილოში).

საქაჩი მსხვილი ლურსმნის გაზო.

საქედავი ფიცრები, რომელნიც ფარავენ სახურავსა და კედელს შუა დარჩენილ ღია ადგილებს.

საღვანავი (ა. მ.) ბადის ქვედა კიდე, რომელშიც თევზი მოჰყვება ხოლმე.

საღვრიალა ბზრიალა (შდრ. ბერ. ღვრიალა).

საყე ნაკრძალ მიწაში ჩარკობილი ჩამოთლილი სარი ამ ადგილის შეუვალობის აღსანიშნად. „რავა გაჩერებულხარ საყესავით“; „აუდგები — საყეს მიძახის, დაჟდები — სამყარს მიძახის“... („ავი დედამთილის“ ლექსიდან).

საყვირი სიმინდისა სიმინდის ფურცლები, სადაც მოთავსებულია ხაშარი (ნ.).

საყოლი შინაური ფრინველცხოველი, რაც შეიძლება იყოლიოს ოჯახმა.

საშობინარი საშო პირუტყვისა.

საცნაური წისქვილის ხელსაწ-

ყო, რომლითაც წისქვილს ააწყობენ ხორბლის წვრილად ან მსხვილად დასაფქვავად (ნ. წისქვილის ნაწილები).

საცხა სადლაც.

საძგერი ადგილი ადგილი, რომელსაც გზას ვერ აუვლი.

საძირე გოდრის დასალობი ბრტყელი ტყეში, რომელზედაც წვრილ ტყეის ალობავენ.

საწყლე სმაში შეჯიბრებულთაგანი თუ საჭიროებისათვის გარეთ გავიდოდა, მას უნდა დაეღია საწყლე ჯარიმად (შდრ. ბერ. სატალანო).

საწყური მდინარის ტოტი. რომლითაც წყლის გადადგმა შეიძლება ტან წყალში დასაშრობად, თევზის საჭერად.

საჭურჭლე მიწა (ბ. ლ.) თინხარი (ნ. ნიდაგის სახელები გურიაში).

სახარაზოს იარაღები: მუშტა, სუნგალი, ფარძვალი, ფეშნაგაში, ყარანჩი, ჯევეში.

სახარაზოს წულის კალაპოტების სახელები: 1. დიდი ულაყი (ელაილი, № 31), 2. პატარა ულაყი (№ 29), 3. თელურთა დიდი ულაყი (№ 27), 4. თელურთა პატარა ულაყი (№ 25), 5. დიდი კოპლიკი (№ 24), 6. უნტროსი კოპლიკი (№ 25), 7. შუა კოპლიკი (№ 20), 8. პატარა კოპლიკი (№ 15), 9. დიდი ლუზგარი (ლუზგარაი, № 28),

10. პატარა ლუზგარი (ლუზგარაი № 27).

სახკუნაი ბავშვის გასართობი ჩხრიალა სათამაშო, ან სხვა რამ ნივთი.

სახელვანო ხელსაწყო, ხელოს-
ნის იარაღების ზოგადი სახელი.

სახთიანი სამოგვე, საფიანი.

სახლის მამალი სამრავლოდ დატოვებული საუკეთესო მამალი (ქათმისა).

სახმელეებელი ხმელი შეშა წერილად დაპობილი; ცეცხლის ადვილად დასანთებად ხმარობენ.

სახოფრი ბაწარი თოკი, ხმარობენ ხეზე მუშაობისას (მაგ., გიღლის ასაწეე-ჩამოსაშვებად).

სახრო მიწა ქვიშნარი.

საჯობინარი აღრიანი საუზმე, დასაძლევე რამ.

სეირანი კუჭის მოქმედება (შდრ. ბერ.).

სენთი ადგილმდებარეობის გარკვევა, გამოცნობა.—რა მხარეს არის აღმოსავლეთ-დასავლეთი.

სერაბახი სახლის სახურავის დასალიერს (ნ.) შემოვლებული ფიცრები, რომლებზედაც დაყრდნობილია სახურავის კავები და წყლის მიღები.

სეკილონჯაი ტყის მხალეული მცენარე.

სიამტკბილობა სიყვარულით, ტკბილად ყოფნა ერთად.

სიატატაი ფესასადგმელი ბავშვის ხელნაკიდებით ტარება.

სიგრილის ხეელა სიცივისგან ატეხილი ხეელა. „ადერი ნიჭირს, ნუ გეშინია, სი გ რ ი ლ ი ს ხ ე ე ლ ა ა ა გი!“

სიგძე სანთელი მძიმე ავადმყოფი ბავშვის მშობელი ალუთქვამდა რომელიმე ხატს: „ოლონდ მოპირჩინე და მის სი გ ძ ე ს ა ნ თ ე ლ ს (ცილისას) შემოგწირაო“ (ნ. „თავზე შემოვლენა“).

სიგძე სიგანეთ მუშუქცია იმდენი სცემა, რომ სიგრძე სიგანედ უქცია.

სიჭმარდამწვარი კანის ავადმყოფობა: დაჩირქება იცის (ტანსაზე წერილად დაყრის).

სილაბანდურაი (ა. მ.) უშინარსო მსჯელობა. „მოყევი ახლა შენებურა სი ლ ა ბ ა ნ დ უ რ ა ი“.

სიმიწის ჯიშები გურიაში: ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ჯ ი შ ი მსხვილნაგულაიანი, წვრილმარცვლიანი, ძნელად გასაფშენელი; ა ლ ა ზ ა ნ ი ს ჯ ა ვ რ ი ე ლ ი, ფართომარცვლიანი ჯიში, თეთრი და ყვითელი; შ ვ ი დ კ ე ი რ ა ი საადრეო წვრილმარცვლიანი სიმიწი. რომელიც შვიდ კვირაში შემოდის; ც ხ ე ნ ი ს კ ი ლ ა ი ბ რ ტყელმარცვლიანი, თეთრი, თავჩაქყლეთილივით მარცვლები აქვს; 35 წლის წინათ შემოვიდა გურიაში.

სიმღერები გურიაში. 1. აბა, დარეჯან, 2. აბა დელი-და, 3.

აგიდელა: 4. ალაღ-ვაღალი (ძველი ფერხული, ორმუხლიანი), 5. ალი-ფაშამ გვიღალატა, 6. გალიაში რომ გაგზარდე, 7. დელი-დელა (ძველი), 8. ელესაი, 9. ვადილა ჰაა, ანუ ხელხვაკი, 10. ვოდლაგო, ჰოიდა (ძველი ხელხვაკი, პირველი იწყებს), 11. ვოიდა ოსორერა (საცეკვაო სიმღერა), 12. ვოო-ვუი-ვოდლო, 13. ვოპო-პოიდა, ნანა (სუფრის ხელხვაკი), 14. იასამანი (ძველი ლილინი), 15. ინდი, მინდი, ფერად შინდი, 16. იოდელა, ჯაშის ქალო მარიკელა (ძველი), 17. იოგდელა-ოდელა, 18. მადლოზელი, 19. მანანა (ძველი ჩაირანა), 20. მაყრული, 21. მზე შინა (ძველი), 22. მოდი, ჩემო ნინო (სუფრის ლილინი), 23. მრავალქამიერ, 24. ნადური (ქობულეთური; ყანისა), 25. ნადური (საჯავახური), 26. ნანინაი (გურული), 27. ოთხი ნანა, 28. ოსოსოია (ამჟამად დაკარგულია), 29. პატარა საყვარელო, 30. რაშო რერა (მგზავრული), 31. ფაცხა (სოლონარევი), 32. ყარანაი (ძველი), 33. შავი შაშვი სჩივოდაო (სამხმოვანი, ზოგჯერ სოლოც გამოვრევა), 34. შენი ჭირიმე (ძველი ლილინი), 35. შვიდკაცი, 36. ჩაგუნა (მეგრული საცეკვაო), 37. ჩაი რამა („ხფოს ლექსზე“ აწყობილი), 38. ძელი ლომსა (ძველი ლილინი), 39. ქრელი (გალობა, რომელშიც სიტყვები ცოტაა, ხოლო მელოდია გრძელი და ნაირნაირი), 40. ხასანბეგურაი. 41. ჰე-

ავა, ჰეა (ძროხის ძებნის დროს სამღერალი), 42. ჰეე-ჰეა, ჰეე-ჰეა (ძველი) ყვ. ზარი.

სიმღერების ჰმები გურიაში. ძველი გეოგრაფი სიმღერები იგალობებოდა რვა ხმაზე: 1. თქმელი, 2. მოძახილი, 3. ბანი, 4. ზილი 5. კრინი, 6. ფშტვირი. 7. დვინი, 8. დუბი. დღეს სიმღერები იგალობება სამ ხმაზე: 1. თქმელი, 2. მოძახილი და 3. ბანი. ზოგიერთ სიმღერაში მოძახილის ადგილს იჭერს გაყვივანი (კრიშქული).

სინგური წითელი მიწა, საღებავი (ხუროები ფიცრებზე ლარის დასარტყმელად ხმარობენ); მოიპოვება სოფ. სურებში და სხვაგან (შღრ. საბა).

სინსილაი, მოსინსილება გაელეტა, მოსპობა. „მაგის მოსინსილება იქნა ბარელმაი“ (წყევლაა. შღრ. ჩუბ. სინსილა).

სიპა სიპა.

სირიქაი (ქ. ლ.) კვანწიასავით.

სისხო ხეი მთელი ხე, დასახერხაი.

სიქინჯის ფეხი, საკუსარაი რკინის საფუძველი, რაზედაც წისქვილის ბორბლის ფეხია დაყრდნობილი (ნ. წისქვილის ნაწილები).

სკალატი ნ. ტანისამოსი მამაკაცისა.

სკვინჩაის მაცარი პატარა ტანის, მოქნილი მიზონერის კაცი.

სკიპარქვა უბრდელად, უშნოდ წამოწოლა.

სლიანი ცორვა, სრიალი, მოლიპულზე ჩაგლინება. „ფეხი დამისლიანდა და კელამ ღვეინტვრიე ცხვი-პირი“.

სლინვა ქვეწარმავალთა სელა, გლინვა.

სმუსნი ოდნავ შენძრევა (ძილ-ში). „ისე ეძნა, რომე სმუსნი არ უქნია“; „ბლანამ აკვანში გემისმუსნა, თვარა კი არ გუშულვიძია“ (შდრ. შმუშნა).

სონარის ძველი ხალხური მუსიკალური დასაკრავი, რომელიც სხვადასხვა სიგრძის მასრებისაგან შედგება. ეს მასრები მკიდროდაა მიკრული ერთი მეორეზე ბლის ტყავით, ბგერათა მიხედვით (იმ მცენარეს, რომლისაგანაც სონარს აკეთებენ, ეწოდება სონარის ბუჩქი. ამ მცენარის ღეროები მუხლებიანია, შიგნით ცალიერი; ღეროებს ჰრიან მუხლებს ზემოთ და თავებს მახვილი დანით ასწორებენ. სონარის გაკეთება სხვა მცენარისგანაც შეიძლება, მაგ., ჩალამკალმის ღეროებისაგან, მაგრამ უხეში გამოდის ბაგისათვის). სონარის გამა ექვსი ბგერისაგან შედგება და დაწყობილია ასე: მარცხნიდან მარჯვნივ პირველი მასრა არის სი, მეორე — მი, მესამე — დო, მეოთხე — რე, მეხუთე — ფა,

მეექვსე — ლა. სონარს ზევიდან ჩაბერვით უკრავენ. ხმა მელოდევით მდიდარი არა აქვს, მაგრამ ნაზი და ტკბილია: მისი სტივრები ხან ხმაშეწყობით ნაზად ვაპკვიან, ხან სტივენენ და მოულადნელ ზუზუნზე გადადიან. მაშინ დამკვრელი თითონაც აყოლებს ხმას და განსაკუთრებით სასიამოვნო მოსასმენი ბგერები გაისმის. სონარს უფრო დილაობით უკრავდნენ, აგრეთვე საღამო ჟამს, მუშაობის გათავების დროს. მე-70 წლებიდან სონარის ხმაიშვიათად თუ გაისმოდა და თვით საკრავიც ძნელი საშოვარი გახდა.

სონარის დაკვრა უფრო მოწინფულებს ეადვილებათ, რადგან განუწყვეტელ ჩაბერვას, ხშირად ორორი მასრის ამეტყველებას სუსტი სასუნთქი ორგანოები ვერ იტანს.

სი და მი ხშირად ერთად იკვრის, *ფა* და *ლა* ერთად, *რე* და *ფა* კიდევ ერთად, *დო* ცალკე, ორგორც პირველი ხმა (ნ. ს. ა. ბ. ა.).

სონარის ბუჩქი ნ. სონარის.

სოკოპვერცხა ნიყვი, საკმელი სოკოა (ყველა სოკოს ამჯობინებენ).

სოკონჯალა სოკოა, უმაღ იშმება.

სოკომირპილია ერთგვარი სოკო; უმი ნწარვა, შეწყვარი გემრიელი.

სოხვი (ა. მ.) კლაკვი, უთავო ხახვი.

სპარაი ქერი ან ხალამი ზევი-თა ნაწილგადატეხილი; ქურკლად.

ხმარობენ მარცვლეულისათვის.
სპარა აპარაში თიხას კურკელია.

სრიფუთაი ჯარა.

სულდათქმული აუქარებელი,
მითმენილი.

სულდილი გასულდიდებული,
თავასული (შდრ. ჩ ბ ბ.).

სულის კმევა სულის ხეთვა.

სულის ჩადვმა გაკირვების
დროს სასოწარკვეთილებისაგან
დახსნა, დახმარება.

სულუბედური სულწაწყმედი-
ლი, ავი.

სულუხსარი ხარბი, სულმოკ-
ლე, მოუთმენარი.

სუნკალი სახარაზოს იარალი:
ლანჩის გასაგლეჯებელი მრგვალი
ჯოხი (ნ. სახარაზოს იარაღები გუ-
რიაში).

სწრაფია ნ. ძაღლის სახელები.

სხაპი მახე, მსხვილი მკედის
ძაფისაგან მოწყობილი (ნ. მახე).

სხვისი სელის შემხედვარე
ვინც იძულებულია სხვის კმაყოფა-
ზე იყოს.

ტ

ტაბარჯუხი ტყავის ჩანთა, ზურ-
გზე მოსაკიდებელი (მონადირენი
ხმარობენ).

ტაბახი ცხენის ავადმყოფობა:
სასაში უჩნდება (შდრ. ს ა ბ ა ტა-
ბახტა).

„ტაი, ტაი, ტაფელაო“ — ტა-
ში, ტაში, ტაფელაო დედა
აიყვანს ფეხაუდგმელ ბავშვს, დას-
ვამს ბალიშზე და ტაშის კვრით
უეზნება:

„ტაი, ტაი, ტაფელაო,
ჩემო ნიკორ წითელაო,
თუ მიტაფო, ქე მიტაფე,
თვარა წიგნი დამიწერე!

— წიგნი დამიწერიაო,
ზღვაში ჩამიფენიაო;

ზღვაი ადუღებულაო,

ქალი აკივლებულაო,

ქალსა შვილი ყოლებია (ხო-
ლებია):

ერთი ბრუტი, ერთი კოკლი,
ერთი ყველას უყეთესი.

— ჩემო ყველას უყეთესო,
დილას ადრე ამიდექი,

დამიპირე ოფოფაი,
გვერდს მომაბი ძეწკვითაო!

— ძეწკვი გაუგლეჯიაო,
მთაი გადურბენიაო.

— მთასა გავალ მალასაო,
დაუძახეფ თამარსაო.

თამარ მუა კიხენითა
თათრულითა ცხენითაო“.

(ბავშვის გასართობი).

ტანისამოსი მამაკაცისა (ძვე-
ლად): ბ ა დ უ რ ი / ა ი შარვალში
გასაყარი წითელი ლარი (ხვანჯარი),
თავებში სირმიანი; ბ ე ლ ყ ა ი ში მო-
სირმული, რომელშიც იარაღს გა-
ირკობდნენ; ე ლ ე გ ი ყანაოზის ან
სხვა აბრეშუმის ქსოვილისა, მო-
სირმული, სხვადასხვა ფერისა;

ნაბადი მოკლე, კოხტა, გვერდზე მოკედებული: სარტყელი თოლაბულუსისა სამყადი (სამფერი) აბრეშუმისა; სკალატის (მაუდის) შარვალი, გრძელი წვივებზე და უბედაცვილი, უფრო ხშირად შავი, მოსირმული; ყაბალახი წითელი, ან შავი სკალატისა, მოსირმული, სირმის ფოჩიანი; ჩოხა კვერტო მოკლე ჩოხა სკალატისა, შავი (ზოგჯერ წითელი), სირმით გაწყობილი; წულა-მესტი მოსირმული.

ტანმორჩილი პატარა ტანისა.

ტანში აბუძგვა ნ. აბუძგვა ტანში.

ტანწყალი მდინარის მთავარი ნაწილი, შენაკადებს გარეშე.

ტარაბო (ა. მ.) თითისტარი (აქედან: ტარაბუი).

ტიალი ღია ფერისა (შდრ. ბერ.).

ტიგრედაი, ტიგრედი ვეფხვის ფერისა (? ძროხა, ხარი: ნ. ძროხის სახელები; შდრ. ბერ. ტიგურა).

ტიკება: უტიკა შხამიანი ისრით უტიბინა. „გველმა გიტიკა მაგენაზე!“ (შდრ. ამოტიკენა; ბერ. ტიკვა).

ტინტილაი ხელიკი. „ტინტილა ტინტილოსანი, ტინტილა პატოსანი“.

ტირილი მთელი ცერემონიალი მიცვალებულის დატირებისა და

დასაფლავებისა (შედ. ბერ. სატორალი).

ტკვაფში დამწვარი, ამობერილი კანი; აქიდან ატკვაფშული (ნ.).

ტკბილის ფეხში გამოღება საწნახელში ყურძნის წანების დროს ყურძნის წვენის—ტკბილის გამოღება.

ტლუნა ურიგოდ ზელა; აქიდან: მოტლენილი (ნ.).

ტოკვი ვაზის ჯიში, მსხვილმარცვლიანი მტევანი იცის.

ტომხოყო მიწაზე დამდგარი წყალი.

ტორგი მალა.

ტორი ცხენი გავა-წითელი, ტურ-მურა ცხენი.

ტოლო ნ. ტოლუაი.

ტოლუაი, ტოლო ჭუჭული ბუმბულნაკლები ჭუჭული (შდრ. ბერ. ტილელა).

ტოშება შოცება, გაკვირება, უცხოება. „მაი რაცხა ნამეტარი მეტოშა!“

ტრედისფეხაი ყურძნის ჯიში.

ტრიესკუდაი სარეველა ბალახი, იკეთებს თაეთავს, ბუმბლიანია.

ტროკიალი უსაქმურად ხეტიალი (შდრ. ბერ. ტორიკი).

ტრუპანტული სპირალური (შდრ. საბა, ჩუბ. ტრუპანი).

ტუა ცური (შდრ. ბერ. ტუ).

ტურია ტურის მსგავსი ძაღლის სახელი (ნ. ძაღლის სახელები).

ტურტყი ხის ღრუში ჩამდგარი მღვრიე წყალი (შდრ. ჩუბ. ტურტლი, ბერ. ტურტყლი).

ტუტა ნაცარი (შდრ. საბა ტუტი).

ტყეში გაღარება, ზეგადარება საჭიროებისათვის წასვლა, ფენადგილში წასვლა.

ტყობერაი ხის კანი, ხმარობენ კარვების დასახურად ტყეში.

უ

უამური (ქ. ლ.) რომ არათერს გასიამოვნებს ისეთი ადამიანი.

უბარი დამდურებული, უუბარი; უბრობა მომდურაობა, ხმის გაუცემლობა (შდრ. ბერ.).

უგაბაი ავადმყოფი, დაპატარავებული ქია აბრეშუმისა (შდრ. ქყ. უგაბი).

უგეში (ქ. ლ.) მოურიდებელი, წინდაუხედავად მოქმედი.

უდრის, მიდრის, გიდრის: „რას უდრი მის სიკვტილს!“ — რას უქადი მას სიკვდილს.

უზნაური, უზნაური ცუდი ხნისა (იგულისხმება ხ.სისათი).

უზნაური ნ. უზნაური.

ულაური თავაშეგებული, თავხედი, ურჩი (შდრ. ჩუბ.).

უი, შავ! უი, საცოდავი! „უი, შავ! ქი არ მომეტარა!“

ულაყი ნ. სახარაზოს კალაბოტების სახელები.

ულვაშაკი ულვაშსაკრი, ულვაშის ასაკრავი.

ულვაშის მოპარსვა „როვარც ამ ულვაშს არ მევიპარსავ, ისე ცუდ საქმეში არ გვევრევი“ (ძველებური თქმა, მაშინდელი, როცა ულვაშის ძითო ღერი საპატიაო საგნად ითვლებოდა).

უმანო, ფოჯორო სორო (შდრ. ბერ. ო-მანო).

უმატისაი რაც არ მატულობს, არ იზრდება. „რას შიბა შენი უმატისაი ხეოი?“

უნახველა ერთნაირი ქვეწარმავალი.

უნელი 1. უცნაური; 2. უსაშველო, გაუნელებელი. „ქვალი შამვაფრინდა უნელი“ (შდრ. ბერ.).

უნიაგამო უმსგავსი, საძაგელი (შდრ. ქყ. უგაბი).

უპუ ყიყინა (შდრ. ქყ.).

უსკუდარის ცახოცი თალხი ფერის მსუბუქი თავსაფარი; სტამბოლიდან შემოჭკონდათ გურიიში (უსკუდარი სტამბოლის აზიური ნაწილის ერთი უბანია).

უსმასტორი, უსმასწორი უსწორმასწორი, უთანაბრო. „რაფერი უსმასტორი კბილები აქვს!“

უსმასწორი ნ. უსმასტორი.

უფინდიკო უხვაეო, უფონდიკო (ნ. ფინდიკი, შდრ. ქყ. ფონდიკა არ ეკიდება).

უფინჩხუაი მეტად ღარიბი, ფინჩხაც რომ არ მოეძევა.

უქმისძალი დრო, როცა უქმის დღესასწაულის გამო წინა დღეს მუშაობა წყდება; მაგ., კვირადალი შაბათ საღამო, როდესაც ზარები დაირეკებოდა და ლოცვას დაიწყებდნენ.

ულურელი „ულურელმა ხატი აასვენა და აღარ დაასვენაო“ (ხალხური ანდაზა); „ულურელმა ხატი ჯერ არ აასვენა და რომ აასვენა, აღარ დაასვენაო“. ამ ანდაზას იტყოდნენ ისეთ ადამიანზე, რომელიც

საქმეს მძიმედ მოეკიდებოდა ხოლმე დასაწყისში და რა კი დაიწყებდა, დიდხანს აღარ გაათავებდა.

უცთურაი ნ. ძროხის სახელები.

უცხოფერაი, უცხოფერი მეტად უცნაური, საკვირველი; უცხოფერაი კაცი სხვანაირი, თავისებური კაცი.

უწბილარი, უწბილარი უსირცხვილო, უტიფარი.

უწყალწმინდოთ უქმელ-უსმელად. „რაფერ უწყალწმინდოთ გამოგისტუმრეს“.

უწყვედი საგანგებოდ გათლილი ხის ნაჭრებით შეკრული ორი ფიქარი (შდრ. საბა უწყვეტი).

უჯმაჯურაი მაჯლაჯუნა. „უჯმაჯურაი დააწვა და კელამ დაარჩო ელანძე“.

ფ

ფაადი ხეირი, სარგებელი (ნ. საფაიდო).

ფალიანკარი მოუწყობელი, უკარუჟანჯრო სახლი.

ფამფალი რყევა (შდრ. ჩუბ. ფანფალი).

ფანთხი (ქ. ლ.) ძროხის ფერდი (შდრ. ქყ. ფენტხი).

ფანჩხალი, გაფანჩხალება სიმწრისაგან, ტკივილისაგან ფეხების აქეთ-იქით სროლა, ფართხალი.

ფარიზი, დაფარიზება ღარიდება. „წითელას ნუ დაათარიზეთ ბალანას, სითფოა და კარქა მეხთის“.

ფარფატი დასუსტებულის უღონოდ მისელა-მოსელა, მოძრაობა: პებლის ფერენა.

ფარჩხი ხმელი, წვრილი ფიჩხი, რომელსაც პოწყები აქვს შერჩენილი.

ფარცაქუჯუ ძველებური ცეკვა; ასრულებდნენ წყვილ-წყვილად

დაწყობილი ქალები: მუხლებს მოხრიდნენ, კაბას ლამაზად შემოიკეცდნენ ბარკლებზე, ტაშის კვრით უვლიდნენ და აყოლებდნენ შემდეგს დიალოგს: — ფარცაკუკუ, ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა? — იტყოდა ერთი. — ლაშქარს ვიყავ, დავიკოდე, ყურსა სისხლი მან მადინა. — უპასუხებდა მეორე. ფარცაკუკუ სავით დაქდომა მუხლჩაკეცილი ჩაჯდომა (შდრ. საბა ფაცკიკუკუ).

ფაცურაი ცქვიტი, მოძრავი ძალლი (ნ. ძაღლის სახელები).

„**ფაცხა**“ სოლონარევი ხალხური სიმღერა (ნ. სიმღერები გურიაში).

ფახაცი ჯოში (ნ.) მატყლი (შდრ. ჩუბ. ფაცახი).

ფეთიანი ადვილად რომ დაფრთხება (შდრ. საბა).

ფელენჩათ, **ფილენჩათ** მსუბუქად, ზედატანსაცმლის ჩაუცმელად სიარული. „ნამეტარი ფელენჩათ წამოსულხარ, არ გააცივდე!“

ფერცხალი ისარი (შდრ. საბა, ჩუბ.).

ფერხიელი (ა. მ.) საქონლის ტყავის უბრალო ნაწიკის ნაკვეთი.

ფეფენიკო ლაფარო, სახურავის ნაწილი, რომელიც კედელს გადაცილებულია და იფარავს მას ადრისაგან.

ფეხბურღლა ქათამი ბურღლით ფეხშემოსილი ქათმის ჯიში.

ფეხგასაცხები სასიკვდილე (წყველა).

ფეხზე ვაჭრობა დუქანს გარეშე ვაჭრობა (ძველად).

„**ფეხი იწყვე!**“ ძროხას შემოუძახებენ წველის დროს, თუ ფეხი რიგზე არ უდგას.

ფეხის დაბანა: შენი ფეხი მობანა იე — შენ ყმად, მონად გამიხადე.

ფეხის თრევა გვიანობა საქმეში, მოქმედებაში, ჯანჯალი. „თუ ირთავ, ძმაო, ქე შეირთე, რალას ითრევე ფეხს.“

ფეხის მოსობა ჩაციებით, დაყინებით თხოვნა. „მოძისო ფეხი: წამოი და წამოიო“.

ფეხუცაი (კინილავთა ფეხუცაი) კოჭლი.

ფეხში გამოღება ტკპილისა ნ. ტკპილის ფეხში გამოღება.

ფილენჩათ ნ. ფელენჩათ.

ფილითაი, **ფილთა თოფი** ფრინველზე სანადირო თოფი, საფანტით ტენიან (ნ. საომარი იარაღები გურიაში).

ფილტვის ხველა ფილტვის ქლექი.

ფინდიკი, **ფონდიკი** ხევი, წარმატება (ნ. უფინდიკო).

ფინჩი (ქ. ლ.) უმნიშვნელო რამ, ბეწო. „ისე გამოვიდა ტალახში,

ფინჩი არ გაკარებია“; „თვალ-
დვიროიანი თვალფინჩიანს
სკინოდალ“ (ანდაზა ნ. ფინჩინალი).

ფიქვაი ნ. ფირფიქვი.

ფირფიქვი, ფიქვაი, ფილტვი.
„ფირფიქვი ჩამასკტა“—ძალიან
შემეშინა.

ფისის მწურავი მუნწი.

ფისტონა ნ. საომარი იარაღე-
ბი გურიასი.

ფიტონი თხელი ფიცრის პატა-
რა ნაჭერი (შდრ. ქუ. ფიტონი).

ფიჩინალი მეტად მსუბუქი,
მჩატე.

ფოფორი ნ. ჟმანო (შდრ.
საბა ფორო, ჩუბ. ფუტურო).

ფოლვა წუნება. „ჩემი ნამუშიე-
ჩი დამიფოლეს“.

ფოლიანცი უწესრიგობა; აფო-
ლიანცება აფორიაქება, აფო-
ლორცება.

ფოლო დიდი უზნო ფეხი.
„შენი ფოლო მახანიე“ (შდრ. ქუ.
ფოლი).

ფოლონცი დიდი შარა (შდრ.
საბა ფოლორცი).

ფოლონცხო (ა. მ.) სხეულის
უკანა ნაწილი, უზნოდ მოყვანილი.

ფონდიკი ნ. ფინდიკი.

ფონს გასვლა გამარჯვება, საქ-
მი'ბოლომდე მიყვანა.

ფორიალი მსუბუქი საგნის ან
არსების (ფრინველის) ჰაერში მოძ-

რობა, ქანობა, ფოჟიალი, ფრია-
ლი. „ვერ მივხთი, რა უნდა იმ
ციკას, რომ დეიარება და დაა-
ფორიალებს მაგ დარაიის კა-
ბას“.

ფოტრო ფუტურო (შდრ. სა-
ბა).

ფოფრა, გაფოფრა თმების
გაწეწა. აქიდან: გაფოფერილი.
„ცავ, ჩეიხედე სარკეში, რაფერ
ხარ გაფოფერილი!“

ფოჩინი ცოდვილობა, უშედე-
გო მუშაობა. „ვეფოჩინხოფ რაც-
ხას და ვარ“.

ფრანგულია აბრეშუმის ქიის
იტალიური ჯიში გურიასი (ძვე-
ლად); წვრილი პარკი იცოდა, მა-
ღალი ხარისხის აბრეშუმს იძლეო-
და (ნ. აბრეშუმის ქიის ჯიშები
გურიასი).

ფრიტა ბრტყელი თევზი (შდრ.
საბა ფიტა).

ფუკობა ფუტკრის დღესასწა-
ული.

ფუნდრუკი ნ. ბუნდრუკი.

ფუნჩხული 1. არამკერივი,
ფხეიერი, ფინჩხებად ქცეული;
2. მოხარული ღომის მარცვალი,
ნიგვითა და ზეთით შეზავებული.
„ზევიდან გადმოკიდული ერი
ქოთანი ფუნჩხული“ (გამოცა-
ნა=ლეღვი).

ფურფუჟი: ფურფუჟობს
ქათამი ქათამი რომ ფრთებს
გაშლის და ნაცარში ან მტვერში
ტრიალებს.

ფუსუნსელაი წკიპარტა, ყველის
მატლი.

ფუსფუსაი ქათმის მავნე მწე-
რი, წვრილი, ფრთებიანი.

ფუტკრის განავარდება ახალ-
გამოჩეილი ფუტკრის გროვად
გამოსვლა სკიდან მიდამოების და-
სათვალისწინებლად.

ფუფსი კანის ავადმყოფობა;
და ფუფხვა ხმელი მუწუკების
დაყრა. „სულ და ფუფხვა ტანზე
რაცხამ აი ბალანაი“.

ფუშტი არასანდო, უნამუსო
კაცი.

ფუცება (ქ. ლ.) შეცდომა თამაშ-
ში. მფფცა შემეშალა (შდრ. ბერ.
ფუწი).

ფუცხუნი, შეფუცხუნება შე-
ხურება მრისხანე სიტყვებით. „რომ
ეკადრება, ისე შუუფუცხუნე-
ბიათ“ (შდრ. ქყ. შეფუცხუნე-
ბა).

ფშოლო ძაფის ან კანაფის ნა-
წილი (შდრ. საბა შულო).

ფშვირი ნ. სიმღერების ხმები.

ფშუკვა, დაფხება (ნ.), ნელ-ნე-
ლა ქრობა (შდრ. ჩუბ. ფშუკურა).

ფშუკუნი ცეცხლის უშედეგოდ
ბერვა-დანთება. „რომ უფშუკუ-

ნეფ მაგ ცეხლს, ვერ დაანთე
ამ დოხანს?“

ფშუკვა სულის ძლიერი ამო-
თქმა; ხარი ფშუკავს (შდრ.
ჩუბ. ფშუტუნება).

ფჩინა, გაფჩინა (ა. მ.) პირის
გაღება განივად, გაბრჯენა.

ფჩხილვა, ლაფჩხილვა ფრჩხი-
ლის ჩარქობა, ფრჩხილით სინჯვა:
ჩწიფეა თუ არა. „ვის დუუფ-
ჩხილავს აი ხაპი, ნეტაი?“

ფცქილი ნამცეცი. „ერი
ფცქილი“ — პაწაწინა, პაწაწა
(შდრ. საბა ფცქუნე: ფცქუნა).

ფხარის აწყობა, ფხრენის აწყ-
ობა გადასაფრენად ან წასას-
ვლელად მხადების დაწყება. „რა
ამბავია, რომ აგოწყვია ფხრე-
ბი? მიხვალ თუ?“

ფხარის ქცევა (ქ. ლ.) ორი-
ენტაციის გრძობის დაკარგვა.
„ფხარი მექცა და ველარმევი-
სენთე (ნ. სენთი), რა ადგილას ვი-
ყავი“.

ფხარული მხარული ცურვა,
წყალზე მხარის გადაყვით ცურვა.

ფხოპვა ფხაქნა, კაწვრა; დაფ-
ხოქვა დაკაწვრა.

ფხუტუნი პირის გაბერვით ხმი-
ანობა (შდრ. ჩუბ. ფხუკუნი).

ქ

ქათანა საუკეთესო, საგანგებოდ
გამომგებარი დარაია (შდრ. ჩუბ.
ქათანი).

ქათმის სახელეები გურიიში: ბუ-
ტია/ე, გატიკეული, თეთრუაი, ქო-

ჩორაი, ფეხბურღლი, ქინკორელი,
ჯაქველი.

ქათმის ფერხვა კალანდის (ახა-
ლი წლის) მეორე დღეს გურიიში
ყოველი ოჯახი სავანგებოდ მოიწ-

ვეეს ისეთს ვაჟს, რომელიც გამოირსევა ახალგაზრდებში ჯანსაღობით, თვალტანადობით ან „დაცდილი კაი ფეხით“. ამ ვაჟს ხელში მისცემენ ჯამით ჩხოს და მთელი ოჯახის თანხლებით ჩამოატარებენ სახლ-კარს. ვაჟი გზა-გზა ფანტავს ჩხოს და თან ამბობს: „ასი დედალ, ასი მამალ, ასი მისი მოჩხოროზი“ (შდრ. ბერ. ფერხობა).

ქაიდელაი (ქ. ლ.) გულაგდებული, ხეტიალმოყვარული.

ქაიჯრობა (← ქარიჯერობა) ქარის დღესასწაული ძველად.

ქალაბანი ქრთამი, ქალამნის ფასის ოდენა.

ქალაბნის საფარავი თოვლის თხელი ფენა, ქალამანს რომ დაფარავს.

ქალგანაშობა ცოლსგამორებული, ცოლთან გაყრილი კაცი.

ქამი ნამი, სისველე; და ქამული ნესტიანი, სველივით.

ქანჩიანი ცბიერი, ეშმაკი, ხერხიანი (შდრ. საბა ქანჩი).

ქარა წვეტიანი ჩხირი ქაჭკვიით (შდრ. საბა).

ქარაფაბი თავისუფლად, მჩატედ. „მაგი ლობიე თუ ქარაფათ არ იქნა, ისეკი არ შეისარჩება“.

„ქარს და ბორიას ველაპარიკები“ მოსარიდებელ პირთან საუბარში თუ უსიამოვნო რამ აქვთ სათქმელი, დაუმატებენ: „ქარს და ბორიას ველაპარიკები“; მაგ., „წელს

ქვეით საქრაობა აღარ ქონდა, — ქარს და ბორიას ველაპარიკები“, ე. ი. თქვენგან შორს იკოს ასეთი სნეულება (შდრ. პირი ხისკენ მიქნია).

ქარჩხი ბადისებრი, რომელიც გამოჰყვება დედის მუცლიდან ახალშობილ ვაჟს თავზე მოხვეული; უნდა შეუნახონ და დაეაყვებინას გადასცენ. ქარჩხიანი კაცი გაღაც. ბედიანი.

ქარცეცხლი კანის ავადმყოფობა: წერილად დაყრის და ქავილი აუტყდება; პატარა მუწუკები მწიფდება და წყალი სდის. ხალხში ამას მკურნალობენ თბილი, ახალი შარდით: რამდენჯერმე გაბანენ დღეში; უებარი წამალია.

ქაფქაფი ღომი ახალდამზადებული რბილი თეთრი ღომი.

ქაშაბორიე (ქ. ლ.) ფარღალა. „ამ ქაშაბორიაში რა დაკავდება?“

ქეთელი ხშირი მძიმე სუნთქვა, ქელვა (შდრ. ბერ. ქეშელი).

ქელვა ქშენა, ხშირი სუნთქვა, სირბილით ან აღმართში ასვლით გამოწვეული; ქელავს ქშინავს (შდრ. ქყ. აქენთელეობა).

ქერეთო (ა. მ.) ზაფხულის დიდი სიცხე.

ქერუჯაი (ა. მ.) უწნო ფართო მოსასხამი (შდრ. საბა ქერუჯი).

ქესკინი, **ქისკინია** მარდი, ცკვიტი (შდრ. ბერ. ქიჩქინია).

ქეფება შესხმა. „წყალი ნაპირებს ექეფება“; „წამოუაქეფა“—წამოაღებინა.

ქერაქულაი ოთახში სახმარი უყულო შალის წინდა.

ქვანქვირი ტევადობა; ექვანქვირება ეტევა, ავსებს.

ქვანქვლა, ამოქვანქვლა ამოსვრა (შდრ. ბერ. ქვარქნა).

ქვარცხი, დაქვარცხული დაბალი და ულახათო.

ქვაშარდულაი შურდული.

ქვეყანა ჯადად. სულყველა, მთელი ხალხი. „ქვეყანამ იცის“—ყველამ იცის (შდრ. ბერ. ცა და ქვეყანა).

ქვილაჩი მძიმე საგნის ჩაქიდება და მისი დაძვრისათვის შრომა (ნ. ექვილაჩება; შდრ. ბერ. ქიჩავი).

ქვინჩი ცხერის ტყავის თბილი ჩასაცმელი.

ქიზება ციების დასაწყისში შეცივება, წოდინი, ზრინვა, ყრინვა (შდრ. ქიზი მცირე ნიაფი, ძალიან ცივი).

ქილვა თმის გლეჯა ხელით. „ისე მტკივოდა კპილი, რომ სიმწრით სუნთლა გევიქილე თმაი“.

ქინქლი გინგლი, ბუსუსი.

ქისიმში ჩაყოლა დაწყებული საქმის დევნა თავვაზოდებით, სანამ მიზანს არ მიაღწევს. „ქისიმში ჩაზღია მაგ საქმეს და ბოლოს ქე მგიგო.“

ქისკინია ნ. ქესკინი.

ქიჩინჩური კისრის ზევეთა ნაწილი (საქონლისა), ქედი. „კას სახაროს ქიჩინჩურში შეეტყობაო“ (შდრ. ქყ. ქინჩი, ბერ. ქინჩეა).

ქიჩმაჩი ფატური, გაწვე-გამოწვევა. დაქიჩმაჩება გადაპარბებულნი მონდომებით დაწყება საქმისა, დაფატურება. „ისე დაქიჩმაჩთა, მეგონა ქვას გახეთქავს მეთქინ“ (შდრ. ქყ. დაქიჩმაჩებული).

ქიცეცო ლობიოს პარკის ძარღვი (შდრ. ბერ. ქაცუცა).

ქიცეც ვიცი და ქიცმაცუნიც კარგი საქმის მოქმედიც შემოძლია ვიყო და ავისაც.

ქლოშინი ქოშინი.

ქორმამალაი მეტად თამამი ქალი.

ქოროდინი, აქოროდება მეტად გავსება ჭურჭლისა რამე ფხვიერით.

ქოხალა სქელი და უხეში საწულე ტყავი.

ქოხატყულია ძალიან მატყუარა კაცი.

ქოჩორაი ნ. ქათმის სახელები.

ქრთილი ნამცეცი, პაწაწინა ნაწილი (შდრ. ჩუბ.).

ჭუთვნა, გამოქუთვნა გულის გამორთმევა, გამოღება, მაგ, ხაპისა (გოგრისა).

ჭურათელაი (ზემო გურიაში ჭურთენე) ხაპის თესლის ბუდე; იხმარება დამწვრის წამლად (შდრ. ჩუბ. ჭურთალი).

ქურთენე ნ. ქურთელაი.

ქურუჟ: მოქურთუებული, მოქურთუული მობუზული, ფრთებგაშლით მდგომი (წიწილა).

ქურჭული ნაძალადევი კენესა ავადმყოფისებურად.

ქურჩელი სიმინდის, თხილის, ლობოს, ნიერის, ხახვისა და სხვათა შენაძრობი (შდრ. საბა ნაქურჩალი).

ქურჩუმელი ტყეური მცენარეა, თაფლით მდიდარი, დიდი ყვავილები იცის, ყვავის შემოდგომაზე.

ქუფრი მუქი. „ქუფრი წითელი“, „ქუფრი მწვანე“ (შდრ. ჩუბ. ქუფრი).

ქუშმაში შუშნა, შფოთვა, ტოკვა. „ყარანაი შექუშმაშდა“ (ხალხური ლექსიდან).

ქფოვა, გამოქფოვა (ქ. ლ.) რიგს გარეშე დაფქვს ცოტასიმინდისა.

ქცევა: ექცევი აკეთებ; „რას ექცევ ი?“ — რას აკეთებ? (აქარა).

ღ

ღაზვი ხარბი შურიანი (შდრ. საბა, ჩუბ. ღაზო).

ღალფო სუსტი. „ღალფათ შერტყმული ყაიში“ (შდრ. ბერ. ღალბათი).

ღამეთევ ღამეგათევით, ღამედასარჩენად (მისვლა სტუმრად).

ღამის ყვავი ღამის შავი ფრინველი. ბინდისას იცის ფრენა და ხშირ-ხშირად ჯდება მიწაზე კრიახით. ღამის ყვავს ეძახიან ბაგშვს, ღამით რომ არ დაიძინებს. „უყურე ამ ღამის ყვავს, კი არ სძინავს!“

ღანკიპაი ნ. ღაკიპაი.

ღარდა ღრმა ხრამი, ან ძნელად ჩასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილი.

ღარის დასმა გასუქება. ცხენი რომ გასუქდება, შუა გავაზე ღარი დაესმება. ამიტომ ამბობენ: „ღარი

დეისვაო“; ითქმის ადამიანზედაც (შდრ. ბერ.).

ღარისთვალი მდინარის კალაპოტის ვიწრო და ღრმა ადგილი, სადაც წყალი დიდი სისწრაფით მიმდინარეობს.

ღარლილი 1. ხმამალაი ძახილი, ყიჟინა, საქონელთან ნადირის მიხედობის გამო; შეღარლილება: „რაცხა შეღარლილებასავით იყურება (ისმის); გელი ხომ არაა, ნეტაი?“ 2. ლაპარაკის მანერა. „კაი ღარლილი“ სასიამოვნო ხმა, საუბარი (შდრ. ბერ.).

ღაღანი დედლის სიმღერისებური ძახილი კვერცხის მოწყების წინ.

ღაღვი (ა. მ.) გაუვალი ბალახი.

ღაღვილი (ა. მ.) გიღლის დასა-

კიდი კაუქი (შდრ. ბერ. ლანდ-ვილი).

ლაკიპაი, ლანკიპაი მეტად პირ-ხმელი ადამიანი (შდრ. ლენკეპო).

ლაკუნაი ნ. ლაკუნაი.

ლაკუნაი მძიმედ, ზანტად ლაპარაკი: ლაკუნაი ნელა, ზანტად მოლაპარაკე (შდრ. საბა).

ლენკეპო, ლონკოპო კაკლის, თხილის, ნუშის, აგრეთვე კვერცხის გარეთა მაგარი ქერქი (და არა წინგო).

ღერი ცალი, ერთი. „ერი ღერი სიტყვა წყალს დამალევიებდა, რომ მკოდნოდა“.

ღერწი კუნწი.

ღეჯაი ლობიე უხეში, ძარღვიანი, ფხიანი ლობიო; მწვანედ არ ვარგა საკმელად.

ღვანთქები ლურჯი ზოლები ტანზე (წკეპლის ნაცემი).

ღვანთქი (ა. მ.) ცვილის წვეთი (შდრ. ჩუბ. ღვენთი).

ღვარღვაში, ჩაღვარღვაშებული ძალიან განიერი და გრძელი ტანსაცმელი.

ღვაკიპური ცურვა ბაყაყური ცურვა.

ღვენთქი (ა. მ.) ნედლი დამოქნილი წნელი (შდრ. ჭყ. კვენდლი).

ღვიერო ღველფი (შდრ. ჟღ. ღვრიელო).

ღვინის დასალევი ღვინის დასატანებელი მცირედი საკმელი.

ღვინის თბილი წითელი ღვინისა და ცხარე სართავისაგან შემზადებული სასმელი; ხმარობენ ქონიანი საკმლით გამოწვეული ფალათის საწინააღმდეგოდ (შდრ. ალავ. ღვინი თბილი).

ღვინის კლიშვა ნ. კლიშვა.

ღვინის ჩაკობულვა ღვინის არევა კობულით (ნ.) საწნახელში.

ღინწკულაი ხმარებაში დაღეული დანა (შდრ. საბა, ჩუბ. ღინწი).

ღინჭილა ღიჯინი.

ღირღიტი, ღიჯინი დამამცირებელი ხვეწნა (შდრ. ჭყ. ღირღინი).

ღლიამხრათ მხარილღიე.

ღლოფინი ხმამაღლა, უსიამოვნო ხმით, გაჯავრებით ლაპარაკი. „რაფერ საშინლათ ღლოფინობდა იი ქალი“.

ღომის მოჩხეხვა ცუდად გაცხეილი ღომის ხელახლა გაცხეხვა.

ღომის ნალიე თაველი ღომის გასაწყობად საგანგებოდ მოწყობილი ფაცხა, ყოველი მხრიდან შემობურული.

ღომის ჯიშები გურიაში: ბობოყაყური, ბოჯგა, თეთრი ღომი, ნაქლვალი, ხიტირია (ნ. თავ-თავის ადგილას).

ღონკოპო ნ. ლენკეპო.

ღორეჯაი ძუნწი, პურშავი.

ღორის საწუარაი მრავალძარღვა.

ლოლანი ახოვანი, ტანადი და დინჯი მოძრაობის კაცი; ლოლანი მტრედი დიდი მტრედი.

ლრაკუნი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გაჭირვებით სიარული. „ქულაი და ღრაკუნობს“.

ლრანჩო პატარა ხევი.

ლრანჯუმოქცეული ყბამოქცეული (შდრ. ბერ. ღრანჯვა, ქყ. ღრაქი).

ღრეკა: დაღრეკილი კაცი პირდაპირობას მოკლებული (შდრ. საბა).

ღრინჭი ცარიელი წისკვილის ქვების ხმაურობა.

ღრუჭუმელა პატარა ღრუ (შდრ. ბერ. ღრუჭუმეი).

ღულამაი, გულამაი ძროხის სახელია (ნ.).

ღურღული დუღღუნი, გაჯაერებით, ჩუმად ლაპარაკი (შდრ. ჩუბ. ღურღური).

ღუჭვნა წვრილ-წვრილად ქრა. „რას ღუჭენი? რეიზა და ღუჭენი?“

ყ

ყვალაი უშაშხანო თოფი (ნ. საომარი იარაღები გურიაში).

ყალარი ღონე. „კაი ხანია, რაც სულ ერ ყალარზეა გაჩერებული ავანტყოფის სიციხე“.

ყალთაბანდობა (ა. მ.) თაღლითობა, სიყალბე.

ყამა ნ. საომარი იარაღები გურიაში.

ყანა საყვირშია სიმინდის ზრდის ერთი ასაკი, როცა ეს-ეს არის უღვაშებიც უნდა დაისხას და სამტვერე ხაშარიც გაიკეთოს.

ყანთარქილა ნ. საომარი იარაღები გურიაში.

ყანყლაცი (ა. მ.) მაღალი და უშნოდ მოსიარულე.

ყანწია წვრილისა და წინ წაშ-

ვერილი კისრის მქონე კაცს ეძახიან (შდრ. ქყ. ყანწი).

„ყარანაი“ ძველი სიმღერა (ნ. სიმღერები გურიაში).

ყარანჩი სახარაზოს იარაღი, ლანჩის კიდების საჭრელი.

ყარყუმე ავი, ბევრი ლაპარაკის მოყვარული.

ყაფა (ქ. ლ.) ფომფედ, არამკვრივად მოკრული ტვირთი. „ამ ცხენს ყაფა ქვირთი აქ, თვარა იმდენი მძიმე კი არაა“.

ყაძანაი ღობიე, კაძანაი ღობიე მსხვილმარცვლიანი ღობიო; ძალიან წითელი ყვავილი იცის.

ყაძანი, კაძანი 1. გლეხი, 2. მამაკაცი; 3. უხეში, 4. უჯიშო.

ყაჭ-აბრეშუმეი ქსოვილი, აბრეშუმისა და ყაჯის ძაფისაგან.

ყაჭობა აბრეშუმის ქიის მოვლა-
მოშენების დრო.

ყელევერა მოკლეველიანი და
ქუსლიანი ძველებური წალები.

ყელისა ყელთეთრა ძაღლის სა-
ხელი (ნ. ძაღლის სახელები).

ყვაფი ბუის ბაბიდაი მეტად
შორეული ნათესაობის ძებნის გამო
იტყვიან (შდრ. ნართის ნართი).

ყვიერი მიუმხედარი, ქქუანაკ-
ლები.

ყვიპი ნისლიანი წვრილი წვი-
მა (შდრ. ჟღვიპი).

ყიამეთი, ყიამეთი დარი ჯო-
ჯოხეთური ავდარი. „სა მიხვალ ამ
ყიამეთში?“

ყიამეთი კაცი მეტად მძიმე ხა-
სიათის კაცი.

ყილიფი თოფისა და დამბაჩის
ბუდე.

ყინტარო (ქ. ლ.) წყაროს მე-
ტად ცივი წყალი (შდრ. საბა
ყინტორი).

ყინული ნ. კინკლი.

ყინცილი (ქ. ლ.), მოყინცი-
ლება დამასუსტებელი შიმშილის
გრძნობა. „გულზე მომიყინ-
ცილა შიმშილით“ (შდრ. ცინ-
ცილი; ბერ. ყვინცილი).

ყირიმის თოფი ლულიანი თო-
ფი.

ყლიპინი, თვალების ყლიპინი
თვალების გაფართოება უკმაყო-

ფილების ან მრისხანების ნიშ-
ნად. „რას მიყლიპინეფ მაგ
თვალებს, თუ იცი?“

ყლონჭი ყრონჭი.

ყლოყინი ყროყინი.

„ყოვლაწმინდის კილო“ ნ. სა-
სიმლერო გასალებები გურიაში.

ყორნის ნიკარტი (ქ. ლ.) პუ-
რის ქამის დროს შემოსწრებული
კაცი.

ყოყო მუცელგამობერილი ბაე-
ში (შდრ. ბერ. ყვაპუზა, ყვიჭიპა).

ყპააფჩენილი პირგაღებული;
უშვერა სიტყვებით მაგინებელი;
ყბელი.

ყპაი ყპაში აქ გაცმული მე-
ტისმეტად გამსდარია.

ყრა ფუტკრისა სკიდან მართ-
ვეს გამოსვლა.

ყუაზე მიყენება: საქმის
ყუაზე მიყენება საქმის თით-
ქმის დაბოლოება.

ყუდრება, შეყუდრება, გადა-
ყუდრება წვიმის დროს თავის
შეფარება. „რომ იგლიჯინე იმ ყია-
მეთში (ნ.), ვერ შეიყუდრე სა-
მე?“ (შდრ. საბა ყუდრო ადგილი).

ყუნჩი ყუჩი, წუნარი.

ყურბანი (ქ. ლ.) შეუზნებელი
უვიცი.

ყურდგლება: აყურდგლა გა-
აქცია. „მე კი ვაყურდგლეფ
იმას, რომ უნდა ისე!“

ყურდღლური ხერხი, რომელსაც კურდღელი მიმართავს გასაქირში: დადევნებული მწვეარი რომ მიუასლოვდება, მოულოდნელად გაწვება. გაქანებული ძალი ინერციით განაგრძობს სირბილს, უკან დარჩენილი კურდღელი კი წამოვარდება და თავს უშველის.

ყურდღლისთავა სოკოა.

ყურების დაღურსვა უსიამოვნო საუბრის დროს გაჯავრებით გაჩუმება. „ხო, რაა, რომ დაღურსე ყურები?“

ყურის ძირში ძალიან ახლო. „აგერ ვდგანვარ, ყურის ძირში“.

შავი მიწა შავი ნიადაგი, მეტად ნოყიერი მიწა.

„შავი შაშვი სჩივოდაო“ სამხმოვანი სიმღერა, ზოგჯერ სოლოც გამოერევა (ნ. სიმღერები გურიაში).

შავრიოზაი მეტად შავი. „ნახე მაგ შავრიოზაი ქალი?“.

შავტუხა შავტრუხა.

შავრიოზაი ნიგოზი დაავადებული ნიგოზი (კაკალი); წენგო უშავდედა.

შათირი პატარძლის მხლებელი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მას ქმრის ოჯახში მიყვანამდის.

შაშტრამი რეჰანი (შდრ. საბა შაშტრა).

ყურყული მგლის ან ძაღლის ყმული (შდრ. ჩუბ.).

ყურშავაი ძაღლის სახელი (ნ. ძაღლის სახელები).

ყურში ჩაწვეთება: თუ ჩიეწვეთა ყურში — ყური თუ მოჰკრა.

ყურშუმი თოფის ტყვია.

ყურჩალაი ცოტათი ყრუ.

ყურჩინჩიანი სმენანაკლები (შდრ. ყურჩალაი).

ყურწავადებული დაუდევარი.

უ

შეგორება ადგილები (ბ. ლ.) ზეგანი.

შეგორება (ქ. ლ.) შეკლება: მაგ., ახალნაყიდი ქსოვილი რომ გაირეცხება, „შეგორდება“ — შეიკლებს: სირგძეს და სიგანეს მოიკლებს.

შედუხვა თამბაქოს ღეროსა და ფოთლებს შუა ამოსული ღუყების (ნ.) მოცილება, გაწმენდა.

შეწნევა მოკეთებული ავად-მყოფის უარესად გახლომა.

შეთავებლება მოცლა, დროის შოვნა. „არ იქნა, ერთი ვერ შეეეთავებლე ავანტყოფის სახახათ“.

შეი ვალში ფულის მაგიერ აღებული ნივთები.

შეკიდინება ნელ-ნელა, გაკირვებით შეტანა ვიწრო ჭუქრუტანაში.

შეკმაზვა: საწნახლის შეკმაზვა იმდენად გავსება საწნახლისა, რომ ყურძენი აღარ ეტეოდეს.

შეკმევა: სულის შეკმევა სულის შეხუთვა. „შეკმემა სული და კელამ მოვკტი ელანძე“.

შეკორინება: არ შეიკორინა არაფრად ჩაადლო, არც კი შეიმჩნია.

შელეკვება (ქ. ლ.) მილაქუება, პირფერობა.

შელული შედლუხი, ზეიმი თოფისა და ზარბაზნის სროლით (ახალ წლის დილას, ქორწილში, ვაჟის დაბადების გამო და სხვ.).

შემოგვანჯვარიკებული შემოწკაპული, შემორაზმული.

შემოჭუჭკვა გარშემოწყობა.

შემყურადე შემყურე, მოიმედე. „ხუთი წვრილშვილი ჩემი შემყურადეა“.

შენელება საყვედურის გამოცხადება, გაწყრომა, დატუქსვა.

„შენი ჰირიმი“ ძველი ღიღინი (ნ. სიმღერები გურიაში).

შენსობას შენს იქ ყოფნაში.

შეჟიწვლა ნ. ჟინელი.

შესაგვარი მელოგინე ქალის ბისართმევი ძღვენი.

შესაფუცი მოულოდნელი საშიშროებით გამოწვეული არევა-დარევა.

შესახლეება დავალება. „შემასახელე და შენი გულობიზაცეხლში და წყალში გადავარღები“.

შესხვაგება ძალის მიერ ყუფით შეგებება.

შეფირთქვლა შეთეთრება კირით კედლისა, ბუხრისა და სხვათა, სახისა კი ფერუმარულით; შეფირთქლული თეთრად შელესილ-შეფიფქული.

შეფოჩხება დაბრკოლება.

შეფუცხუნება ნ. ფუცხუნი.

შექანება კეუსი შერყევა; შექანებული ოდნავ შეშლილი.

შექარაფება სიძნელის შემსუბუქება, შვების მიცემა. „ო, რაფერ შემიქარაფა ტანჯი ამ ოჯახასენებულმა“ (ნ. ქარაფათა).

შექაჭვა ეკლით ან მისთანათი შემოსვა ხისა, რომ ზედ ვინმე არ გავიდეს; შექაჭვული ეკლით შემოსილი, ეკლიანი.

შელარლილება ნ. ღარღილი.

შეყრილი ნ. სასიმღერო გასაღებები გურიაში.

შეყუდრება ნ. ყუდრება.

შეშება, მიშეშება სხურება, მისხურება. „მიაშეშე ერთი წყალი მაგ წვანილს, რომ დაძლრა-ლა“.

შეწიბვა შემართვა, შეეენება ჩანხახისა (შღრ. ქყ. წიბი).

შეწყენილი ორსულ ქალს რომ უდროო დროს ან წელი, ან მუცელი ატკივდება და მუცლის მოწყვეტის შიში აქვთ — შეწყენილს უძახიან.

შეზიდება შეელა. „პაწას თუ შემეხი დები, ისთოულე ზენ!“

შვანვა, დაშვანვა ფიფქ თოვლს რომ თბილი ამინდი დაუდგება, „დაშვანავს“, წყლით დაამძიმებს, ხეების ტოტებიდან ძირს ჩამოყრის. „გუშინდელმა დარმა თლად დაშვანა თოლი!“

შვანტალი, შვანტალი უტოტოდ აზრდილი მალალი ხე; აქიდან: აშვანტალებული (ნ., შღრ. შოტიალი; ბერ. შვეტა).

შვაჯალა მდინარის კუნძული (მღრ. საბა კალაკი).

შველისყურაი, ცხენისძუჭა (ნ. თხილის ჯიშები გურიაში).

შვიდჯაცა, სიმღერა, რომელსაც შეილა კაცი ასრულებს: განუწყვეტლად იძღერება (ნ. სიმღერები გურიაში)

შვიდჯვარაი სიმინდი (ნ. სიმინდის ჯიშები გურიაში).

შვილის ფასათ მეტად ძვირად, წარმოუდგენლად ძვირად, მამასისხლად.

შვილი (ძმაი, დაი) ყუროფს ჩემი „ბარკლის სერელე უშველებელი წიტი გამოსხმოდა, — შვილი ყუროფს ჩემი“ [ეს გამოთქმა იმარება ველვარული თქვისას ბოდიშის მოსახდელად].

შვლევა გააყრა მოწყვეტით, სწრაფად დავარდა, ჩავარდა (შღრ. ბერ. შვლევა, სვლევა).

შიშლ-უთაი, შიშლოურაი შიშით, მორიდებით. „მაგ საქმეს შიშლოურაი მიეკიდე, არაა ადვილი“ (შღრ. ბერ. შიშკალი-თა).

შიშკიბუჭაი უხეში მისერა-მოხერის თაწი და ცეტი ქალი (შღრ. შობოროქაი).

შიშხათი დაშინება სიმკაცრით.

შლაჭი მალალი, წარმოსადეგი ტანის მამაკაცი.

შობოროქაი (მ. ქ.) დაუდგრომელი, ცეტი, საქმის დაუდევრად მკეთებელი.

შოლიო, ფშოლიო (ძაფი) მცირედ შეგრეხილი, ღუნე.

შოტიალი, შოტიალი უტოტო, ტიტველი ხის ტანი: აშოტიალი უტოტოდ ტანაყრილი. „შოტიალი ხეა, ფთხილად აღი“ (შღრ. ბერ. შვეტა).

შტვირე კოლში გაკეთებული მილი, საიდნაც გასული წყალი ბოზბალს ხვდება და აბრუნებს (ნ. წისქვილი კოდისა).

შუბლის ძარღვას გაწყვეტა სირცხვილის გრძობის დაკარგვა.

შურდულა, შურდულაი ნ. ძაღლის სახელები.

შუუხედავი ულამაზო, არასა-სიამოვნო თვალადობისა.

შხანკო ვაზის ულვაშია, რომ-

ლითაც იგი მიმაგრებულია ჭიგო-ზე ან ხის ტოტზე.

შხვერთი, შხვერთელა, უღვერ-თი, უღვერთელაი მოქნილი წნელი შდრ. ბერ.).

ჩ

„ჩაგუნა“ მეგრული სიმღერა, საცეკვაო (ნ. სიმღერები გურია-ში).

ჩადუღება წყლისა შექამანდის ხარშვის დროს წყლის ჩაშრობა. „მოხარჩული იქნება აწი მათი ლო-ბიე, სამჯერ ქე ჩეიდულა წყა-ლი“.

ჩაზუზუბებულნი სხვადასხვა სანელებლით უხვად შემზადებულნი საკმელი; აგრეთვე მსუქანი და ნო-ყიერი.

ჩათითქინებულნი ნ. თითქინაი.

„ჩაირამა“ ნ. სიმღერები გუ-რიაში.

ჩაკვარაჭინება მკიდროდ ჩახუ-ტება (შდრ. ბერ. კვარაჭინა, კვარახჩა).

ჩაკინკული დაფლეთილი ტან-საცმლით შემოსილი (შდრ. კინ-კი).

ჩაკიკიკებულნი ლამაზად ჩამწ-კრივებულ-ჩაწყობილი, მაგ., კბი-ლები (შდრ. ბერ. კიკი).

ჩაკობულვა საწნახელში ყურ-ძნის ჩატენა კობულით (ნ.).

ჩაკოტვილი ტაროდასხმული სი-მინდი.

ჩაკრიჭინებულნი სუფთად და ლამაზად ჩამწკრივებულნი (შდრ. ჩა-კიკიკიკებულნი).

ჩაკუშვა ძალად, ჩაკმუტენით ჩატენა, ქალაღისა, ნაქსოვისა და სხვათა ჩაკუტვა (ნ.).

ჩაკუტვა ჩატენა, ჩალრმავება. აქი-დან: ჩაკუტული მაგრად ჩატე-ნილი, ჩალრმავებულნი (ნ. ჩაკუშვა; შდრ. ქუ. კუტვა).

ჩალანდარი ჩალვადარი.

ჩალაშკარი სალესი ქვა.

ჩამდვომ: ჩამდვომ წასე-ლა ყანაში დიდი ხნით წასვლა ყანაში სამუშაოდ.

ჩამორვა გაცუდულის ჩაკეცვა და ნემსით ამოხვევა.

ჩამოფეტვა ერთი დაკვრით ჩა-მოთლა.

ჩამკულიავება მაგრად მომწყ-ვდება მუკში. „რომ ჩეიმკულია-ვა, აღარ იქნა გამორთმოვა“ (შდრ. ბერ. მ-კყველვა).

ჩამბრობა წელზევით (მხრებს ქვევით) გატიტვლება სატირალში კირისუფლის მიერ (ძველი ჩვეულება იყო, ახლა გამქარალია).

ჩანჩახი ქათმისა და ინდოურის გასასუქებლად მოხარშული სიმინდის მარცვალი.

ჩაუნგული ნ. სასიმღერო გასაღებები გურიაში.

ჩაუწყვა განაზებით მღუმარედ; პირმოკუმული ჯდომა (შდრ. პუწკია).

ჩარიკი ფოლადი.

ჩარიჩხინებული ლამაზად ჩამწკრივებული. „ისეა აქ ჩარიჩხინებული აი თეთრვანი კბილები...“ (ნ. ჩაკიკიკებული; შდრ. ბერ. რიჩხინი).

ჩარჩმა საფანტი.

ჩარჩნი კაცი კაცი, რომელიც ცდილობს ყოჩალად მოაჩვენოს თავი ხალხს. „რას იჩარჩხები?“

ჩახიძებულა ზედსიძე. „მაჩვი სოროში შეიმწყვტიეს, ცეხლი შეუნთეს და ხკითხეს: — მაჩვო, რაფერ ხარო? — ჩახიძებულ კაცს კიდო ვჯობივარო“ (ხალხური არაკი).

ჩაფუცვა ჩაფუშვა, ჩაშლა.

ჩაფშუკული (ცეცხლი) ჩამქრალი, დაეხებული.

ჩაქალოზი ნ. საომარი იარაღები გურიაში.

ჩაქვესკნელება ჩაქცევა.

ჩალვარღვაშებული ნ. ღვარღვაში.

ჩალიღვა ვიწროდ ჩაქრა ფიცრის ან ჯოხისა.

ჩალუნე მეტისმეტად მორცხვი, გაუბედავი.

ჩაჩია სიმინდის ხმელი ჩალა (შდრ. ყ ლ.).

ჩაჩიჩინებული ლამაზად დარაზებული.

ჩაჩლარტანი წვივის საცვეთი შალისა.

ჩაწილექვა ტალახში ჩაფენა, გასვრა. „რომ ჩაგიწილექები მაი კაბის კალთაი, რას იცვამ ნეტი დღეს სტუმართან?“

ჩაწყვეტილი ნ. სასიმღერო გასაღებები გურიაში.

ჩაჭიპული ერთ ადგილას ჩაზნექილი (შდრ. ქიპი).

ჩაჭყაპვა ჩაზნექა, ჩაჭყლეთა მაგარი საგნისა.

ჩახჩური ლურჯი, თხელი ხამის შარვალი (იმერლები იცვამდნენ).

ჩეთე ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი მეომარი რაზმი აქარაში.

ჩეთინი (ა. ჯ.) საექვო, საძნელო.

ჩელტვა, დაჩელტვა ხნულზე ჩელტის გადავლება, დაფარცხვა.

ჩელტის პირის ახოვა საპარკედ გამზადებული ქიისათვის ჩელტის ნაპირებზე სქლად შემოწყობა ხმელი ნოშოსი და ფოთლებისა, რომ ჰიას პარკის გაკეთება გაუადვილდეს.

ჩემსგამეტი ჩემ ვარდა. „ჩემსგამეტი ყპის საქცევი ვერა კაცი ნახუ?“

ჩემსობას ჩემს იქ ყოფნაში (შდრ. მისობას, შენსობას).

ჩენჩალია კურკელში დაუტენლად ჩაყრილი ფქვილი.

ჩინჩავატი (ა. მ.) ჩია, დაბალი ხარისხის ჯიში.

ჩიტლელვაი ტყის ლელი.

ჩიფლამა ხის მასალაა: საძირკველს ზემოდან აშენებებს და ქილის თავეებს ფარავენ.

ჩინჩა, ჩინჩა მდარე ჯიშის, წვრილმარცვლიანი თხილი (ნ. თხილის ჯიშები გურიაში).

ჩინჩირაი უშნო, დიდი ბაგეკბილის ადამიანი.

ჩინჩვი ქორთვა.

ჩინჩარხალა ბევრი უწვრთნელი ბაგევი ოჯახში, ბასარხლები.

ჩინჩახუნი ტალახში ტლაპა-ტლუპით სიარული.

ჩინჩოთ ფომფლედ, ფომფოდ.

ჩინჩია (ა. მ.) ძელის ნაქიდურა ფიცარი.

ჩინჩირა „ჩოქირ“, „ჩოქირ!“ ძალღს დაუძახებენ ხოლმე.

ჩინჩერა მეჩხერკბილებიანი (ითქმის ადამიანზე, სავარცხელზე, საჩიჩელზე დასხვ.: შდრ. ჩუბ.)

ჩინჩაყი ცხენის ავადმყოფობა:

კოქის ან ჩლიქების მახლობლად უჩნდება სატკივარი.

ჩინჩანი სამონაზვნო ტანსაცმელი, ზევიდან ჩასაცმელი.

ჩინჩვანა უგვანოდ თხრა; გადაჩუგენა: „რაფერ გადაუჩუგენავს ღორს აგი ეზო! საგქონდათ თვალები?“ (შდრ. კყ. ჩუქვა, ბერ. ჩულნა).

ჩინჩვავა, დაჩუთვავა უხეიროდ მიკელება ან შეკერვა. „რაფერ ქვეყნის საშინელათ დაგიჩუთავს, ცავ, აგი საბანი?“

ჩინჩვათელაი ოთახის გადასატხრავად კედელს ჩაქრიან ხოლმე ფიცრის თავეების ჩასასვამად.

ჩინჩქაქი სიტყვის მიტან-მოტანა. „რამდენს რაცხას ჩუქჩუქობენ, თუ ყორიფელს დუუჯერე!“

ჩინჩიფთე წყვილი. „გუშურკვია ჩქიფთე ფიშტოები ბელყაიში“.

ჩინჩოლნარი ნ. ნოლნარი.

ჩინჩვებრძული გურული ჯიშის ვაზი, საღვინე, წააგავს ჩინჩვერს, ოღონდ მასზე უფრო დიდმარცვლებიანია.

ჩინჩვერი გურული ჯიშის ვაზი. ძალიან სწრაფად იზრდება, ნაყოფიერია; ლერწები წვრილი აქვს, მოწითალო ფერისა; ზედ ზოლები და წინწყლები ძლივს აჩნია; მუხლებს შუა მოკლეა; ფოთლები საშუალო სიდიდისაა, მკრივი, ზოგჯერ ხუთყურიანი, ძნელად შესამჩნევი ნალრებით; ფოთლების კბილები მა-

ხელი, ზედა პირი უქინქლო, მწვანე, ქვედა — მკირე ქინქლით დაფარულია. ლერწი საშუალო სიგრძისაა, ვარდისფერი. მტევანი პატარა იცის, ცილინდრული მოყვანილობისა, ზოგჯერ ფრაიებიანი, საკმაოდ მკერავი; ლერწი მოკლეა, წვრილი, ვარდისფერი გადაკრავს; ნაყოფის ყუნწი საშუალო სიგრძისაა, საკმაოდ მსხვილი; ნაყოფი წვრილი, მრგვალი, მუქი მოვარდისფერია; კანი თხელი, ნაზი, გული საკმაოდ წვნიანი აქვს, ტკბილი, ცოტაოდენი სასიამოვნო სიმკვავე გადაჰკრავს; საერთოდ ძალიან გემრიელია. მოვარდისფრო და სურნელოვან ნაზ ღვინოს იძლევა. იმდენად ნაზია ღვინო, რომ

ტიკით ან კუპრიელთ არ წაიღება. ჩხაფერი ბევრ ადგილას მოჰყავთ გურიანში, განსაკუთრებით შვემოქმედში, უზაზობში, ლიხაურში, მაკვანეთში, სადაც ერთნაირი პავა და ნიადაგია.

ჩხიბარკალა ხმელი და უშნო აგებულების ადამიანი.

ჩხიბვა ბლავნა, ულამაზოდ და გაურჩევლად წერა.

ჩხიკვისთავაი ნ. თხილის ჯიშები გურიანში.

ჩხირის მიტება საქმის უდროოდ როს მიტოვება, დაუბოლოვებლობა, ან ცუდად დაბოლოვება. „ო, რა გლახა დროზე მიმიტება ჩხირი იმ გულაგდებულმა კაცმა!“

ც

ცალუდელოა ბოძზე დამაგრებული უღელი, რომელშიც გაბმულია გასახედნი ცალი ხარი და ამ ბოძს უტრიალებს გარშემო.

ცალფეხ: ნაცალფეხევი ერთი კაცის ნავალი ახალ მოსულ თოვლებზე.

ცალხელკიდება მოუკლევლობა, გაცხარებული მუშაობა (შემოდგომაზე). „ახლა მაგიზავინ მიიცილის, ამ ცალხელკიდებაზე!“

ცაზ უფუტე საცოდავი არსებობა, გატანჯული ცხოვრება.

ცასჭვჭვითი დედამიწა მთლად.

„ცაცხა“ კატის დატუქსება, გაგდება (შდრ. ბერ. ცაცხანი).

ცაზაზ მიღვმა საპარკედ გამზადებული აბრეშუმის ჭიისათვის ცაზის დაღვმა (ნ. ჩელტის პირის ახრება).

ცენტერაძის მოლაზონი ხალხური გადმოცემით „ცენტერაძის მოლაზონი თელი ქვეყნის სატირალს ტიროდაო“; „რავე ცენტერაძის მოლაზონსავით ტირი ყოლი კაციზა“.

ცენცარუკაი ვეტი, დაუდეგარი, სიღინჯისმოკლებული (შდრ. წერ. ცუნცხუკი).

ციმცაში, გაციმცამება განუმება, სულის გატრუნვა (შიშის გამო). აქილან: გაციმცამებულნი. „ისე იყვენ გაციმცამებულნი შიშით, რომ აღარასფერი არ ეყურებოდათ“.

ცინცილი 1. ნელი დუღილი დასაწყისში. „ა ცინცილ და და აწი აღუღდება კარქა“; 2. „გულზე ცინცილი“: „გულზე მიცინცილებს, დღეს ხეფსი რომაა, არ ჩამსდია პირში“ (ნ. ცრიალი; შდრ. ბერ. ყვინცილი).

ცინცქალი ცოცხალი, მოძრავი; საყვარელი.

ციქციქი სირბილით სიარული, ჩაქჩაქი (შდრ. ქყ. ჩიქჩიქი).

ციცავის კვირა ნ. ცუცქის კვირე.

ციცქირი (იდუმალად), მსუნაგი მოლოდინით ცქერა, ციციქინი, ძუძგური; „რას უციციქირებ მაქანაი?“

ციცხი ისეთი რამ, რაც ადვილად ტყდება, ფიცხი.

ციცხის ძმარი ნ. კაპარწახი.

ციცვის უცხელესი აუტანლად ცხელი.

ცრიალი ავდრის შეჩერება, გამოდარების დასაწყისი. იცრიალა ცამ ღრუბლების გადაყრა და იწყო, წვიმა შედგა, ილანილა.

ცუდაცავი თოვლისაგან ნაგუნდავები კაცი, ბავშვებისაგან ნაკეთები.

ცუნდრუკი ნ. ბუნდრუკი.

ცუცქვა მსუნაგურად ძებნა საქმლისა. „რას იცუცქები მაქანაი?“ — რას დაეძებ მსუნაგურად?

ცუცქის კვირე, ჰინკაის კვირე

ერთ კვირას გიორგობისთვეში (ნოემბრის სამ დღეს და დეკემბრის სამ დღეს), ჰირნახულის შენახვის შემდეგ, „ნალიას არ შეძრავდენ“, არ შეეჩებოდნენ: „სარჩო გაუხვავრდებაო“. ამის გამო წინდაწინ გამოჰქონდათ ნალიიდან, რაც ამ ხნის განმავლობაში დასჭირდებოდათ (შდრ. ბერ. ჰინკობისთვე).

ცფობა, შეცფობა კრთობა, შეკრთობა. „ხედავდი, რაფერ შეცფა ფულის ხსენებაზე“

ცქინტვა როცა ძროხა ძალიან ცოტა რძეს იძლევა, იტყვიან: ძროხა იცქინტებაო.

ცქინტი პატარა ჩხირი, რომლითაც მახე აიშლება ხოლმე (შდრ. ბერ.).

ცხენისკვალი ნ. სიმინდის ჯიშები გურიასში.

ცხენის სახელები: 1. ალათი გალა (ნ.) წითელი ცხენი; 2. კავშირი, ფეხკავშირი ჩლიქთეთარი; 3. ლურჯი, ლურჯაი მოლურჯო ცხენი; 4. მარლი თვალქრელი; 5. მოიმახე სიარულის დროს უკანა ფეხებს რომ ახვედრებს ერთმანეთს; 6. ოქროსფერი მოყვითალო; 7. საღარი პირთეთრა ცხენი; 8. სისვი ნაცრისფერი ცხენი; 9. ტორი მუქიწითელი, ცოტა მოთეთრო ტუჩებიანი ცხენი; 10. შექცეული თეთრ ბალანარევი, თითქოს ფეკილი შეუყრიათო; 11. წაბლისფერი ქუფრი (ნ.) წითელი;

ცხენისძეძუა, შვლისყურა ნ. თხილის ჯიშები გურიაში.

ცხენისძეძუ ყურძნის ჯიშია გურიაში.

ცხვირწაკატაი წაკატის მსგავს ცხვირიანი.

ცხრა პოტიკი ენა ზედმეტად მოლაპარაკებე იტყვიან: ცხრა პოტიკი ენა აქო.

ძ

ძაგუნი ნ. თავის ძაგუნი.

ძალუგემურაი ძალაუნებურად, ნაძალადევად.

ძანძღვა, დაძანძღვა (ქ. ლ.) ერთიანად დასველება, დაზუნზღვა, ამოწუწუვა (შდრ. ჭყ. ძანძასი).

ძარძღალი მაკე ძალლი ან კატა.

ძაღე ძმარი მძაღე, გაქნილი ძმარში და სუნელით „შეკმაზული“; ბეჭის საწებელია.

ძაღლაძაღლაი ბოსტნის მავნე დიდი ფრთოსანი, მიწაში მძრომი მწერი (ნ. ძირყორა).

ძაღლის სახელები: აღმასაი, ბაქურა, ბონძვერა, ბროლია/ე, გელია/ე, ერთგულია, თოლია/ე, კუდალაი, მერცხალაი, მურია, პოჩია/ე, სწრაფია, ტურიე, ფატურაი, ყელისა, ყურმა, ყურშავაი, შურდულა, ძუნკალა, ჯღუნია (ნ. თავ-თავის ადგილას).

ძაღლის ქინძაი მყრალი სარგველა ბალახი, გარეგნულად ქინძს წააგავს.

ძაღლური წყლის ზედაპირზე ხელების დარტყმით ტურვა.

ძაძა ღობის თავის შესახვევი ფიჩხი. აკეთებენ ბოსტნის დასაცავად შინაური ფრინველისაგან (ნ. მო-ძაძვა).

„ძელი ღამისა“ ძველი ღილინი (ნ. სიმღერები გურიაში).

ძვალის გაგდება დიდხანს არწავლა. „ხედავ, რავა გაგვადე ძვალის ველარ მევიფიქრე ადგომა და წასლა“.

ძვალმოტენილი წყალი ოდნავ შემთბარი წყალი.

ძვალსხვილი 1. მაგარი აგებულების, მსხვილი ძვლის პატრონი კაცი; 2. ძვალსხვილი შეშა მაგარი, წვაში განძლე შეშა.

ძილი ჩონგურის უშოკლესი ალყა.

ძირიფი ნიკოტინი.

ძირმაგარაი მტკვენეული მუწუცი (შდრ. თავისკპილაი).

ძირფული ძირითადი თანხა.

ძირყორა ბოსტნეულის მჭრელი მავნე მწერი (ნ. ძაღლაძაღლაი; შდრ. საბა ძირას მკამელი, ჭყ. ძირყვალი).

ძიგინი (ა. მ.) ქუხალისებური

მძლავრი ხმაურობა; რყევა, ნძრევა.
„რაფერ ძი ძ გ ი ნ ო ბ ს ა ი სახლი!“

ძნელი მაგარი. ამ მნიშვნელობით მხოლოდ სპირტიან სასმელებზე იტყვიან: ძნელი ღვინო — მაგარი ღვინო; ძნელი არაყი — მაგარი არაყი.

ძროხის სახელები: გიშვრავი, დედიშაი, დოლი/ა (ურქო ძროხა), ლამაზაი, მარჩენალაი, ნისლედაი (ნისლისფერი), ნოთია/ე (პირთეთრა), ტიგრედი/აი (თეთრზოლებიანი), უცთურაი, ლულამაი || გულამაი, წაბლაი, ქერამაი (ქრელი ძროხა).

ძუამდი ცრუი უზომოდ ცრუ, მთლად ცრუ.

წაბლაი ნ. ძროხის სახელები.

წადაუკურაი წამდაუწუმ. „რაა აი წადაუკურაი ქამა? დაყელი და გაათავე ბარელმაი!“

წადგომა 1. შველა, გამოდგომა. „აბა, შენ იცი, რაფერ მარჯვედ იქნები და წაადგები დედაშენს“; 2. „წამიდგა ხელ-ფეხში“ — სიცივემ ხელ-ფეხი წამართვა, დამაძრო; 3. პირში წადგომა პირისპირ მხელა. „რაფერ წამიდგა პირში!“

წადება ნ. წადობა.

წადობა, წადება თავისა დამორჩილება, გაჩუბება. „წუუ დვა თავი“ — წინააღმდეგობას აღარ უწევს, დაემორჩილა.

ძუარაი ძოვარა (ნ. ქყ.).

ძუატაი (ა. მ.) ძალზე გამზმარი.

ძუის დაგება მახის დაგება (ნ. მახე).

ძუნძურეხა (ა. მ.) მძიმედ, მოშვებულად გასუქებული, ძონძროხი.

ძურწვა, გამძურწვა (ა. მ.) რაიმე გრძელის თითო-თითოდ გამოძრობა, სიძნელით (მღრ. ბერ. ძურწვა).

ძუძუა ნ. ჯუჯუა.

ძუძუის მოკითხვა ცურის მომატება ხბოს მოგების მოახლოების დროს.

ძლაბლი ზღარბი.

წ

წაწომება, ერი წაწომება განის გასწვრივ აღებული ოთხკუთხი ქსოვილი. „რაცხა ერი წაწომება დარაია მიგდია“.

წაქ'გ'რა-წაქ'გ'რაი ხანდახან, დროდადრო. „რა ხეავი აქ ამ წაქერა-წაქერაი მუშაობას, კარქა იმუშავე!“

წაკლაპუნება, საკბენად გამოხატული ძალის მიერ კბილის კბილზე შემოკვრა.

წაკულუმბურება ცხვი-პირისა მოწყენისა და თან უკმაყოფილების გამომეტყველება. „რაფერ წაგაკულუმბურებია, ცავ, მამ ცხვი-პირი! რას მიწყრები, თუ იცი?“

წალა მოყვითალო ფერის მწა-
რე სიიხე, რომელსაც პირიდან
საქმების დროს არწყევს ავადმყოფი
ცარიელი კუჭიდან (მდრ. საპა).

წალაპარაკება მცირე წაქიდ-
ბა, წაჩხვება საუბარში.

წამოკვავა პირადმა, ფეხებაშ-
ვერით წამოქცევა, წამოწოლა.
(უზრდელად).

წამონაღებული წამოსივებული.
„აგი ბალანი წამონაღებული
მეჩვენება“.

წამოტარახინებული მორკალ-
ვით ზევით აწეული (მაგ., ძაღლის
კუდი).

წამოშაშხუნება წვიმის ცო-
ტა ხნით მოსვლა. „ერთი ქე წა-
მეუშაშხუნა და ქე გაჩერდა“.

წანკალება წამწარება.

წანწლვა, აქიდან: გამოწანწ-
ლული უქმელობისაგან მეტელ-
ჩავარდნილი (მდრ. ბერ. წლაწვა).

წართი (ქ. ლ.) ყუათი, ხეავი.

წარნაქაი მეტად მეავე.

წასაგარი წვრილად დაჭრილი
მწვანილი, საქმელში ჩასახარშავი
ან კერძზე ზევიდან მოსაყრელი.

წასკუჯვა (ა. მ.) თავის წაკერა
ულაზათოდ.

წალმაი პირი, ზედაპირი (უკულ-
მას საწინააღმდეგოდ).

წაძღვანიება თან წალება, თან
წყევანა. „წეიძღვანიე აი ხვოი
და წაი“.

წაკვა წვეტა; მოწეკვა მო-
წვეტა ყვავილისა, ნაყოფისა და
სხვ. „ერთი ორი კვალი სხა-
ლი მოწიკვე და შეიტანე“.

წელზედაი წელსზევით ჩასაც-
მელი, გადასაცმელი.

წელშიშველაი უქამრო, უქამ-
როდ. „ისე ამიგლო, რომ წელ-
შიშველაი გამოშვება“.

წენწება წება; დაწენწება
დაწება.

წერება, ეწერება კვერცხი ზოგ-
ჯერ ქათამს ერვენება, თითქოს
კვერცხი აქეს და ეძებს დასადებ
ადგილს. ამ შემთხვევაში იტყვიან:
ქათამს კვერცხი ეწერე-
ბაო.

წვენა, გადაწვენა ვენახისა
ძველი ვაზის გადაწვენა, მიწაზე
კავით დამაგრება და ზევიდან მი-
წის წაყრა გასაახლებლად.

წვერი ქნა: კაკალმა წვერი
ქნა აბრეშუმის თესლში რომ
პირველი ქიები გამოჩნდება, მაშინ
იტყვიან.

წვერცამეტაი თხელწვერა, ნა-
ხვერად ქოსა (საგინებელი სიტ-
ყვაა).

წილომინაი გურული ჯიშის
ვაზი, საღვინე, თეთრი ყურძენი
იცის.

წიაწი, წიაწება, გაწიაწება აქეთ-
იქით გაწეე-გამოწეევით დაფლეთა,
დაგლეჯა, დაფანტვა. „რაფერ
მუაწიაწა ძაღლმა აი შიგანი“.

წიბორწყალაი ძალზე უღიანო და სუსტი აღიანიანი.

წივის ჯაფარცხვა: წივი და-
აფარცხვია შვაშინა, გააქცია.
„ტყელაი ტრაბახობდა თურმე: ხომ
ღეინახე, რაფერ დააფარცხვი ა
წივი ძალმა!“.

წივსაკანაი, წივსაკრავი ლეკვე-
რთხი.

წივსაკრავი ნ. წივსაკონაი.

წითელი ეწერი უნაყოფო შიწა.

წითელანი გურული ვაზის ჯი-
შია; მოწითალო ყურძენი იცის,
საღვინედაც ვარგა.

„წილაქმა“ ნ. სასიმღერო გა-
საღებები გურიაში.

წილაობიე მეტად წვრილმარ-
ცვლიანი ლობიო; აკეთებენ ძმრი-
თა და ნიგვზით შეხელილს. მდარე
ჯიშად ითვლება.

წინაფებით ერთი ფეხით, ოდნავ
უფრო ადრე. „კარის მეზობლებმა
წინფეხით უნდა მივიღეთ ტი-
რილში“.

წინწიბური, წინწკიბური კიდე
(ზემო გურიაში).

წინწიბური წვერი, მწვერვალი
ხისა.

წინწკიბური ნ. წინწიბური.

წინწიბია: მოწინწრიქობს
მოწვეთავს, ჩამოდის (უხუფთაო
სითხე). „რაცხა პაწაი ქე მოწინ-
წრიქობს, მარა არ ისობა.“

წინწყა უსიამოვნო სისველე,
სინესტე, ზოგჯერ საჭმელს შეუდ-
გება შენახვისაგან. „აგი ღომი

ალარ იტუმა (იტომა), წინწყა ქ
შემდგარი“.

წიპი, წიპი, წიპონია. ჩვილი
ბავშვის გასართობად ამოძრავებენ
მის წინ ყუნწით მსხალს, ვაშლს
და იტყვიან:

„წიპი, წიპი, წიპონია,
თხასა კვერცი უჭამია,
პირსა სცხია, უხარია...“

ბავშვს გაანძრევენ და იცინიან; იცი-
ნის ბავშვიც. ხშირად ხელის ზურ-
გზე ოდნავ მოჩქმეტით ბავშვის
ხელს დაიკიდებენ, უნძრევენ ხელს
და ეუბნებიან: „წიპი, წიპი, წი-
პონია“.

წიპონიე ძაფზე ან ზონარზე და-
კიდებული რამ, რაც ადვილად ქა-
ნაობს (შღრ. წიპი, წიპი, წიპონია).

წისქვილი კოდისა სადაც წყალ-
ნაკლებობაა, კოდის წისქვილს აკე-
თებენ. მისი ნაწილებია: კოდი
გულგამოთლილი ხის მორი, შეე-
ულ-დ დაღმული, რომელშიც
წყალს აგუბებენ; შტვირი კოდში
გაკეთებული მილი, საიდანაც გამო-
სული წყალი ბორბალს ხვდება და
აბრუნებს; საქფილე ყუთი ფქვი-
ლისათვის; სამინდე ქურქელი,
რომლითაც მინდს რწყავენ (იღე-
ბენ); საგდული წყლის გადა-
საღები ფიცარი (შღრ. წერ.
კოდის წისქვილი).

წისქვილის (გურ. წისკვილი) ნაწი-
ლები: ოფიჩო მარცვლეულის ჩა-
საყარი, ხვიმირა; ჯამჯამაი კრი-
ქა, ყუთი, რომელშიც ხვიმირიდან
მარცვლეული ჩამოდის და იქიდან

წისქვილის პირში ცვივა; სარაკუნაი ხის პატარაკავი, რომელიც თავით წისქვილის ქვას ეყრდნობა. ქვის ბრუნვის დროს სარაკუნაი მოძრაობს და ანძრევს კრიკას, საიდანაც მარცვალ ცვივა წისქვილის პირში; არქი რკინის პატარა ნაქერი, ჩასმული წისქვილის ზედა ქვაში. მისი საშუალებით ბორბალი აბრუნებს წისქვილის ზედა ქვას (ნ. საბა); ლაფერაი რკინისაა; მას ერთ თავზე წამოცმული აქვს არქი, ხოლო მეორე თავი ჩამაგრებულია ბორბალში; ბორბალი (ხისა); სიქინჯის ფეხი ანუ საკუსარაი რკინის საფუძველი, რაზედაც ბორბლის ფეხია დაყრდნობილი; საძრიკველი, საფუძველი ამას ეყრდნობა საკუსარა. ამ ნაწილით წისქვილს ააწყობენ ხორბლის წვრილად ან მსხვილად დასაფქვავად — საცნაური; სათავანი ადგილი, საიდანაც გამოჰყავთ წისქვილის წყალი; ღარი, წისქვილის ღარი ამის საშუალებით წყალი ბორბალს ეცემა.

წისქვილის პირი ნ. წისქვილის ნაწილები.

წისქვილას ღარი ნ. წისქვილის ნაწილები.

წიწკათაი ჭამა უხალისოდ, უმადოდ, გამოჩრევით ჭამა (შდრ. ბერ. წიწკი).

წკეპლა, დაწკეპლა წკეპლის ცემით მატყლის დაძლა, დაბზუეება (ნ. ბუეუეი). „თუ კარქათ არ დაგიწკეპლავს აი მატყლი, დაწკეპლე: არ ჩეიყრება ისე სალებთ“.

წკვერტა გააყრია სწრაფად, ცქვიტად ისეუბა, გადახტა.

წკნელი წნელი.

წლის მოზიარე ერთსა და იმავე წელს დაბადებულნი.

წოწინარი (ა. მ.) ოწინარი (შდრ. ბერ. კოქინა).

წული შვილი: ქალი, ვაჟი. მაგ.: დისწული, ძმისწული (შდრ. საბა, ჩუბ.).

წურწკლი პირიდან უნებურად წამონადენი ნერწყვი (შდრ. საბა წუნწკლი).

წურწკული წურწური.

წუწკი მსუნავი (შდრ. ჩუბ.).

წუწუმეტაი თავწამახვილებული რამე: მალალი (გრძელი) თავწაწვრილებული.

წუწურაქაი ძუნწი, გამოუმეტებელი, ხელმოქერილი.

წყლის ლოპერი წყლის მცენარეა, ზედაპირზე მოექცევა ხოლმე წყალს; ლამაზი ყვავილი იცის.

ჭ

ქავლი ვაზის ამონაყარი, რქა, ლერწი (შდრ. ჩუბ. ქავლი).

ქაკოდლილი ცუდად დაკოდლილი მამალი, რომელიც ყვერულობაში ზოგჯერ მამლობას ეწევა და ამის გამო კვერცხები ლაყდება.

ქალანგარი მდინარის მაგარი ქვა, რომლითაც თოხს ლესავენ, ქალანგრავენ (ნ.).

ქალანგვრა ლესვა; მოქალანგრული ვალესილი (ნ. ქალანგარი).

ქამაკუთილაი ქამისაგან კუთვა, ზედმეტი გამაძრობა. „რა დაგე-მართა, ქამაკუთილა ხომ არ გპირს?“

ქანდრაკული ქანდრაკული. „ქანდრაკულათაა საქმე“ — საქმე გართულეზულია, გაძნელე-ბულია, ცუდადაა.

ქანდვრა ჩანწკრივება; ჩაქანდრული ჩანწკრივებული.

ქანჭალი მამაკაცის კვერცხი (შდრ. საბა).

ქარფალაი მდინარის წვრილი თევზი (შდრ. საბა ქაფალა).

ქენჭი, შეჭენჭვა მცირედი ოფლის მოსვლა (შდრ. საბა).

ჭერამაი, ნ. ძროხის სახელები.

ჭერი ნალის (სახიმინდის) იატაკი. წარმოადგენს ერთმანეთზე მიწყობილ მრგვალ ხეებს (დიამეტრი

10-15 სმ). ხეებს შორის ქუჭრუტანები რჩება, საიდანაც სიმინდის ტუკიო (კეტიო) გატების (გაფშენის) დროს სიმინდი ძირს ცვივა.

ჭენაკი კლანჭი.

ჭვარჭვალიტაი წინწყლებიანი, ჭრელი; აჭვარჭვალიტებული აჭრელებული.

ჭვივა ჭვივის, გამჭირვალა. „აი თაფლი ქარვასაით ჭვივა“ (შდრ. ჭყ., ჩუბ. ჭვირვა).

ჭიამეტარაი ჭიამეტდარი, სუსტი, უღონო ადამიანი.

ჭინკაის კვირე ნ. ცუცქის კვირე. (შდრ. ბერ. ჭინკობის-თვე).

ჭინჭვა ძველის დაკერება ძველზე.

ჭინჭორედაი ქათამი ჭრელი ქათამი (ნ. ქათმის სახელები).

ჭიპრვა (ქ. ლ.) მოჭიპრვა, მაგარი მოჭერა.

ჭიპჭიპაი, მოჭიპჭიპებული მკიდროდ მიკრული (ნ. მოჭიპჭირება).

ჭიჭო დაზოგვით, ცოტ-ცოტათი. „ჭიჭო-ჭიჭო ინმარე, თვარა ქე ჩაგელევა ხელში“ (შდრ. ბერ. ჭიჭვება).

ჭკუის მონუმობა ჭკუის დახმარება, დაფიქრება. „ჭკუას დუხმე, ნენა და ისე ქენი!“

კუტაი უმწიფარი წერილი ხილი (შდრ. ჩუბ.).

ქოკები ბურჯლის (ნ.) სათავედან ჩამომეხებული გრძელი ხეები.

ქოლიკაი, აქოლიკებული ხმელი, მალალი.

ქობლიკი ნ. სახარაზოს წულის კალაპოტების სახელები (შდრ. ბერ. კიპლიკი).

ქოფლი ქორფლი.

ქრაქი ვაზის ქირია, ფოთლებს ახმობს და მოსაველს ანადგურებს.

„ჭრელი“ ნ. სიმღერები გური-აში.

ჭრისვა კრუხვა; ქათამი როცა კრუხობას იწყებს, იტყვიან: ქ რ ი ხ ა ვ ს ო.

ჭუშუტაი ყურძნის ჯიში გურიაში. სუფრის ყურძნად ითვლება და კარგადაც ინახება საზამთროდ. საშუალო მოსავალი იცის. მუქ-წითელსა და ოდნავ მძლავრ ღვინოს იძლევა. მტევანი მკვრივია (აქიდან მისი სახელწოდება ქუშუტა); ბუჩქი შუა ტანისაა. ღერწამი მოწითალოა, ზოლებიანი; ზოლები მკაფიოდ აჩნია; მუხლები მოკლეა, ფოთლები საშუალო. სიდიდისა, 3 — 5 ყურძანი, ნაღრები ძლავს აჩნია. ფოთლის კიდეების კბილები მომცრო და წვეტიანი აქვს. ფოთლის ზედაპირი უგინგლოა. მუქი-მწვანე; ქვევითა მხარეს ოდნავ გინგლი აქვს. ფოთლის კუნწი მოწითალოა და საკმაოდ გრძელი. მტე-

ვანი საშუალო სიდიდისაა, მკიდროდ ჩამსდარმარცვლებიანი. ღერწი მოკლეა, მსხვილი; მარცვლები მრგვალი და წვრილი აქვს. სრულიად შავი. მარცვლის კანი სქელია, მაგარი; გული საშუალო-წყლიანი, გემო მომეგვო-ტკბილი, სასიამოვნო. აშენებენ საჯავახოს, ციხესა და ბახეში.

ჭუჭუტაი სამკურნალო ბალახია.

ჭუჭუნი ნელი, ტკბილი ბაასი.

ჭყამპალი წყალში თამაში, ქუშუშალობა.

ჭყანი ღორის ხორცის ნახარში, ქონიანი წყალი.

ჭყაში ჩვილი, ქორფა. „აი თლათ ქყაპი ბალანაი ყოფილა“ (შდრ. ქყ. ქყაპა).

ჭყენტა, ჭყენტა ქყლეტა.

ჭყვართუნი საწვეთელაში წვეთების ხმა.

ჭყიპი ნედლი, ქყლინტი; მოკყიპვა სიმინდის ნედლად, უღროოდ მოტეხა.

ჭყიპინი ქყივყივი ჩიტისა (შდრ. ქლ.).

ჭყიპურტი სრესა, ხელით ქლვლემა.

ჭყუნვა, დაჭყუნვა დაღვრემა, მოღუშვა, წყენისა და ტკივილის გამომეტყველება სახეზე.

ჭყურტი ადგილობრივი ენის უცოდინარი. „თლა ქყურტია აი კაცი, არასფელი არ ეუტრება (ქართულისა)“.

ბ

ბევანი თუთუნის საკრელი და-
ნა-მასქენა.

ბავიწი თაფლითა და ღომის
ფქვილით შემზადებული ფაფა. უფ-
რო ხშირად მელოგინე ქალსმიარ-
თმევენ საგანგებოდ. აქიდან: გა-
დახავიწებული (ნ. შდრ. საბა, ა
წერ.).

ბაზარულაი მცენარეა, აღნა-
გობით სიმინდის მცენარეს წააგავს;
ცოცხის საკეთებლად იყენებენ.

ბაზირი მზა; „გახაზირებული
გამზადებული. „ხაზირი ხარ?“
მზადა ხარ?

ხალიათი ხალათი.

ხამანწკა, ხამანწკაი პატარა სა-
დაფი (შდრ. საბა, ჩუბ.).

ხამის კრაი გახერებულ გულზე
ცივი წყლის დაღვეით ცუდად გახ-
დომა. „ახლა წყალი არ დალიო,
ხამს გკრავს, იცოდე!“

ხანმოთუფლი (ხანმოთაეც-
ებული) დაძველებული (სანოვაგე).

ხარბად გაზდა (ქ. ლ.) სწრა-
ფად ტანის აწეება, სწრაფი ზრდა.

ხაიერობა ჰაერობა, საგარაკოდ,
„სახაეროთ“ ყოფნა. „შენ შმავ,
ხაერობდი ბახმაროზე და მე
სული გამძრა ამ სიცხეში“.

ხარდალი, ხარდალაი პატარა
ტიკჭორა, კუპრიელი (შდრ. საბა
ხადალი).

ხარის იარალი უღელი, კავი,
სახნისი და სხვ.

ხარის სახელები: აღმასაი
გამორჩეული კარგი ხარი; ნიშა
მოშავო ხარი; ქოქა გრძელ და
მახვილრქებიანი ხარი; წიქარა
წითელი ხარი; კამუშა კარგი
მუშა ხარი; ღომაი ღონიერი
ხარი; ნიკორაი ნიკორიანი ხა-
რი; შანგულაი (← შავგულა)
შავი ხარი; ნოთიე პირთეთრა ხა-
რი; ჯორა, შვინდა, გიშერა
და სხვა.

ხარო (ზემო გურიაში) სიმინდის
ნალია (შდრ. ჩუბ.).

„ხასანბეგურა“ ნ. სიმღერები
გურიაში.

ხატავერა ნ. კატის სახელები.

ხატის ხარი ხატისათვის შეწი-
რული ხარი, რომელიც სუქდებოდა
და ლაღობდა ეკლესიის. ეზოში.
ბუჯავ. ადამიანზედაც იტყვიან:
„რავა ხატის ხარათ აგიშვია
აგი ბიჭი“.

ხაშარი 1. ხვეული მცენარის
(მაგ., ღობიოს) გრძელი ამონაყა-
რი, რომლითაც იგი რჯლას (ნ.)
ეხვევა (სიმინდი ზრდის დასასა-
რულს ამოიყრის ხაშარს); 2. ძაფზე
ან წნელზე ასხმული ხილი ან ჩი-
რი (აბაშრული), აკიდო. „ერი ხა-
შარი წაბლი“.

ხაჭუნე (ფხაჭუნე) ფხაქნის ხმა.

ხახალიკი, მიხახალიკება (ქ. ლ.)
მიფართქალეხასავით (ნ.); მხიარუ-
ლება, შეხუმრება.

ბაჯალაური (ბაჯალური) და-
დიანური, მძიმე ბორკილი.

ხეკა, ახეკა კრეფა. „ნიგვზის სა-
რეკში შივალ, მარა ამ ხეკი არა
კაცი მყავს“. გამოხეკა გამოკ-
რეფა, მაგ., აბრეშუმის პარკის სა-
თითაოდ გამოღება ცახიდან (შდრ.
ბერ. ხიკვა).

ხელამუთაი აღება დიდის სი-
ფრთხილით, ხელის ფრთხილი შეხე-
ბით აღება, ან მოხმარა. „ხელამუ-
თაი მიემყარი მაგ კურკელს, მუ-
შიათ (ნ.) მაქ შენახული; არ მინდა
დააკლტეს“.

ხელგვიანი საქმეში ნელი.

ხელდაშვენებული საჩუქრით
მოსული.

ხელეპირეთ თანაბრად.

ხელის გამობრუნება ოჯახიდან
რომ რამე გაიცემა, გაცემულის
პაწაწა ნაწილს (ნაფცქვენს) წამ-
ლები მასპინძელს გამოუბრუნებს,
რაც, ვითომ, ოჯახს ბარაქას შეუ-
ნარჩუნებს.

ხელის მოცვლა ცოტახნით
ფულის სესხება.

ხელის საგარცხალი ხელის ნა-
წილი მაჯის ქვემოთ (შდრ. ქუ-
პუწკა).

ხელის ცნობაი (ცნებაი) ხელის
შეხებით, დაუნახავად მოძებნა,
მიგნება, აღება; ცეცებით რისამე
ძებნა.

ხელმარცხიანი უხერხული ხე-

ლების პატრონი; ხშირად რომ
უტყდება, რასაც ხელს ახლებს.

ხელმეცეცაი ხელს რომ მე-
დამ ახლებს რამეს.

ხელმოქერილი გაცემაში გადა-
ქარბებით ზომიერი, ძუნწი.

ხელოური, ხელეური ყველი
ხელით ამოღებული ყველი (შდრ.
ჩუბ. ხელეული).

ხელს ქვეშ ჩუმაღ, ფარულად.

ხელუბედური ავი ხელისა („კაი
ხელის“ საწინააღმდეგო).

ხელშეღობილი შეძლებული,
აგდებული (შდრ. წერ. ხელის
შედება).

ხელშემონახული ხარჯვაში
ფრთხილი, დამზოგავი.

ხელცოცხალაი ის, ვისი დაკ-
ლული ქათამი ან სხვა საქლავი
ჩქარა არ კვდება, დიდხანს წვა-
ლობს.

ხელში გარონება ხელში (გან-
ზრახ) ჩაგდება სარგებლობის მიზ-
ნით. „მაგან რომ ხელში არ
გეირონოს, ისე როვა გუშუ-
ვებს რამეს“.

ხელჩქარი ხელმარდი, მუშაო-
ბაში ჩქარი.

ხელწამკრაგი ცოტა ქურდი,
წვრილმანი ქურდი. „თვალი მია-
ტანე, აფერი წეილოს, ხელწამ-
კრაგია“ (შდრ. ბერ. ხელცივი).

ხელხვავრიელი ხელხვავიანი,
დოვლათიანი, უხვად მაშოვარი და
უხვად მხარჯველი.

ხენჯი წვენის ნალექი ქურქლის ძირში, ხიმენჯი.

ხერხეში, ხერხეშია ხეშეში, ვახერხეშეებული განხმარ-გამაგრებული.

„ხეს ველაპარიკები“ ნ. „პირი ხისკენ მიქნია“, „ქარს და ბორიას ველაპარიკები“.

ხეფენგი თამბაქოს ფოთლები, აცმული და გასახმობად მიკრული ჭოკზე (ნ. ხეფენგის გაკეთება).

ხეფენგის გაკეთება თამბაქოს აცმული ფოთლების ჭოკზე მიკვრა გძლიურ (ნ.).

ხვავრიელი ხვაფიანი (შდრ. ქ. ხვამრიელად).

ხვალაზინაი, ხვალახინა ხალასი; გახვალაზინებული ძალიან გასუფთავებული.

ხვალდარიე კიამაია. ბავშვები ხელზე დაისვამენ და ეუბნებიან: „ხვალ დარია, თუ ავდარი?“ თუ გაფრინდა, კარგ დარს მოასწავებს.

ხვანცალი თევზისა და ქვეწარმავლის სწრაფი მოძრაობა.

ხვანჭალი: გახვანჭალებული კარგად დაბანილი, გასუფთავებული.

ხვარასანი, ხორასანი, ხვარაშანი კიის წამლად ხმარობენ: თაფლში გაქნილ ფხენილს ბავშვებს აძლევენ ახალ მთვარეზე.

ხვითო ზოპარული ნატერის თვალი, როწყლსაც გველი ინახავს და ზოგჯერ ათამაშებს (შდრ. საბა ხუთო).

ხვაერო ჰაერში აშდვარი მტკერი.

ხვინწყი: ხვინწყი კაპეიკი არ მაქ არაფერი გამაჩნია (შდრ. ბერ. ხვისკი).

ხვითქლი ასალი, ქორფა. „ხვითქლი კვერი, ჭადი“; „ხვითქლი ბალანი“; „ხვითქლი გოგუები“.

ხვიჩილაი ყვიჩილა.

„ხვიჩილები შეინათლენ“ იტყვიან, როცა ყვიჩილები პარველად ჩაკორტნიან ერთმანეთს.

ხთიშობლის პერანგი ძალიან გრძელი პერანგი. „რავა ხთიშობლის პერანგს ავით გააგძელე შაი საქმე“.

ხიზირალა ხიზილალა.

ხიმენჯი საწურში დანაშთი, რაც გაწურვისას საწურში რჩება (ნ. ხენჯი).

ხიმეში ხმელი და წვრილი ნამცეცები (ნ. დახიმეშული).

ხიმორო ნ. ხუმურო.

ხინტრი კანატელა, ხრტილი.

ხირეკვა, მოხირეკვა (ა. მ.) ნარჩენების შეგროვება აქა-იქ.

ხირხიცი ხიახითი, უწყესო სიცილი.

ხიტჩია საადრეო, ხშირმარცვლებიანი ჯიშის ლომი (ნ. ლომის ჯიშები გურიაში).

ჩიქეკუ საგანგებოდ გარეცხილი; გახიქეკება მარცვლეულის საგანგებოდ გარეცხვა.

ხლართი, ხახლართი ქალამნის ან სხვა ფესვსაძმლის შესაკრავი თასმა.

ხმელარი უსიამოვნო გემო, რომელიც დაჰყვება მზეზე ნადგამ ქუჩულში ჩანასხამ წყალს, ხმელის გემო.

ხმელი ზამთარი უთოვლო, მშრალი ზამთარი (ნ. ზამთარხმელობა).

ხონდრო მსხვილი, უხეში; მაგ., სახეხონდრო მსხვილსახიანი (შდრ. საბა ხონდრო).

ხონჩოლი წამოზრდილი; წამოხონჩოლება წამოზრდა. „ხედავ, რავე ელანძე წამოხონჩოლდა აი ქუჭულეში“.

ხორასანი ნ. ხეარასანი.

ხორეში ერთგვარი ცეკვა, გურიში და განსაკუთრებით აქარაში გავრცელებული.

ხორცვანი (← ხორცოვანი) ხორციანი, ჩასუქებული.

ხომნა (ა. მ.) თევზის ჯიშია.

ხომხისმკერდაი ტყეური ბაღახია, მზლად ხმარობენ.

ხომხოჯიკაი მაღალ ფეხებზე შემდგარი უღაბაზო რამ (მაგ., სახლი, ნალია); ჯოხებით მოსიარულე აღამიანხედაც ითქმის.

ხომხორიკ: ახომხორიკება გაპირვებით წამოდგომა ზეზე. „რადგემართა? რავე ბერიკაცსავით ახომხორიკდი?“ (შდრ. ბერ.).

ხრენვა გააყრია მძიმე საგანი რომ დაეცემა მაგრად, „ხრენვა გააყრიაო“, იტყვიან.

ხრენგი 1. ურიგოდ დაყრილი ხეები ან ხის ტოტები; 2. ძველი ნივთების გროვა, „ხარახურა“ (შდრ. საბა ხერგი, ბერ. ხრი-გი).

ხრიაკი მიწა ხრიოკი.

ხრილი ხის ტოტებზე შერჩენილი თოვლი. „ხრილი არ მოცივა ხიდან, კიდო თოვს ელის“.

ხროტინი მომაკვდავის მძიმე ხრიალი.

ხრუნტვა ხერინვა.

ხუმბულაი დამრგვალებული, გასუქებული (შდრ. ბერ. ხუნტულა).

ხუმფრო, ხიმრო გერძული დაბალი საბლის საძირკვლის ქვედა არე

ხურხნა მაგარი საკმლის მტერე-ვით ქამა.

ხუმტური მოულოდნელად რომ გაჯავრდება: შეხუმტურება სწრაფად გულის მოსვლა შეხტომ-შეტრიალებით.

ხუმუნწყალი ყურძნის თესლი, ღვინის გამოღების შემდეგ რომ დარჩება საწმინდელში (შდრ. საბა ხუნწყალი).

ხუმჯა კრეჯა; გახუმჯვა გაკრე-ჯა; გახუმჯული გაკრეჯილი.

ხუხუჯაი ლამაზად გამოძცვარი (კვერი); ჩახუხუჯებული ჩათბუნებული, თბილად ჩაცმული, ან თბილ ლოკინში ჩაწოლილი. „შენ რა გიჭირს, ძამია, რა: ქე ხარ ჩახუხუჯებული დაბამბულეში“.

ჯ

ჯადვარი რკინის აჯასპი.

ჯაგვარაი ჩასკენილი, მკვრივი, ძალ-ლონით სავსე; მსუქანი.

ჯაეარიანი (ფიცარი) ბუნებით რომ ლამაზი სახეები დაჰყვება ფიცარს; შნოიან ადამიანზედაც იტყვიან.

ჯალაბი უზრდელი, უხეში, უსუფთაო.

ჯამფასი წითლად შეღებილი დარაია.

ჯამჯამა, ჯამჯამაი კრიკა (ნ. წისკელის ნაწილები).

ჯანი გურული ვაზის ჯიში. საშუალო სიმაღლისა იზრდება, საკმაოდ ნაყოფიერია. ლერწები წვრილი და მუქი წითელი აქვს; მუხლები—მოკლე; ფოთლები მომცრო, თხელი, მოგრძო, სამყურიანი, ოდნავ ნაღრებიანი, ზოგჯერ უნაღრო; ლერწის ნაღრები ღია აქვს; ფოთლის კიდე წვრილად დაკბილულია, წვეტიანი; ფოთლების ზედაპირი დახვეწილია, ღია-მწვანე, ლერწები კი გრძელი, წვრილი და მოწითალოა. მტევანი შუათანა სიდიდისა, განშტოებული, მოგრძო და მეჩხერი აქვს; მტევნის კუნწი გრძელია და წვრილი; ნაყოფის კუნწიც ასეთივეა, სრულიად შავი, პრიალა. მჭიდროდ მიპაგრებული მარცვლების კანი თხელია, მაგრამ მკვრივი, გული—ხოცვანი (ნ.), ტკბილი. საზამთ-

როდ ინახავენ. ლერწზე დიდხანს დარჩენილი მტევანი არ ლპება, ქიშიშივით კვდება. ღვინო წითელი იცის, მაგარი, ნაზი, სურნელოვანი, მეტად სასიამოვნო; კარგად ინახება და საერთოდ საუკეთესო ღვინოდ ითვლება. ამ ჯიშს დიდად აზიანებს სოკოსებური სნეულება. აშენებენ სოფ. ციხეს, საჯაეახოსა და სხვაგან.

ჯანიში ზარნიში, ოქროს მკედით შემკული, მოსავადებული (შდრ. ჩუბ. ზარნიშანი).

ჯანჯალაი 1. სითხის მაგრად ნჯღრევა ჭურჭელში; 2. წყლის ან წამლის გამოვლება (ნჯღრევა) პირსა და ყელში, ამოსაწმენდად.

ჯანჯალაშურა/აი, ჯაჯალაშურაი წამლად სახმარი მცენარეა, ქიის საწინააღმდეგო.

ჯარი, ჯარი ხალხი, ჯარი ქალი და კაცი ხალხის დიდი შეკრებლობა. „რომ მიხვალ ამ ჯარში პირდუუბანელაი, არ გცხვენია?!“

ჯარჯათ მჭიდროდ, სქლად. „მაგი ლობიო ნაშეტარი ჯარჯათაა და არ მეიხარება“.

ჯარჯი (ა. მ.) მოსახარშ ლომს რომ ჭურჭელი ვერ დაიტევს გართვის (ნ.) გამო, ჯარჯიაო, იტყვიან.

ჯარჯლი მეტისმეტად დაბალი ტანის კაცი (შდრ. ბერ. ბარძლი).

ჯაურაი, ჯაური (ა. მ.) ნ. კატის სახელები.

ჯაყელის კაცი გაცაჟ. დავიწყებული, უყურადღებოდ დატოვებული; აგდებული. „ჯაყელის კაცი ხომ არ ვიყავი, მე რომ აღაფელი მხთა“.

ჯაჭვედაი ნ. ქაბის სახელები გურიაში.

ჯაჯაი (ა. მ.) ძერა.

ჯაჯლამურაი ნ. ჯანჯლამურა.

ჯაგუტვა ჩხვლეტა (შდრ. ბერ. ჯგუშვა).

ჯერაყვი ნ. ჯირყევი.

ჯიგრი ბალანი, რომელიც გაზაფხულზე ცვივა ოთხფეხს; ჯიგრის დაყრა ოთხფეხი ცხოველები-საგან ბალნის დაყრა გაზაფხულზე. ჯიკვი ჯირკი (შდრ. ბერ. ბიკვი).

ჯიღეხი 1. ძნელი მისადგომი, ჯიუტი და შეუგნებელი ადამიანი, უამყრი; 2. უგზო, ძნელად გასაყვლელი ადგილი.

ჯინჯოლა/აი მხლად სახმარი მცენარეა (შდრ. ერისთ. ჯინჯოლა).

ჯირეკი ჯირკი.

ჯირეყვი, ჯერაყვი პატარა საწნახელი.

ჯირყვალე ჯირკვალე.

ჯირხალა/აი ხის ტოტებიანი წა-ნაჭერი.

ჯიჯგვება მეტი ქამისაგან მეტ-

ლის გაბერვა. „ლობიე ეჭამე ბეური და მიჯიჯგვეა“.

ჯიჯგნა (ა. მ.) ფეხით თელვა.

ჯონჯლო ცხვირი (ა. მ.) უშნო და უსუფთაო ცხვირი.

ჯორა ჩონგურის სიმების ქვესადგამი ფირფიტა.

„ავდექი, ტყეში შევედი,

ჯოხი მოვქარი ხისაო,

ოთხი კაცი ჯორზე შევედი,

ოთხივე სხვადასხვა ხმისაო“. (ვა-მოცანა (შდრ. საბა ჯორი).

ჯორა ხარი ხარი, რომელსაც მთელ ზურგზე შავი ზოლი დაჰყვება.

ჯორჯალი 1. ნაწლავები, უჭრო ხშირად იხმარება: ლორის ჯორჯალი ლორის ნაწლავების ერთ ნაწილს ჰქვია, ფრიად ნაოქებია-ნია; 2. კაბის ჯორჯალი კაშაზე მოვლებული ნაოქა არშია.

ჯოში უხეში რამ ნაქსოვი, ხეშეში (შდრ. საბა).

ჯუმღვა, დაჯუმღვა (ქ. ლ.) დიდი გულმოდგინებით დამალვა (რაიმე ნივთისა).

ჯუჭუნი წოვის დროს ხბოსაგან ტუჩის ლონიერად აკვრა ძუძუში. „შეხედე, რაფერ უჯუჭუნებს ხტოი! აფერი ქონია ძროხას ძუძუში“.

ჯუჯუა, ძუძუა დედაშვილური საალერსო სიტყვა.

ჯღაი ნ. რჯღაი.

ჯღორინი უხეზად, ხმამალა
ტირილი, ღრიალი. „რა გაჯღო-
რინებს, ბიჭო, ამხელა კაძახს!“

ჯღუნია/ე ტუმოკლე ძაღლის
სახელი (ნ. ძაღლის სახელები).

ჰ

ჰა, გიდელი! ნ. ა, გიდელი!

„ჰე-აჰა, ჰეა“ ნ. სიმღერები გუ-
რიაში.

„ჰეე-ჰეა, ჰეე-ჰეა“ ძველი ხალ-
ხური სიმღერა (ნ. სიმღერები გუ-
რიაში).

ბ. ჯ ა ჯ ე თ ა ლ ი

საქართველოს სახელმწიფო უწყებანი

აზოქვა, მოზოქვა აკრეფა რისამე,
აგულვა ნ. ამოგულვა.

ალერდი გასხლვის შემდეგ
დაცვენილი ნელლი ლერწი ვაზისა
(შდრ. ჩუბ., შარშ.).

ამოგულვა, აგულვა, გულვა
გულის ამოვსება, ამოშენება, და-
ფარვა. „ქურას რო გავესებთ კრა-
მიტით, მერე ოუგულავთ პირს
ანგურიოთ“.

ამოდუკიავება მეტისმეტად მო-
შვება, ცუდად ჩაცმა-დახურვა. „რას
დადიხარ ამოდუკიავებული,
ჩეიცვი რამე!“

- ამოკიდება დაფქულისა წვენში
ფქვილის ჩაყრა და მოხარშვა.

ამოსაკრავი ურმისა დაგრეხილი
წნელი, რომლითაც ქვეშ ამაგრებენ
ურემს, რომ არ გადაბრუნდეს.

ამოსახმელი ბადე თევზის საჭე-
რი ოთხკუთხი ბადე, რომელიც მი-
მაგრებულია ორს, ჯვარედინა, ნა-
ხევრად მორკალებულ ჯოხზე. ხმა-
რობენ, როცა დიდი წყალია მოვარ-
დნილი (შდრ. სახოპავი ბადე).

ამოფულვა ამობერვა.

ამოდარვა ღარების გაკეთება,
ამოქრა.

ამპა 1. აპა, აბა! (უარყოფის
ნიშნად) „მოგეწონა, შელახა (ნ.),
გუშინდელი თამაში!“ — „წუ,
ამპა!“

ანაბრე, ანაბრივ ძალაუნებურად.

ანგრე აგრე.

ანწუხი წვეტიანი სარი. „ან-
წუხზე ააცვა“.

არა შგამა (რაქ.) არ მენალელება,
ჩემთვის სულ ერთია (შდრ. ბერ.).

არდიგარდის გარდიგარდმო.
„არდიგარდის დაყვება ხავრე-
ზი (ნ.) ქსოვილს“.

არქე, არქი წისქვილის ქვის შუა
გულში ჩარკობილი რკინა, რომე-
ლიც ედება ყელას (ნ.) და ამ უკა-
ნასკნელის საშუალებით ატრიალებს
წისქვილის ქვას (შდრ. საბა).

ასაბია შორიდან მოსული ჭირი-
სუფლის მხლებლები ტირილში
(შდრ. საბა).

ასაწვევლა წისქვილის ბორბლის
კიბორჩხლის ქვეშ მდებარე გათლი-
ლი ხის ნაჭური, რომლის საშუა-
ლებითაც წარმოებს წისქვილის
ქვის აწვე-დაწვევა იმისდა მიხედ-
ვით, თუ როგორ უნდა დაფქვან:

მსხვილად თუ წმინდად (შდრ. ბერ.).

აღლიში იაღლიში.

ა ჩიტი! თამაშობაა ერთვევარი, ავარჯიშებს ბავშვებს ჩიტების სახელებში. ერთი მოთამაშე ეუბნება მეორეს: „ა ჩიტი!“ მეორე უპასუხებს: „რა ჩიტი?“ პირველი დასახელებს რომელიმე ჩიტს. ჩიტის დასახელება რიგ-რიგობით ხედება ყოველ მოთამაშეს. ამასთანავე აუცილებელია, რომ ერთხელ დასახელებული ჩიტი მეორედ არ ახსენონ. პირობის შემწვლელს აჯარიმებენ ხელზე დარტყმით.

აცაბაცად მოღრეცილად, არასწორად. „აცაბაცად მოჰქონდა ფეხები“.

ბაასი მობაასე. „ერთი ბაასი ზეთუნახავი იყო, სულ ბაასობდა!“ (ზლაპრ.).

ბადიმი ბადინი, ჭურის სარქველი ხისა.

ბადლის ჩითი ნ. ბარდლის ხამი.

ბალაბურღო (გ. წ., კიკოლიკი) აბდაუბდა.

ბამბეკალა მცენარეა ერთვევარი, ფართოფოთლიანი. მის ფოთოლს ჭურჭლის ნაპირებს შემოადებენ ხოლმე, რომ ჭურჭელი არ გახმეს.

ბანდი ჭინჭი, ჩვარი, რომლითაც ასწორებენ გამოუწვავ, ნედლ ჭურჭელს (შდრ. საბა).

აცანდვა ნართისა ჯოხებზე გასაშრობად დაქსელილი ნართის ალება.

ახალპირი ახლად გატეხილი მიწა, ვიდრე მოიღლებოდეს.

ახვევა ვენახისა ვენახის აკვრა. ხარდანზე, აკონვა.

ახვირი, ახორი ის ადგილი ბაგაში (საპირე), სადაც ცხენის საკვებს ჰყრიან (შდრ. საბა, ჩუბ.).

ახინკილება უშნოდ ატეხა. „რო ახინკილდა, ვერაფრით ვეღარ გავაჩერეთ“. აუხინკილდა აუტყდა, შეუჩნდა.

აჯია, აჯიი (ქვ. იმ.) ათხაჯელა, აღქაჯი, აჯილლა.

ბ

ბანდულები ნაბდისაგან შეეერთი თბილი ფეხსაცმელები (შდრ. საბა).

ბაჟე გამობდილი ნიგვზის წვენი, მოუხარშავი, შეკაზმული სუნელით, ძმრითა და პილპილით; ასხამენ ჭათამს.

ბარგის წამლები სოფლური წამლები, როგორც, მაგ.: მუშია, ირმის რქა, მურდასაკი, თანდუხათაია და სხვა.

ბარდლის ხამი ხამი (ტილო), რომელზედაც ოერადი ფოთლოვანი სახეებია.

ბატონების ხონა ხონა, რომელ-
ზედაც ალაგვებენ ხაქაპურს, ქა-
თამს, კერცხებს და სხვ. ყავილის
ან სხვა ბატონების დასამწყალო-
ბებლად“.

ბაჟა ერთგვარი არშია, იქსო-
ვებოდა ლევერთხივით ფირფი-
ტებზე; ივლებენ საკვებზე.

ბაჩუნი უძლურად სიარული (იტ-
ყვიან ბავშვზე ან მოხუცებულზე).

ბაძო ბაზო კარისა.

ბაწარა ოქროსფერი სოკო; ერთ-
ბაშად ამოდის ბევრი და ბაწარი-
ვით გაებმება.

ბებერა დიდი სოკოა, ორნაირი
გული აქვს: შიგნით—თეთრი და
ქვევიდან—ყვითელი.

ბედისწერელი ბედისწერელი
(ნ. მებედისწერე).

ბედნიერი: წითელი ბედნიე-
რი, ლურჯი ბ., თეთრი ბ.—ავად-
მყოფობაა (წყალმანკივით).

ბერაჩუჩუა სოკო ღრუბელივით
„დაქმრუტული“ (ნ.), წაწითალო-
წაოქროსფრო.

ბერი ჩამოხტა თამაშობაა, გეო-
გრაფიულ სახელებში ავარჯიშებს
ბავშვებს. მოთამაშენი აკეთებენ
წრეს. „ბერი ჩამოხტა“ — ამ
ბობს ერთი; „სად?“ — ეკითხება მე-
ორე. პირველი ასახელებს რომე-
ლიმე ქალაქს ან სოფელს. გეოგრა-
ფიული სახელის დასახელება თი-
თოველ მოთამაშეს უნდა შეხედეს,

იმ პირობით, რომ ერთხელ თქმული
სახელი არ გაიმეოროს. პირობის
დამრღვევს აჯარიმებენ ხელზე დარ-
ტყვით.

ბზნილობა ნ. მზნილობა.

ბიზლინი, გაბიზლინება გაჯავ-
რება, გულის მოსვლა (ჩემად, გა-
ბუტვიით). „გაბიზლინებუ-
ლია და ხმას არ იღებს“.

ბიჭა-ბიჭა ვახის მუხლის ძირში
ამოსულ ზედმეტ ფოთლებს ჰქვია
(შდრ. ბერ.).

ბლანჩვი, ბლენჩვი ლენჩი, გამო-
შტერებული.

ბლაყუნი უშნოდ და უთავბო-
ლოდ სიარული (შდრ. შარშ.
ბლაცუნი).

ბლენჩვი ნ. ბლანჩვი.

ბლუჩუნა, ლუჩუნა უხეირო,
უშნო, ბოთე.

ბლუჭუნი ბლუყუნი, ბლუკუნი.

ბონძალი, ბონძლი, ბოდონძლი
კლერტი მტევენისა (შდრ. შარშ.
ბურძალი, საბა ბურძლენი).

ბონძლი ნ. ბონძალი.

ბორიალი უგზო-უკვლოდ სიარუ-
ლი.

ბოყვი კრამიტის ყალიბი, კეთ-
დება ხისაგან (შდრ. საბა, ჩუბ.,
კყ., ბერ.).

ბოცა დიდი ბოთლი, წნულით
გარშემოვლებული.

ბოდონძლი ნ. ბონძალი.

ბოჭვა კრეფა, გროვება (შდრ. აბოქვა).

ბოჯინჯგალი პატარა, ძლივს გადადგმული ნაბიჯი. „ისე- დევი- ლაღე, რომ ბოჯინჯგალი ველარ გადავდგი წინ“.

ბრინჯვა გაბერვა, პრანქვა. „რას იბრინჯება“, — რას იპრანქება, რას იბერება.

ბრუტსახძელა 1. ქათმის ნაწილი კისერსა და კურტუმოს შუა; 2. მალალი მთა, სადაც ხალხის ცრურწმენით კუდიანები იკრიბებოდნენ.

ბრქვალი, პქვალი ვენახისა ვაზის წვრილი უღვაში, ბოლოებდაგრებილი.

ბუბკა წისქვილის ქვედა ქვის შუა გულში ჩადგმული მრგვალი, შუაში გამოჭრილი რიკი (უმთავერესად ცაცხვის ხისას აკეთებენ).

ბ

გაასკვა თავი გაჯიუტდა; გაჯიქდა. „გაასკვა თავი და აღარაფრით აღარ წამოვიდა ჯორი“.

გაბაჯიჯგინება თეხების გაშლით დგომა. გაჯაფ. გაჯიუტება.

გაბიზლინება ნ. ბიზლინი.

გაბისკნილი გაქუქუიანებული, გალიფული, სიბინძურით სავსე. „გაბისკნილია სავარცხალი თებოთი“.

ბუბკა გაქექილია სოლებით, რომ რყევა არ დაიწყოს. მისი დანიშნულებაა, რომ მარცვალი არ დაიბნეს.

ბუზიკალია ბუზის საქერი, პაწაწინა მშვილდ-ისარი.

ბუნებათანაზიარი კაცი, რომელიც ადვილად უზიარებს სხვას თავის გულის ნადებს, გულახდილი.

ბურქვი გროვა, ჯგუფი (შდრ. ქყ. ბოლქვა).

ბუტუნი უშნოდ, ულაზათოდ სიარული.

ბულალი ფუმფლა, წვრილი ბუზი.

ბუშტი ჩონგურის მუცელი, გამობერილი ნაწილი.

ბუძუნძლო ნეკნები ქათმისა (შდრ. ქყ. გუძუნძლო).

ბუნა, დაბუნა წუნა, დაწუნა.

გაბლიკება გაყინვა. გავიბლიკე — გაყეყინე.

გაბუზურება გაგდება. „კულამოძებული გააბუზურა უკან“ (შდრ. ბერ. ბუზური).

გაგება თევზის საქერია: გრძელ ბაწარზე გამოაბამენ რამდენიმე ანკესს, მათ შორის მანძილის დატოვებით; ანკესებზე წამოაქმენ ჰიაყელებს. ამავე ბაწარზე მიაბამენ

მაჩვენებელს (ქათმის ბუშტს ან პატარა შტოს). ვაგებას ორივე თავით დაამაგრებენ წყალში, თევზი რომ ზედ წამოიგება, ჩამოკრავს ანკესს და მაჩვენებელიც დაიწყებს რხევას.

გადაბრინჯული გადაპრანქული, გაბლენძილი (ნ. ბრინჯვა).

გადაბრუნება ძაფისა დაძახება, დაგრება ძაფისა. „ცოტათია გადაბრუნებული ნართი“ — მაგრად არ არის დაგრებილი.

გადაგარგება (ქვ. იმ.) აკლება. „ერთი აჯიი გოგოა, სახლი სულ გადაგარგებული აქ“.

გადაგება რაიმე საქმეზე მთელი არსებით გადაყოლა. „ყველაფერი სწაელას გადააგო“ — სწაელას ანაცვალა, მოახმარა; „გადაგებულია შეილებზე“ — თავს სწირავს შეილებს.

გადაგირგული ღობე ნ. ხიმის ღობე (შდრ. ბერ. გირგულა).

გადარონიება მცირედით დაკმაყოფილება. „არ მეცალა, თვარა ამ სადილზე არ გადაგარონიებდი“ — არ დაგაჯერებდი ამ სადილს.

გადაქნა თავისა, გადაქობვა თავისა თავის გაკეთება, თავის მოწვნა ქილობისა, კალათისა, წინდისა და მისთანათათვის; ნაწიბურის გაკეთება, გადაქობვა.

გადაქობვა თავისა ნ. გადაქნა თავისა.

გადაწინდრვა ვენახისა გადაწინა ვენახისა (ნ. საბა წილნა ვენახისა).

გადახელვა ნ. ხელვა.

გალიღვინებული გასუქებული.

გაზოდვილი ზოდვიით დაღებული. „ხის ნამორი კერაზე იყო გაზოდვილი“.

გათქერა ფეხით გასრესა, გატკეპნა, გაქელვა.

გაკვრა-ბურთი თამაშობაა ერთგვარი. დააყენებენ საყეს, რომელზედაც მიაყუდებენ ბრტყელ ქვას. მოთამაშეთა ერთი ნაწილი საყესთან დგას და რიგ-რიგობით გაკრავს ბურთს. მეორე ნაწილი მოშორებით დგას და, სადაც გასროლილი ბურთი ეცემა, იქიდან ესვრის საყეს. ვინც მეტს მოახვედრებს, გამარჯვებაც მისია (თამაშის პროცესში მონაწილენი ადგილს იცვლიან: ჯგუფი, რომელიც საყესთან დგას, შემდეგ სასროლად გადავა, ხოლო მსროლელები საყესთან ჩერდებიან). დამარცხებულებმა გამარჯვებულები ზურგზე უნდა მოისვან და ეზო შემოატარონ.

გაკუჭვა გულის ამოღება რისგანზე (მაგ. კაკლისგან).

გალესვა ჭურჭლისა თიხის ქურჭლის შემოლამახება გონგით.

გამენჩვა სახლისა მენჩის (ქერის) გაკეთება (ნ. მენჩი).

გამოგვაშვა ჭურჭლისა გვამის (შუცლის) გაკეთება დოქისა, ჩაფისა,

ქურისა და მისთანათათვის (ნ. გვაში).

გამოკრინტვა კრინტის ძლიეს დაძვრა.

გამოლორდვა გამომორჩევა, ზედმეტი ლორდის გამოკლება ვაზისათვის (შდრ. ბერ. ლორდი).

გამორჩვა უშტევენო ლერწის გამორთვევა ვაზისათვის (შდრ. ჩუბ. მორჩი, ქუ. გამორჩნა).

გამოფიფქვა (ნართისა) საპონში და ცხელ წყალში გამოხარშვა ნართისა (ძაფი თეთრდება და ფიფქდება).

გამოყვლიპინება თვალებისა გამოშტერება თვალებისა.

გამოხიკვნა გამოკარიელება (შდრ. ქუ. გახიწნვა).

გამოხუხვა ცეცხლში ცუდად შეწვა რისამე ლადარში. „გამოხუხულია მაგ ტარო ტყვილა ლადარში, თვარა კაი შემწვარი კი არ არი!“

გამწყაზრება საქმისა ნ. გაწყაზრება.

გაპინტრიშება უდიერად გაგდება. გააპინტრიშა უდიერად გააგდო.

გაპუტული ნ. პუტვა.

გარა, გარე (ბადისა) ნ. ლონა.

გარეკვა გაფეროხვა, გაბერტყვა. „გარეკე ერთი კარგათ მაგ საბანი“.

გარემო ეზოს რომ გარემო საყანე აკრავს. „ეზო ქე გავთოხნე და ახლა გარემოს ვთოხნი“.

გარისინებული სიბრაზისაგან გულზე გამსკდარი.

გასაბამი დიდი ლერწი, რომელსაც გააბამენ ერთი ვაზიდან მეორე ვაზამდის (დანეკვის შემდეგ სტოვებებს გრძლად მოსახვევად).

გასაკირჩხნი სავარცხალი მსხვილკბილიანი სავარცხელი (ნ. კირჩხნა).

გასარსალემა ენისა გ.ღ.ფ. გაბრტყელება, გასანსალემა, გატარტალემა ენისა.

გასასპვა მეტად მჭიდროდ, ვიწროდ შემოჭირება რისამე, გაკვრა. „გასასპული ვარ ამ კაბაში: საძრაობა აღარ მაქვს“.

გასაყარი ურმის ზესადგრებში გაყრილი ლარტყები, რომლებზედაც ფიცრებია დადებული.

გასახვრა სახრით ცემა.

გახევა გაწევა. „დიდი შრომა გასია“; „გასიე იქით, თუ კაცი ხარ!“.

გასკანჩვა გაკოქვა, დაჭერა (შდრ. ბერ. ქაჩვა).

გასხეპვა ტყავისა გაჭიმვა, გასწორება (შდრ. ბერ. გასხლიპვა).

გატანია ბურთი ლელო.

გატრუებული გაბრუებული.

გაურჯელა ჩიხტის კოპი (შდრ. ბერ. გაურჯილა).

გაფხნლვა გასხლვა.

გაფუქება, ჩაფუქვა ნ. ფუქა.

გაფუნჩვა გაშლა, მოცულობის მომატება, გაკუება.

გაღვერვა გამრუდება, გაღუნვა.

„ლურსმანი თუ გვიღვერა, გელით (ნ.) ამოვიღებთ“; „ღირეებს იმიტო ვდებთ სარტყელზე, რომ კედლები არ კვიღვეროს“.

გაღვძება ვაზისა კვირტები რომ გამოუვა ვაზს.

გაღოჯვა თესლისა გალივება თესლისა.

გაყუმება უშნოდ, უსიცოცხლოდ გაჩუმება. „რას გაყუმებთ ულხაო, ამოიღე ხმა!“ (შდრ. ჩუბ. ყუმუნება).

გაჩეკვა ჩეკვა ქვისა, ქვის ტლანქად გათლა.

გაწყაზრება გამწყაზრება საქმისა, გაჩარბვა საქმისა (შდრ. ბერ. მწყაზარი).

გაქყება (წყლით) მეტისმეტად ბევრი წყლის დაღვევა, წყლით გაძლომა.

გახვისნა კარგად დაბანა, კარგად გაწმენდა. „კარგად გახვისნე ე გოგო, ერთი!“ „პარკს გასწმენდენ, გახვისნიან ბეწვისაგან“ (შდრ. ბერ. ხვისირო).

გელა ლურსმნის ამოსაღები ორკაპა რკინა (შდრ. ჩუბ.).

გვამი თიხის ქურქლის მუცელი, გამოპერილი შუატანი (ნ. განოგვამვა).

გვერდო, გვერდობი დაქანებული ადგილი.

გვიმრაქა გვიწრანაირი მცენარეა; ფესვებს ხმარობენ ღორის კირის წამლად.

გვიძლი დაბალი და მსხვილი კაცი, ჯუჯა კაცი (შდრ. ბერ. გონძლო).

გვირღშამო (ქვ. იმ.) გარშემო (შდრ. ბერ. გრულიაშამო).

გვირხა კოშტი, გოროხი. „სააგრე სილა ფხვიერიც ქე არი და გვირხათაც ქე არი“.

გზაწვრილი საურმე გზაზე ვიწრო, მაგრამ ბილიკზე უფრო ფართო გზა.

გინგილები ნ. ჩიტები.

გლოფი შალაშინის ერთ-ერთი სახეა, ფიცრის წვრილად ამოსაღარავი.

გლო მიუვალი, ბნელი (მაგ., ტყე).

გოგი, გონგი, იგოგი მთავარი ბოძი, რომელზედაც სახლის თავია დადგმული (შდრ. ბერ. გოვა).

გოშლა ბევრი განავალი, ერთად დადებული (შდრ. ბერ.).

გონგი ნ. გოგი (შდრ. ბერ.).

გორგოლა მრგვალი პური, შუაში მრგვლად ანოქილი (შდრ. ჩუბ. გორგალი).

გრიგალი 1. ქილობის ნაწიბური; . წმული სასიმიანდის ერთ-

გეარი სახეა: როდესაც სასიმინდე უკვე მოწნულია, ზევიდან გადაავლებენ წკლს, რომელიც ერთგვარ ხვეულ, ტეხილ ხაზსა ქმნის (შდრ. საბა, აგრეთვე ბერ. გირგვლა; ნ. გადავირგული ღობე).

გრიგლური სასიმინდე ნ. გრიგალი 2.

გრძელური, გძელური სახლი ძელური სახლი (შდრ. ბერ. ძელური).

გუგულის სოკო მინდვრის სოკო, წვრილი და თეთრი; თავი მოგრძო აქვს.

გუღალა თვალეზი ქუთუთოებ-დაბერილი თვალეზი (ლაბაზ თვალეზად ითვლება).

დაბაუული ქათამი ნიგვზის საწებელში ჩადებული ქათამი (ნ. ბაუე).

დაბელვლა ნელი ხეების ერთმანეთზე გადება ოთხკუთხად, ბელელივით, იმ მიზნით, რომ კარგად გამოშრეს.

დაბზნა ნ. მზნილობა.

დაბნევა დაშლა. „წყალს რომ დაასხამ სააგურე სილას, დეიბნევა“ — დაიშლება.

დაბნევა საკიდელისა კვეთის ჩასხმა რძეში და მორევა.

დაბუძვლა (ქვ. იმ.) დაფუძნება. „ოჯახში შემოიყვანა და დააბუძლა“.

დაბლუნძული დაბლენძილი, დაძველებული.

გულვა ნ. ამოგულვა.

გული ჩონგურის ის ნაწილი, რომელზედაც ჯორა დგას.

გულყურო დუდგულა. მის ღეროს გამოადრობენ გულს და აკეთებენ სალამურებს.

გულშეკნილი გუნებაზე მოსული, ნდომაადრული. „უკურებს ბავში და თვითონაც გულშეკნილი ხტის და თამაშობს“ (აკაკი, „ჩემი თავგად“).

გუნდუბო (?) „გუნდუბოსაკით არი გაღულუნებული“ — თბილია (თვით გ. მნიშვნელობა არ იციან. შდრ. აღავ. გუგუბო, ღუნთუბო).

გძელური სახლი ნ. გრძელური სახლი.

დ

დაბწნა ნ. ბწნა.

დადანდალება, დადანდარება

ცეცხლასა დაგუგუნება, აგიზგიზება.

დადანდარება ნ. დადანდალება.

დაღვიმსავარცხელება ნართისა დღვისავარცხელში გალება ნართისა (ძაფისა).

დაღება ყანისა დასამუშავებლად ყანის აღება.

დაღოშვა წვერისა წვერის ახლად ამოსვლა.

დავარება 1. ხილისა, ბოსტნეულისა დამწიფება; 2. ძროხისა — დამაკება.

დათარგულება ვენახისა მალარ ვენახს რომ გაღმოიყვანდნენ

ხიდან, მიწას „მორჩხრეკდენ“, ჩანერგავდნენ და, როდესაც გაიხარებდა, შეუშვებდნენ მეორე ხეზე. ამ პროცესს უწოდებდნენ დათარგულებას.

დათვისება საკუთრებად მიცემა, თვისად მიცემა.

დაკვარკვალიტება ნ. კვარკვალიტა.

დალაბანდი დოლი, ბარაბანი. „დალაბანდივით გაქონდა ბრახაბარუხი“.

დალანჯვა დაწვა. „დამლანჯა მისმა სიყვარულმაო“ (შდრ. ბერ. ლანჯვა).

დალანჯრა ქალი რომ მოილოგი-ნებდა, გეექვსე კვირას მიიყვანდნენ ეკლესიაში და დააწვედნენ ტრაპეზის წინ. შემოსილი მღვდელი გადააბიჯებდა. ამას უწოდებდნენ დალანჯრას.

დალორქვა დაფრაქება, დაღვლარქნა, გამრუდება; „ხეები დაგბელდეთ (ნ. დაბელკლა), რომ არ დეილორქონ!“

დამისება მითვისება, მიჩემება; დაიმიისა მიიჩემა (შდრ. დათვისება).

დამყუდრება დაწყნარება.

დამწერვა ქსოვილისა ნ. დამწერვა.

დამწყალობნება ბატონებისა გულის მოგება, მოღბობა ბატონებისა (ხალხს სწამდა, რომ ყვავილის, წითელასა და სხვა „ბატონების“ გულის მოგება შეიძლებოდა ლოცვა-ვედრებით).

დანამზულება დანამვა.

დანანხირი ხის წვრილი დანა, რომლითაც ასწორ-ლამაზებენ თიხის კურქელს.

დანაქვა მღინარისა ერთ-ერთი საწულეზა თევზის ქერისა: ნაქს დანქვევენ და ჩაყრიან მღინარეში; თევზი იხოცება პატარა მანძილზე.

დანერწყვა, ნერწყვა მიწისა და სველება მიწისა წყლით.

დაორყურება სიმინდისა ორი ფოთლის გამოღება. „სიმინდი უკვე დაორყურდა“ — ორი ყური, ორი ფოთლი გამოიღო.

დაორწყვრება ნართისა ორწყვრად, ორფად დაძება ძაფისა.

დაპაძეული დაგვაჯული, პატარა, ჯუჯა კაცი (ნ. პაძევი).

დარება ფიცრის მოაჯირი ძელური სახლების დერეფანში; დარებას აქვს ფიცრისავე კარი (დერეფნები ძელურ სახლებში წარმოადგენენ ღია შიწურ აივნებს).

დარეშვა ნ. რეშვა.

დარივნება, მორაგნება წისქვილისა წისქვილის მოწინადება, წესრიგში მოყვანა: სიმინდის ჩაყრა ხვიშირაში, ასაწვევლას აწვევა, კრიკას ჩაშოწევა და სხვა.

დატაფვა ნ. ტაფვა.

დატიტვა ძაფისა ძაფის გამო-

2

ელქუმი ჩირქიანი მუწუჭი, სიმ-
სიენე (მღრ. ჩუბ. ელქინი, ელ-
ქუნი).

ერთი ჰირი ღრო ერთი ხანი;
რამდენიმე ხანი. »გეიარა ერთმა

პირმა ღრომ“.

ერთობ, ერთოფ ძალიან, მეტად.
ერთობ დავაღონა, მეტად და-
გვაღონა.

3

ვინამც, ვინემც ვიდრე, ვინემ.

ზანდიკობა ზადიკი — იცოდნენ
აპრილში, გიორგობის სწორზე.
ამ დღეს »კობი ჩამოისხმისო“ —
სწამდათ და ამიტომ დაკლავდნენ
საღეთოს, აწირვინებდნენ: კობმა
არ დაგვამარცხოსო; შეპირდებო-
დნენ: »კობინჯრობასაც (ნ.) დაგი-
კლავთ საღეთოსო“.

ზედაგული საბნისა საბნის პი-
რი.

ზემაქცია, მზემაქცია ბალახია
ერთგვარი, მხალეული.

თა მთა. »თა ში მიედივარ შე-
შახე“.

თავგადასაგდები ქორწილის
ღროს მეფე-პატარძლის მისალოცი
ფული ან რაიმე ნიეთი.

თავგადასახურავი მიცვალეუ-
ლის ქირისუფლისათვის ფულადი
შემწეობა მოტირალთავან (მღრ.
ქყ. გადახურვა).

თავნი ნამდვილი, თავანკარი.

თავსაბეჭი ტყეჩი ტყეჩი, რომ-
ლითაც შემოურავავენ თავს გოდ-
რებს, კალათებსა და მისთ.

თავსრაკი, თავსაკრი ჩიხტახე

ზ

ზეწარი ურმისა დაბალი ფიც-
რის კედელი უძარო ურემზე.

ზეურბუნთი ზურმუხტი. »ეს ბა-
ლი ზურბუნთათ აყვავებულა“
(ბალს. ლექსი).

ზელუდის ხეები ეწოდება დიდ
გადასაკიდებს, რომელთაც გადებენ
ხოლმე სახლის კუჭებურებიდან (ნ.)
სათავეზე.

ზელურულის ლობიო წითელხა-
ზებიანი ლობიო.

თ

გადაკრული ხავერდი ან აბრეშუმში,
მოქარგული აბრეშუმის ძაფით ან
ოქრომკედით.

თავყელაფშარა ლორისა ხორ-
ცი მთლიანად, ფელიკებს გარდა.

თავზე სახლის შუა დირე, რომელ-
ზედაც დ. ყრდნობილია სახურავი.

თათი წანდისა წინდის ისნაწი-
ლი, რომელშიაც ფეხი დევს.

თარანი შელრმავებული ადგილი
ქვის ქვეშ, მდინარეში, სადაც იევი
იბუღებს (მღრ. ჩუბ. დარანი).

თაროს ანგელოზი ნ. მარეშალი-

თახთახი ძუნძული. „უნაგირი ზურგს ამკიდე, მე ქვიითად ვითახთახე“ (ხალხ. ლექსი).

თელხი მდინარეს რომ ბური გადაეკერის.

თოკვი თოკი.

თრითინა მიწა უნაყოფო მიწა.

თუნგულა მრგვალობრიანი პატარა წყლის კურკელი თიხისა.

იგოგი ნ. გოკი.

ირანკა ჩიტის საქერი—მოღუნულ ჯოხში გაყრილია მარყუჟად გასკენილი თოკი (შდრ. საბა ირეკი, ილინკა, ჩუბ. ირეჯა, ბერ. ირენკა).

ირემა (ბოტ.) თერო, გრძელკუნებიანი მცენარეა, მუხლებამდის იზრდება, *Lathyrus pratensis*.

ირმიცულად ირიბად (შდრ. ჭყ. ილენტრად).

იხარნა, ხარნა, ხანა დიდი ქურის მსგავსი ფართო ძროხიანი ქურ-

კაბაკარდი ბამბის ტანსაცმელი, საშავო (სამგლოვიარო); ჩოხასავით იყვრებოდა, მხოლოდ საქილეები (სამასრეები) არა ჰქონდა.

კათხასახლი ძველებური სახლი, შუაზე კერია და ერდო ჰქონდა.

კაკუშელა კაკუტი, კაუტი, მოკაუტი, ბული ჯოხი (შდრ. ბერ. კაკუტი).

კაკუშობია კაუტებით ბურთის თამაში. (შდრ. ჭყ. კაკუნობია).

თუში თურში, კურის გადასატანი ძალიან დაბალი ურეში (ქალები არა აქვს. ბორბლების მაგიერ მსხვილი მრგვალი მორები აქვს).

თქელაფა თეთრა ყურძნის ჯიშია, ძალიან სუსტი კანი აქვს; დაწურვის დროს ითქიფება.

თხილაგანი ჯოხი თხილის ჯოხი.

ი

იკელი. ხმარობენ ტკბილის ჩასასხმელად.

ისტეველე, ისთოველე, ისოველე ისევე, ისევე.

ისტოველე ნ. ისთეველე.

ისოველე ნ. ისთეველე.

ისხლეთი ჩიტის მახე --- ორკაპიან თხილის ჯოხს მომზეული აქვს თოკი, რომლითაც იჭერენ ჩიტს (შდრ. საბა, ჩუბ. ისხერტი).

იქიფანდური იქაური; სხვანაირი. „ამას ვერ გეიგებთ, იქიფანდური სიტყვა არი!“

კ

კალო ქურახა ქურის ზედა სართულის იატაკი, სადაც აწყობენ ქურკელს გამოსაწვავად; ქურის კალოს ქვემოდან უნთებენ ცეცხლს.

კანდაულა ნ. კანდოულა.

კანდოულა, კანდაულა ურმის კვერნა (ნ. ყვერნა ურმისა).

კანდრიბი ხარის დასაბმელი დაგრეხილი წნელი ან თოკი (შდრ. ბერ. კანდრივი).

კაფე კენკაობის (თამაშის) ერთ-

ერთი მომენტი: კენჭებს ხელის გულიდან ხელისზურგზე აადგებენ, შემდეგ მალა აისერიან და ზემოდან ხელის ჩამოკვერით იჭერენ (ზოგან ჩაჭყევა ჰქვია. შდრ. ბერ. კენქალობა).

კეკვა ცემა, დარტყმა.

კემსვა აკრა (მაგ., რძისა). „შე-
იკემსა რძე — აიკრა რძე. აქედან: ნამკესები (ნ.).“

კენთელი აღუმინის დახვეული მავთული, რომლითაც ქარავენ სარტყელ-გულისპირებს და სხვ.; ქარავდნენ ავრეთვე ბარძიმ-ფეშხუმის დაფარებებს.

კეწეწა ბალახია წვრილად აშოტილი.

კვარკვალიცა კურკუშელა, კომტი. აქედან: დაკვარკვალი ტეგა.

კვერნა ურმისა ნ. ყვერნა ურმისა.

კვიმპლა-კვიმპლა კვნიტა-კვნიტა. „თირი მიწა კვიმპლა-კვიმპლა არი ხოლმე შაქარივით“.

კვირიკობა დღესასწაული იყო. იხდიდნენ კვირიკობისთვის (ივლისის) რომელიმე ორშაბათს. ევედრებოდნენ თაოს ანგელოზს, მარეშალს (ნ.); ავედრებდნენ წვრილფეხს. წესებს ოჯახის უფროსი ქალი ასრულებდა (ზოგი ცნობით კვირიკობა და კაბუკობა ერთი და იგივეა).

კვიწიანა კვაწიანა, პატარა ქოთანნი.

კვიჭიკი ძალიან პატარა რამ, მაგ.: მსხალი, ვაშლი, სიმინდი და სხვა (შდრ. ჭყ. კვიტიტი, კვიჭიკი); კვიჭიკა ცხვირი პატარა ცხვირი.

კიბორჩხალა ნ. ფაცხა 2.

კიბური ტიბური (ჯარას პატარა გოგორა, რომელზედაც მასრავა წამოცმული).

კიღობანი მალლარი ყურძნის საკრეფი გოდორი.

კიღონაწვაფი კაკალი ნახევრად შემოსული კაკალი (ნიგოზი), რომელსაც შიგნით ხეჭეჭი თითქმის გაწითლებული აქვს.

კინწალი უწვრილესი შტო, კენწერო. „ყვავი ნიგოზზე შემოჯდა, კინწალზე დეიარება“ (ხალხ. ლექსი).

კირკილი სიცილი. „ეიტება კირკილი და ვერაფრით ველარ გავაჩერეთ“ (შდრ. ბერ.).

კირკიმალში ჩადგომა კილში ჩადგომა, კრიკაში ჩადგომა.

კირჩხენა თმისა თმის ვარცხნა მსხვილკბილიანი სავარცხლით.

კიკება აღდგომას ბავშვები ჩაზოივლიდნენ კარდაკარ და იძახოდნენ: „კიკებო, კიკებო, დაგეზარდოს ბიჭებიო! სახლი ააშენოს ღმერთმა“. ერთ ბავშვთაგანს კვახის ქერქი ჰქონდა მიფარებული სახეზე, ნიღაბივით გამოკრილი. აძლედნენ საციქველს (ნ.).

კლავები, მკლავები გაპენტილი ზამბის ის ნაწილი, რომელსაც მშვილდი გადაიტანს გრძლად, არის ერთი მკლავი.

კობალი, კომბალი, კოდალი ქათმისა ქათმის ფრთის გადანახსენი.

კოდალი ნ. კობალი.

კოდი საკრამიტე მიწის საზელი მანქანა, რომელშიაც ჩანს მულია ფარფლებიანი ღერძი; ღერძი უერთდება უღელს, რომელშიაც შებმულია ხარი; ხარი უღელს გარშემო, ღერძი ტრიალებს და მიწა იზილება. მოზეული მიწა გამოდის ქვედა ხერგლიდან.

კოდის წისქვილი ერთთვლიანი პატარა წისქვილი. ღარს ქვემოთ ჩადგმული აქვს ხის კოდი, სადაც ჩადის წყალი ღარიდან; კოდიდან კი ეცემა წისქვილის ბორბალს და ატრიალებს (შდრ. ბერ.).

კოდის წყალი მიწიდან მოჩუხჩუხე წყალს ჩაუდგამენ მთლიანი ხისაგან გამოჭრილ ოთხკუთხ კოდს, რომელსაც ძრო არა აქვს; იქ გროვდება წყალი. კოდის წყალი სასმელადაც კარგია; უკანასკნელ ხანებში კი უმთავრესად საქონელს ასმევენ კ. წყალს.

კომბალი ნ. კობალი.

კონახი (ქვ. იმ.) ბოსელი.

კოპაჭური პატარა, მოკაუჭებულ, თავკომბალა ჯოხი.

კოტა კედელზე ან სვეტზე მისმული ხის რიკი საკიდლად.

კოჭები ყაითნის (გრეხილის) საქსოვი მრგვალი ხის ბურთები (ტარიანები). ჰქსოვენ რვა კოჭით; კოჭებს ჩამოჰკიდებენ ჩალით გატენილ ტომრის ბოლოში. კოჭების წყვილ-წყვილად გადაჯვარდინებით ხლართავენ ყაითანს.

კონინჯრობა დღეობა იყო ნამალლობევის ორშაბათს. დაკლავდნენ საღეთოს და ევედრებოდნენ ღმერთს: კოხი არ გამოგზავნო და მოსავალი არ წავგვიხდესო (შდრ. ზანდიკობა).

კრინტვა ნ. გამოკრინტვა.

კუდა კაცი მეტისმეტად ამპარტავანი.

კუდა ხმალი მოკლე ხმალი.

კუკუ თვალისა თვალის ავადმყოფობა (შდრ. ბერ. ქუქუ).

კუმკუმა ნ. წუნწუბა.

კუნკრუხი (ქვ. იმ.) არშიყობა.

კუნწლები ფქვილისა, მთვარემთვარეები ფქვილი რომ თვლებს გაიკეთებს ფაფის ან ფელამუშის კეთების დროს.

კუნჭულო, კუჭუჭო მოვიწროებული ძირი ჩაფისა, ქურისა და მისთანათა.

კურთაბზია თამაშობა: ერთი ვინმე აისურის ვ. შლს (ან რაიმე სხვა ხილს) და ყვირის: „კურთაბზია, კურთაბზია!“ ასროლილი ხილი დამკერისაა.

ქურკუშელა კვარკვალიტა, კო-
შტი.

ქურწატი თავსაფრის დასაბნევი
ქინძისთ. ე.ი. თავი მძივისა აქვს.

კუპვა ნ. გაკუპვა.

კუპუპო ნ. კუნკულო.

ღანჯვა ნ. დაღანჯვა.

ღასია კარის თამასა.

ღაფარა ლაფერა, ჩოგანი, ფქვი-
ლის ამოსაღები ალაოდან (წის-
ქვილში).

ღაკა მათრაზისა მათრაზის ბო-
ლოს მიბმული ფართო ტყავი.

ღალა კარგად გათლილი სწორი
ჯოხი, რომლითაც ასწორებენ საკ-
რამიტე ან სააგურე მიწას კალა-
პოტში (შდრ. ბერ.).

ღელე ლენჩი, შტერი.

ღესე-ღესე გასახელებელი სიტ-
ყვა იყო: „ღესე-ღესე, ღესე-ღე-
სე“ - უძახდა ერთი მეორეს, რო-
დესაც მისი გახელება უნდოდა და
თანაც მარჯვენა ხელის საჩვენებელ
თითს უსვამდა მარცხენისაზე.

ღეფერთინა ფართო, გადაშლი-
ლი. „ამ ხეს დიდი ლეფერთინა
ფოთლები აქ“ (შდრ. ბერ. ლე-
ფერთხო).

ღეფუბრი მცენარეა, пересту-
пень. ამის ფესვს ხმარობენ ქარე-
ბის წამლად: დანაჟვენ და წაის-
ვამენ.

ღეპენჭყო ქაობიანი ადგილი,

კუპუხური კუთხე (შდრ. ჩუბ.
კვაქახური).

კუხ-მაყვალი კუხისა (ისრიმისა)
და მაყვლის წყენი (საწებელი), სუ-
ნელით შეზავეული.

ლ

ტლაპო, ტლახი (შდრ. ბერ.
ლენკყო).

ღირსი სახლის ნაწილია: სა-
ხურავს ქვეშ და სარტყელს ზემოთ
სამკუთხად ამოშენებული ფიცრები
(შდრ. საბა ღირსი).

ლობიანები ლობიოჩართული
პური.

ლოჯინფიცარი ნ. სიგრძის ლო-
ჯინი.

ლორდვა ნ. გამოლორდვა.

ლორთქო ნორჩი, თოთო, ახალი
(შდრ. ბერ. ლორთქოში).

ლორწი, ლორწომი ლორწაში,
კადონი, საქვაბე ჯაქვის დასაკიდე-
ბელი ღირე (შდრ. ბერ. ოჯინ-
ჯალა).

ლორწომი ნ. ლორწი.

ლორკვა ნ. დალორკვა.

ლოტარი ლოტო (ნ.) ხეები
ჯგუფად (შდრ. ქყ.).

ლოტო (ითქმის მცენარეზე, ხეზე)
სწორტანიანი, კარგად ტ ნაყრილი.
„საუკეთესო სამასალო ლოტო
ხეებია ჩვენში“; კაი ლოტო სიმინ-
დი ასულა წრეულს“ (შდრ. ბერ.
ლუტუ).

ლუჩუნა ნ. ბლუჩუნა.

მ

მაღანა მანდ.

მათარა სასმისი ტყაეისა, აგრეთვე ხისა.

მალა მართლა. „მალა გეუბნები, ბოშო, კი არ გეუბრები!“

მალაღა (←მართლღა) დიახაც, მართლაც რომ.

მაღენა მანანა. „ვაეი მოგეცა, ვით გვიწვიმა ციღან ხალენაო!“ (ხალხ. ლექს.).

მამასწარა მცენარეა სპოროვანი, გვიმრანაირი.

მამლიყვილა (მცენ.) წალიკა, Polygonum persicaria.

მანჩა პაწაწა ბელელი, რომელსაც ხშირად წისქვილში დგამენ მინდის მოსაგროვებლად; სახურავი სწორი აქვს, უფრო კიღობანსა ჰგავს.

მაჰა! აბა, მაშ! „მართალს ამბობს, ბოშო, მაჰა!“; „მაჰა, რაღა გეგონა ახლა შენე!“

მარეშალი, მარეშელი „თაროს ანგელოზი“, ხალხის რწმენით, წვრილფეხისა და ფრინველის მფარველი ღვთაება იყო (შდრ. ბერ. მარეშლობა).

მარეშელი ნ. მარეშალი.

მარწახი დიდი, გრძელი სამთითა ჩანგალი, რომლითაც იჭერენ ხოლმე თევზებს ტობობის (ნ.) დროს.

მარჯანიკი მანჯანიკი (ნ. ჩუბ.), აბრეშუმის ამოსახვევი ჯარა.

მაღლარი გარკვეული ჯიშის შავი ყურძენია (ვაზი ხეზე არაა შეშეებული, ისტორიულად კი მ. ხეებზე გაშენებულ ვენახს ეწოდებოდა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ეკონ. ისტ.).

მაღური თვალი 1. მომჯადოებელი, მაცდური თვალი; 2. ავი-თვალი.

მაჩანაური საფერე ყურძნის ერთი ჯიშია.

მბილო რბილი, ჩია. „მოზვერს ეუბნებიან: ფიცხი გამოდიო, მბილო არ გამოხვიდეო!“

მებედისწერე, ბედისწერელი ბედისმწერალი, წინასწარმეტყველი. „მოვიდა სამი მებედისწერე (ბედისწერელი) და გადაწყვიტა: ნეფეს თოფი მისცეს ხელში თავის მამამაო, გასკდეს ეს თოფი და მოხდეს მარცხიო“.

მენჩვა ნ. გამენჩვა.

მენჩი კერი, დირეებზე ზევიდან დაკრული სქელი ფიცარი (შდრ. ბერ. მერჩი. ნ. გამენჩვა სახლისა).

მეორედი მეორედ თოხნა (შდრ. ბერ. მორადი).

მეუარე უარისმყოფელი. „დამსახურებული კაცია: ნიკოლოზის დროს მთავრობის მეუარე იყო!“.

მზემაქცია ნ. ზემაქცია.

ზნნილობა, ბზნნილობა, დაბზნა
წელიწადის გარკვეულ დღეებში
ზოგ რისამე აკრძალვა, რომ კაცს
უბედულება არ შეეშობოდა; მაგ.,
წითელ პარასკევს პირს არ იბანდნენ;
პირა დაგვისკდება, დაგვიმუწუკდე-
ბაო; წაღდა და ცულს არ მიაკა-
რებდნენ ხეს—მოსავალს (სიმინდს,
პურს) კია დაგვიკამსო; ახალწე-
ლიწადს ეზოდან ფეხს არ გადაა-
დგამდა მკვლელები: ქათამი და
წერილფეხი ეზო აღარ გასცილ-
დეს და არ დაიკარგოსო და სხვ.
(ზღრ. ბერ. ბზნნილობა და
დამბნა).

მთვარე-მთვარეები კუნწლები
(ნ.) ფქვილისა. „ისე დულს ფელა-
შუში, სუ მთვარე-მთვარეე-
ბი გეიკეთა“.

მიკოსება მიკრა, შიდება (ზღრ.
ბერ. და-კოსება).

შიძნეყვა, დაძნეყვა მიბეგვა.

მკელდი მკელი.

მკლავები ნ. კლავები.

შობოქვა ნ. აბოქვა.

შოდლაშვა ნ. დლაშვა.

მოზევა მოწევა.

მოკერძე კერძის მონაწილე.

მოკუდრუცუნებული მოკლე;
„იმისთანა მოკუდრუცუნებუ-
ლი კაბა ეცვა, მუხლებს ძლივს
უფარავდა“.

**მოლაბარიკე პირველი სიმი ჩონ-
გურისა, ან პირველი სიმის გამომ-**

ცემი დედანი (ნ.) გუდა-სტეირში;
სიმღერაში სიტყვების მთქმელი.

**მოძახილებელი მოძახილი სიმ-
ღერაში; მეორე სიმი ჩონგურისა**
(ნ. ძაფი ჩონგურისა).

მოყენულვა წნელისა დაგრება,
თავის დაჩეჩება, დაძნევა. მოყენ-
ული წნელს ეინელილებად ხმა-
რობენ (ზღრ. საბა, ჩუბ. ეინ-
ელი).

მოყვეპრვა ქათვის მოხდა (ნ. ევებ-
რი, ზღრ. ბერ. ევეპო).

მორგვი ქურქლის გასაკეთებელი
ხელსაწყოა: მრგვალი სუფთა ფი-
ცარია, რომელიც ტრიალებს ხის
ფეხზე. მასზე გამოჰყავთ ქურქლის
ძრო და მასზედვე ასწორ-ალამაზე-
ბენ ქურქელს.

მორიგება ნ. დარიგება.

მორჩვა ნ. გამორჩვა.

**მოსათვალავი სალოცავი სიტყ-
ვები, რომელთაც ამობდნენ ხოლ-
მე ამა თუ იმ დღესასწაულის, ან
შელოცვის დროს.** „საქონელი რო-
ტყეში დარჩება, მისი მოსათვა-
ლავია: ეკენია, ბეკენია და სხვ.“
(ზღრ. ბერ. მოსა-თვალავი).

მოსასწრები (ქვ. იმ.) საუცხოო,
საკვირველი, მშვენიერი. „რა მო-
სასწრები ა გოგო!“

**მოტყეურობა ხალხის თქმით თა-
ვადიშვილების (წერეთლების) დღე-
სასწაული იყო საჩხერეში (სხვიტორ-
ში) შუა მაისის ორშაბათს. ამ დღეს
მოვიდოდა ეკლესიაზე დიდძალი**

ხალხი. წერეთლები მოიტანდნენ საპალნეებით ღვინოს და აუარებელ პურს. შეაგზავნიდნენ ბიჭებს დიდ ცაცხვზე, რომელიც იკლესიის ეზოში იყო, და იქიდან ყრიდნენ პურებს ძირს. ხალხი იჭერდა. მოჰქონდათ დიდი გობები: დაასხამდნენ იმ გობებზე ღვინოს, დაეყუდებოდნენ და სვამდნენ.

მოლილვა ნ. ღიღობა.

მოდნაშვა მოშვება, ფრთების ჩამოყრა, მოუძღურება (შდრ. ჰყ. ზოღნეშვა).

მოწამლვა ვენახისა შეწამლვა ვენახისა.

მოწიწინება სულისა ნ. სულ-მოწიწინებულო.

მოკრელება სახეების ამოკრა თიხის ან ხის კურკელზე, ავეჯზე და სხვ.

მოხარდვნა ხარდნის (ნ.) დასმა ვენახში.

მოხვევა ვენახისა-ახვევა, აკონვა.

მოხუპვა ბადისა ბადის აკრეფა მებაღურის მიერ, როცა შიგ თევზი გამოჰყვება.

მურუჯი (რჯული?) მტრის მურუჯი გაწყდეს!

მუქარა, ერთი მუქარა ერთი მიდგომით, ერთი შეტევით, ერთ ჯერზე, ერთბაშად. „ერთი მუქარა უნდა ზილო და თავისუფალი ხარ!“

მუშტუკუნა მუშტის ოდენი, პატარა, თანაც მოჭუქნული. „მსახე“.

მუტის შალაშინი ცალხელი შალაშინი.

მშრალა ბალახი (ბოტ.) მხალეული მცენარეა.

მჩატე მიწა უნაყოფო მიწა, სილა მიწა.

მცირე მიწა ცუდი, უნაყოფო მიწა.

მძიმე მიწა შავი მიწა: კარგი მოსავალი იცის.

მწერვა ნ. დაწერვა.

მწიფე ნეხვი ძველი ნეხვი (წლისა და მეტი ხნისა), ხმარობენ მაწის გასაპატივებლად.

მწყერიო წალღინისფრო სოკო.

მჭედლის ლურსმანი ჯიბუკი-დიდი ლურსმანი.

მხარი მტევნისა მტევნის ნაწილი, კუფხალი. „ერთი მხარი შეაცალე მა მტევანს და მომეცო“.

6

ნადუღი ხაქო.

ნაკოდობა საერთო ტყეში რომ ხეებს შემოთარჯავდნენ, შემოკოდავდნენ და ამით ნაწილს შემოი-

ფარგლავდნენ, ამას ნაკოდობა ეწოდებოდა.

ნაკორტალა ნაქურჩალი სიმინდისა (შდრ. ჰყ. ნაქურჩი).

წამატები წინდის ის ნაწილი, რომელიც ემატება მას შემდეგ, რაც წინდის წვერი უკვე მოქსოვილია.

წამბილარი ხის ძირებისა და ჯირკვებისაგან გაწმენდილი ახო (ახოს ხარი ვერ ხნავს, წამბილარს — კი).

წამბული წამიანი, დანამული. (წ. დანამბულება).

წამკეხები აჭრილი რძის ან ხაჭოს შეუღებული ნაწილები (წ. კემსეა, შდრ. საბა კემსა, წამკესი).

წარწყული ღვინო, წაქაჩი ღვინო ქაქისაგან გამოხდილი წყალნარევი ღვინო, წყალღვინო, სახარჯო ღვინო.

წაფასური საფასური. „ვირი არ იქმება, თორემ ვირის წაფასური კი იქმება“.

წაქაჩი ღვინო წ. წარწყული (შდრ. ბერ. ქაჩეა).

წაღინჯალა ხილის რბილეულის შექვის შემდეგ დარჩენილი უფარვისი ნაწილი; აგრეთვე სიმინდისა

და სხვა ნაყოფების უფარვისი ნაწილი (წ. ღიჯნა).

წაცოხრობა ცოხნა. „ცხარი ქე ნაცოხრობდა“.

წაძებარა რთველის შემდეგ დარჩენილი ურძენი ვენახში.

წაძვა მდინარისა წ. დანაძვა.

წეკი ვენახისა პირველი პატარა წამონზარდი, რომელიც შემდეგ ლერწად გაიზრდება (შდრ. ბერ. ნეკა).

წერწყვა, დანერწყვა დასველება. „ქურის მიწას ვნერწყვავეთ წყლით“.

წიკბები კბილოვანი ნაპირები, კბილები; წიკბებანი ქსოვილი — კბილოვან-სახეებიანი ქსოვილი. „ფიცრები შეკრული იყვნენ კუთხეებში ჩაქდობილი წიკბები“ (წ. წიკოლაძე, „მოგონება“).

წინიას ბალი ხალხის თქმულებით — ბალი, სადაც ყველაფერი უანგარიშო და უღვევი იყო.

წიჭვითი წივითი.

მ

მბროლი უცნაური, ახირებული ჭატი (შდრ. ქყ.).

მდელო ძროხის დაძახებაა.

მდისთავი სხვენი.

მთხფეხიანი ხაჭაპური მთხფეხი, მთხფურიანი ხაჭაპური.

მთგალო ვერტიკალური ბიჯგები (სარებისა).

მთჯარო როფი საზოგადოდ (შდრ. ბერ.).

მორილია ხე ორი ღლია სიდიდის ხე.

მორფარდიანი სახლი ორფრთედის სახლი.

მორხელი, მათხლევე, მათხლევე თხლის ამოსაღები ხის ქურქელი.

ოფსილო ჯოხზე მიმაგრებული ჩვარი ქურის ამოსამშრალეზლად (შდრ. ბერ. ოფსინო).

ოქიჩო, ოქიჩო! ნახირის შეძახე-

ბა გასარეკად (შდრ. ბერ. ოვეიჩო).

ოქონობა წმ. გიორგის დღესასწაული იყო აპრილში.

პ.

პალატიაი სახლი ორსართულიანი სახლი, ზევით ხისა, ქვევით ქვითკირისა. ზევით ცხოვრობენ, ქვევით სამზარეულო აქვთ.

პანტულა კნინთმათი ფოჩია პანტა-საგან, პატარა პანტა. „პანტამ რო კბილი მომკვეთა, პანტამა და პანტულამა“.

პაპარაქა, პაპარაქება პაპანება, პაპანაქება.

პაპარაქება ნ. პაპარაქა.

პაპყვი პატარა, გვაჯა კაცი. აქედან: დაპაპყული (ნ.) (შდრ. ბერ. პაყვი).

პატივის დაყრა პატივის დადება.

პაქანიკი ნ. პაქინი (შდრ. საბა პაქან-გი).

პაქინი პაიკი, პაქიკი, საწვივე.

პიპალო სულელი, მტენარი სულელი (შდრ. პიტალო).

პირთხელი ხვეწი.

პირხვეული მცირედ პირმოკეცილი ხვეწი. ხმარობენ ჩონჯურის გულის კუნჭულების მოსახვეწად.

პე ბრეე (ღვინისა).

პოლონტიკი ყველაფერს რომ გააძნელებს, გააპიანურებს, ისეთი კაცი. „იელიანე - პოლონტიკი ხარ ნამდვილი: ყოლიფერი უნდა გააძნელო!“

პოლორწიკი ბოდიშობა. „რას ეპოლორწიკე ბი?“ — რას ებოდიშები?

პონტიო წყლის ქვა, სპონდიო.

პორკიკი ჩაციება, ხელებით ჩაბლაუქება. „რას ეპორკიკე ბი მაგ კაცს? გოუშვი ხელი!“ (შდრ. ბერ. პორწიალი).

პრწყალი ბწყარი, ხაზი, რომელსაც ავლებენ თიხის ან ხის ქურქელს ყელზე ან თავზე გარშემო.

პუტვა ფტქენა. „გაპუტულთ ქათამი“ — გაფტქენილი ქათამი (შდრ. ბერ. ჩა-პუტია).

პწყალი წვრილი ტყეჩი, რომელითაც ღობავენ ხოლმე ხელკალათებსა და გოდრებს.

პეყალი ვენახისა ნ. ბრეყალო ვენახისა.

ჟ.

ფლეთა ნ. ელეთა.

შვეპრი ქაფი. აქედან: მოქვე-
პრეა (ნ.).

ურუნი თვალეში ეშუენა თვა-
ლები.

შლალი მომტრედისფრო, რუხი.

შლეთა, ფლეთა, ჯგვლეთა
ბუერი ხალხის თავის მოყრა, თავისუფალი მოძრაობა რომ არ შეიძლება.

რ.

რაფები გაუთლელი პობილი ხე-
ები, ლობედ გაკეთებული. ასეთ
ლობეს ჰქვია რაფის, ანუ ყუდულის
ლობე (ნ. ონგალო).

რაფის ლობე ნ. რაფები.

რალაი რაკი.

რალამლანაც რალაი, რაკი, რად-
განაც. „რალამლანაც შენ მყაე-
ხარ, შვილო, კარგათ, მეტი არა-
ფერი მინდა“.

რალმე (ქვ. იმ.) კინალამ.

რეშვა, დარეშვა დიდი წვიმა.
„ისე დარეშა, რო სულ წალეკა
ყანები“ (შდრ: ქყ. რეში).

რეში ფიციხი, გააფორებული.
„წინ ტახი შემოეყარა, რუხეი იყო
და რეშია!“ (ხალხ. ლექსი).

როდი (როდის) გაღაც. არ, კი
არ. „როდი უთქვამს ჩემთვის
რამე“.

როჭკი ქვა ხეინქა.

ს.

საბეგვი სიმინდის ან ლობიოს
საცეხეი კეტი.

საბეწველა ავადმყოფობაა, ჩნდე-
ბა ქიისაგან (როდესაც მიწაში
ლობიოს ბუდნიან), ჰგავს საწერელს,
წამლობენ ხავიწით (ნ).

საბეჭურები 1. ქალის პერანგის
ზონარი; 2. პერანგისა და კაბის
სარჩული ბეჭებთან; 3. უსახელო
ზედატანი, რომელსაც მოქიდავეები
იცვამდნენ; იქსოვებოდა კანაფისა-
გან.

საგდული ურდული (შდრ. საბა
საგდოლი).

სადაიაჯოთ საგანგებოდ, ამორ-
ჩევით.

საზედაო ხერხი მალლიდან სა-
ხერხი; ოთხი ხელი აქვს: ორი ერთ
მხარეს და ორი მეორე მხარეს.

სათავე 1. წისქვილისა — წის-
ქვილის თავი: ღარი ერთი თავით
დაყრდნობილია სათავეზე, მეორით
მიშვებულია ბორბალზე.

2. სათავე სახლისა — სახლის
აფრაზე გადებული ძელი, რომელ-
ზედაც ეყრდნობა გადასაკიდებლე-
ბი (შდრ. ბერ. სატენისხე).

სათხლევე, სამთხლევე ნ. ორ-
ხელი.

საკობავე კოტას ჩასასმელად ამოქრილი ადგილი ფიცარში.

საკრეფელი ყურძნის საკრეფი პატარა, მრგვალი კალათა.

საკრი ვენახის ასაკვრელი ლაფანი.

სამარნე ჩაფი დიდი ჩაფი.

სამთავი ლურსმნის სალესი რკინა (სამპედლოში).

სამთვარიო პატარა ფანჯრები, რომელთაც უტოვებენ უკან (ზემთ) საჭურჭლე ქურას კვამლის გასასეულად.

სამთხლევე, სათხლევე ნ. ორხელი.

სამკერდე ჩოხის ის ნაწილი, რომელსაც საქილეები აკვრია.

სამკვლევი მეკვლევის მოტანილი ძღვენი.

სამოსელი ხამის, ბამბის ქსოვილი. †

სამფთა ბადე სამფრთა ბადე.

სამხობი ამოღარული (პირამოდებული) მოგრძო სქელი ფიცარი, რომელიც ემხოზა (აფარია) ლირსის ნაპირებს სახურავის ქვეშ.

სანა ნ. ისარნა.

სანარცხი, სახელნარცხე ტაშტიგვარი თიხის ქურქელი.

საჩხვეე ძარი ურემზე დასადგმელი პატარა ძარი, რომლითაც ნეხეს ზიდავენ.

სარაზი რაზა (კარისა).

სარეხველა ჩიტის მახე. შედგება ორი მომსხო ჯოხისაგან. მათ შუა საკენი ჰყრია. ჩიტი რომ შევა, ზედა ჯოხი დაეცემა და დაიქერს (შდრ. ბერ. სარეჯველა).

სარეხვი ჩიტისა და თავის საჭერი. შედგება ორი ფიცრისაგან. ზედა ფიცარი „დაერეხება“ და დაიქერს (შდრ. სარეხველა).

სართუმალი სასთუმალი, ბაცანკალა.

სარიოში ლენის მრგვალი სასმისი ხისა, ფეხიაიი (შდრ. ჩუბ. სარიოში).

სარნა, სანა (შდრ. ქყ.) ნ. ისარნა.

სარცხელი ბლის კანისაგან გაკეთებული ქურის სარეცხელა.

სარწყაო საწყაო, საწყაეი.

სარწყული კვახი მწარე კვახი, ხრიკა, რომლისგანაც აკეთებენ ორშიმოს (ქვემო იმერეთში სარწყული — კიდან წყლის ამოსაღები ქურქელია სპილენძისა).

სასახმო სასმისი.

სასაქმო საქმელი.

სახოლე ქუჭრუტანები ქუჭრუტანები ქურჭლის გამოსაწვავ ქურის კედლებში, სადაც არკობენ რკინის წვრილ სოლებს; ამ უკანასკნელზე ჩამოაცმენ კინკილებს გამოსაწვავად.

სასწრაფო (გ. წ., კიკოლიკი), ერთგვარი სამუსიკო იარაღია.

სახსლები, სახსლები სახსლავე (იარალი).

სახსლები ნ. სახსლები.

საფერხული საქსოვი დაზგის საფეხური.

საფუნებელი საფუარი.

საქართლო ქართლი.

საქაჩველი ქაკის საწური პრესი.

საქნარი საქმე (შდრ. ჩუბ.).

საქორწილი: საქმროს მიერ სა-
ცოლისათვის მიტანილი საჩუქრები:
ფული და ბარგი.

საქსლე საფეიქრო დაზგა მთლი-
ანად.

სალარავი წისქვილის სათავის
ყორე, რომელზედაც ღარები ჰქი-
ლია (ნ. სათავე).

საყელი ნ. საყელური.

საყელური, საყელი ძელის თავ-
ში ჩაქრილი ადგილი, სადაც მე-
ორე ძელის თავი ჩაეკლბა.

საყენებელი წისქვილის ღარის
თავში ჩასადები ფიცარი წყლის
გვერდზე გადასადებად, ლაგამი
წყლისა.

საყუნტალი საქანელა, ქვაზე გა-
დებული ფიცარი ბავშვთა საქანე-
ლად (ნ. ყუნტალი).

საშავი 1. დამწვარი წარნაქისა
და ღორის ქონისაგან შეზავებული
შავი საღებავი; 2. სამგლოვიარო.

საშვეტელი ერთგვარი მახეა.

საშვილაო საშულაო, შულოს
დასახვევი.

საშული ღვინო წყალღვინო, შუა
ღვინო. ნარწყული (ნ.).

საჩქეფელი მდინარის კლდიანი
ადგილი, სადაც წყალი ჩქეფს.

საჩხრეკი ბადე ნ. სახოპავი ბადე.

საცალო 10—20 ჩაფიანი ქური.

საცეხვარი საცეხვი ჯოხი.

საცეხველი 1. სასიმინდის ის
განყოფილება, სადაც ცეხვევენ სი-
მინდს ან ლობიოს; იატაკი დახე-
რეტილი აქვს, რომ მარცვალი ქვე-
მო სართულში ჩაცვივდეს.

2. ჩელტი ან ძარი სიმინდის გა-
საცეხვად.

საცეხველი მეალილოების ან
მეჭონეების საჩუქარი იყო (შდრ.
ბერ., ჩუბ.).

საცხრილავი სასიმინდის ქვედა
სართული, სადაც ცვივა სიმინდი
დაცეხვის შემდეგ და სადაც ცხრი-
ლავენ მას (ნ. საცეხველი 1).

საწვივეები წვივებზე ჩასაცემელი
პაქიქები—მოქსოვილი, ან შალისა-
გან შეკერილი.

საწინღარი ლერწი საწინდნი
ლერწი, რომელსაც გადასაწინდნად
ზრდიან.

საწისქვილო წისქვილისთვის გა-
დაგებული წყალი.

სახარდნე სავენახე ადგილი.

სახელნარცხე ნ. სანარცხი.

სახვეველა დახვეტილი ფიცარი, რომელშიც არკობენ პატარა ბიჭვებს; ხმარობენ ძაფის დასახვევად.

სახვეველი ჩიტის მახე, ისხლეთი (ნ. საშვეტელი.).

სახოპავი ბადე, საჩხრეკი ბადე ამოსასმელი ბადე, ოთხკუთხი, ჯვარედინ ჯოხებზე მიმაგრებული ბადე (შდრ. საბა სახვეველი).

სჯვრულა სოფ. სვერის მცხოვრებთა მუშური სიმღერა.

სიგრძის ლოგინი, ლოგინფიცარი გრძელი ტახტი, რომელიც მიშენებულია ძელურ სახლებში მთელი კედლის გასწვრივ. სიგრძის ლოგინზე მთელი ოჯახი წეება (ქეიმერეთში: გამწე ტახტი).

სილის მთა სინას მთა.

სიმინდის კუჭი სიმინდის ჩანასახი, თესლი. „სიმინდის კუჭი რო წამოვა და ნაყოფს წამოიღებს, მაშინ გეილოჯება თესლი“.

სკამლოგინი მთლიანი ხისაგან გამოჭრილი გრძელი სკამი, რომელ-

საც ცალ, ან ორივე მხარეს ხის მუთაქა აქვს (შდრ. ჩუბ.).

სტირფლი (?) „ეს არის სტირფლის მზეთუნახავის ნახატიო“ (ზლაპრ.).

სუჯი სველი ქსოვილის დასაჯანდრავი ფიცარი, რომელიც წინათ უთოს მაგივრობას სწევდა (შდრ. ქყ.).

სუკი ხის სვეტებზე, სვეტისა და თაროების თავებზე ან ხის ავეჯზე გამოხარატებული წიბოები.

სულმოწინებული სულსწრაფი, მოუთმენელი.

სუნგალის გაკვრა (გ. წ., პირენაბიჯი) ხმის გაკმენდა. „გაკვრა სუნგალი“.

სხიერობა დღესასწაული იყო [უქმობდნენ ივანობისთვის (ივნი-სის) ერთ-ერთ კვირა დღეს]. ეკლესიის გალავანში გამართავდნენ თემობას, ქეიფობდნენ, ცეკვავდნენ. (დღესასწაულის შინაარსი აღარ ახსოვთ).

ტ

ტაბუზის თავი გაღაც. „რა მისცა და ტაბუხის თავი!“ — ე. ი. არაფერი არ მისცა.

ტარაბუა თავბრუ. „ტარაბუა დამესხა“.

ტარალი ქვის სათლელი იარაღი.

ტატაბი 1. ხისკოვზი; 2. მხლის საკები (ნიჩბის ფორმისა. შდრ. ბერ.).

ტაფვა, წატაფვა ჯოხისა წათლა, წაწვეტება.

ტმტკვა დარტყმა. „ერთი მაგრად ტეტკა თავში“ (შდრ. ბერ.).

ტიღვები ქათმის ბუმბლის ძირები. „ქათამი საძაგლათაა გაპუტული: სულ შავი ტიღვები ჩაჩინია ხორცში“.

ტკოთი მკვახე ტყემლის წვენი, სუნელ-სანელუბლით შეზავების შემდეგ ხელმეორედ მოდუღებული.

ტაბობა თევზის მიერ ქვირი-

თის დაყრის დრო (შდრ. ბერტოფი).

ტოშვა „რაცხა მეტოშა, რომ დვეინახე!“ — შეუცნაურა, არ მესიამოვნა, უსიამოვნოდ გამიკვირდა.

ტრიბუცა მატრკეცა.

ტრუნჯვა სმა, ყლურქვა, ერთბაშად გადაკვრა.

უ

უგნობ (← უბნობ) ამბობ. „რას უგნობ?“.

უღებლათ ლოცვა (უღებლათ შოილოცვა) აღთქმის დაუღებლად რომელიღე დღესასწაულის წესების შესრულებას უწოდებდნენ.

ულუმპია წვენი (ქვ. იმ.) ბევრი წვენი. „რამდენი ულუმპია სუბი გაგიკეთებია, ბოშო, ვინ დაღვეს?!“

უმოწყალო უზომო, ძალიან ბევ-

რი. „უმოწყალო სიმინდი მოგვივიდა წრეულს“.

ურწყავი ვენახი წვრილმარცვალა ვახია; ყურძენი საქმელად მაწყინარია.

უსაშუალობა უსახსრობა, სილარიბე (შდრ. ქყ. უსაშველო).

უსახელო გველი (შდრ. ბერტ-ხსენებელი).

უტუხი უტუხი.

უ

უაღვიანი წიწილი „ფრთებს რომ ჩამოყრის და გლახათ დაღის, იმას ვუძახით; გლახა მოვლამ იცის“.

უაცხა 1. წისქვილის ქვაზე დადგმული პატარა კალათა, რომელშიაც ჩადის სიმინდი ხვიმირიდან; 2. ორკაპა რკინის საყრდნობი (წისქვილში), რომელზედაც დადგმულია წისქვილის ბორბლის

ფეხი (ზოგან ამ საყრდნობს კიბორჩხალას ეძახიან).

უერდა ფერდების ავადმყოფობაა, პლევრიტი. „უერდა კირს საწყალს, სიცხეს აძღვეს და სუნთქვა უკირს“.

უერდელა წინ და უკან შავი და ფერდებთეთრი ცხოველი, მაგ. ღორი (შდრ. ჩუბ.).

ფერდი ჩონგურის მეოთხე სი-
ში, რომელსაც მოსამართავე რიკი
გვერდზე აქვს (და არა ზემოთ, რო-
გორც სხვა სიმბეს; ნ. ძაფი ჩონ-
გურისა).

ფეხის შეშლა ფეხის ჩამოკე-
რა. „საფერხულებს (ნ.) რომ ფეხს
შეუშლი, ერთი დღიმი ზეით
ავა და ერთი ქვეით ჩამოვა“.

ფინჩი ნამცეცი, უმცირესი ნა-
წილი, ნაფოტი (შდრ. ჭყ. ფინჩა).

ფირჩხი ნ. ფურჩხი.

ფიტონა, ფიქონა 1. კარების წინ
გადმოხურული ფიცარი მაქედუ-
რივით; ზედ დებენ ჩირს ან სხვა
რამეს გასახმობად; 2. პატარა ხის
სკამი, რომელსაც მთლიანი ფიცი-
რისავე ფეხები აქვს.

ფიფინკი ფაფანაკი.

ფიფქვა ნ. გამოფიფქვა.

ფიფქი აბრეშუმის დაუძახავე
თეთრი ძაფი (ნ. გამოფიფქვა).

ფიქონა ნ. ფიტონა.

ფონთხელი თხელი ფონი.

ფორთქვი ხე რბილი ხე. „ფო-
რთქვი ხე რბილი ხეა; ხელს

რო აკრავ ქვეიდან, ერთბაშად მი-
დის კანი ზევითამდის“.

ფოლო ფულურო.

ფრაველი ფერფლი (შდრ. ბერ.
ფარველი).

ფუილი კვამლის გამოშვება
პირიდან „ფუს“ დატანებით. „აფუ-
ილებს ყალიონს“.

ფუჯა როდესაც მოთამაშე (მაგ.,
ბურთისა) დათქმულ წესს დაარღ-
ვევს თამაშისას, მოპირდაპირეს შე-
უძლია უთხრას: „ფუჯა“. ეს იმას
ნიშნავს, რომ პირველს მთელი თა-
ვისი მონაგები გაუბათილდება. ამას
ეწოდება გაფუქება, ჩაფუქვა-
„სულ ჩაუფუქე, რაც მოიგო!“
(შდრ. ბერ. ფუწი).

ფურღენა (ბოტ. ბურღენა)
ფართოფოთლებიანი დაბალი მცე-
ნარეა (შდრ. შარშ. ბურღავი).

ფურჩალა კაბასმოვლებული ნა-
ოჭა არშია. „ფურჩალა აქ
მოვლებული კაბას გარშემო“.

ფურჩხი, ფირჩხი ფიჩხი.

ფულვა ნ. ამოფულვა.

ფხეწები ნ. ფხრეწები.

ფხრეწები, ფხეწები კლდიან-
მთა-გორიანი, მწირი ადგილები.

ქ

ქათმის ფეხვა ხალაშო ქათმე-
ბის დაბუღების დრო.

ქალა კარისა კარებს ზემოთ
(კარებსა და სარტყელს შუა) ამო-
შენებული სქელი ფიცარი ძელურ
სახლებში.

ქალა კოდისა საკურკლე მიწის

საზელი კოდის ხარისა, რომლის
შუაგულშიაც ღერძია ჩარკობილი
და რომელსაც უღელი უერთდება
(ნ. კოდი).

ქანიშკაფი ბაზოების პირის
ამოსალები შპეთი (შალაშინი).

ქანცაქუნცი ქარაფშუტა, ცერ-
ცეტა.

ქართული ურემი დიდი ურემი.

ქარქაშობა უმიზნოდ ჩქარა სი-
არული.

ქეზი, ქეზის მოდგმა გათამამე-
ბა (ქეზი მოიდგა).

ქენთელი ყიალი.

ქენქრეჯა (გ. წ., მამიდა ასმა-
თი) საალერსო სიტყვაა. „ვენაც-
ვალე ჩემ ქენქრეჯას“; „ჩემო
ქენქრეჯა“.

ქერეჭო მწარე ბლის კანი,
ოფიქო (შდრ. ჩუბ. ქერექანი).

ქველა გული საბნისა საბნის
სარჩული.

ქვემოთი ქვემო-იმერეთი.

ქვეშნიგვზისა (ბოტ.) ნიგვზის
ძირა(?).

ქინდილა კაცი ტრაბახა, დამ-
ცინავეი (შდრ. ქირღვა, ქყ. ქირ-
ჯვა).

ქ-ნძოველა (ბოტ.) ტყის ქინძი.

ქიორშა (ბოტ.) თიორშა(?).

ქირიში სახლის კოქი (შდრ.
ბერ. ქილიში).

ქირქალი გრილი; თავისუფალი.
„თხელი ტილო გაცვია ზაფხულში
ქირქალად და ისე დადინხარ“
(შდრ. ქყ. ქირქილი).

ქირში მიწა ხოროში მიწა, სი-
ლანარევი; ხმარობენ ქურკლის
საკეთებლად; ქირში პური,
ფხვიერი პური, რომელიც კარგად
არ იზილება. „დიკა—ქირშია ქა-
დივით, არ იზილება, არ იწელება“.

ქირჩნა ხელის წაველება და მო-
წევა. „მოქირჩნა, რაც ძალი
და ღონე ქონდა!“—თმებში ხელი
წაველო და მოსწია.

ქოჩის წახდენა „წოუხდა
ქოჩი“ წაუხდა საქმე, გაწბილდა,
იზედი გაუცრუვდა (უმთავრესად
იტყვიან ამპარტავან კაცზე).

ქრიტინი უშვერი სიცილი.

ქული სვეტისა სვეტის თავი.
ქურჩანა, ქურჩანე (ქვ. იმ.) ნა-
ქურჩი.

ქვილიო ფხვიერი სოკო (შდრ.
ჩუბ.—ფქვილა).

ღ

ღალა გლახა, მდარე. „ერთი
ცოტა ღალა იყო და მეორე კარ-
გი იყო“.

ღალანი ყანისა ყანის ბიბინი.

ღვარალეები, ღვერელეები ზო-
ლები. „ღვერელეებიან სამო-
სელს ვქსოვდით ლების პირებათ“.

ღვაფა, ღვაფი ნელი წვიმა
(შდრ. ჩუბ. ღვაფი).

ღვერელეები ნ. ღვარალეები.

ღვინიო ღვინისფერი სოკო.

ღილობა, მოღიღვა კანის და-
ხეთქა, გაქეციანება. „ნზნილობა

გვაქ ამისთანა, რომ წითელ პარასკევს თუ პირი დეიბანე, დილოზა იცისო: სულ ერთიანათ დავიტკლევს და გავიქეციანებს პირისახესო — იტყოდნენ ცრუმორწმუნენი.

ლინკა (ბოტ.) ღიჭა (მხალეული).

ლინკილა 1. ფარლული, უბრალო მძივი; პატარა-პატარა ნიჟარების მძივი; 2. ჭყინტლი სომინდი, შესწავად უვარგისი.

ღირკილა, ზირკილა დილკილა.

ღიჯნა ხილის ცუდად ჭამა.

ღნაშვა ნ. მოღნაშვა.

ღონა, ღონე, ანუ გარა, გარე ბადისა სასროლი ბადის ნაპირი, რომელშიაც უყრიან ნეკის სისხო ბაწარს და ზედ ასხამენ ერთმანეთისაგან დაშორებით ტყვიებს; შემდეგ აკეცავენ გარას და ამაგრებენ კედით ნაპირებს. გარაში (ღონაში) შესული თევზი გარაშემო უვლის,

მაგრამ გარეთ გამოსვლა აღარ შეუძლია.

ღორთელი, ღორთილი ქალის ავადმყოფობა: ყოველ ორსულობაზე მუცელი წაუზღდება ხოლმე. ხალხის ცრურწმენით ღორთელი მუდონაირი ცხოველია. უჩნდება ქალს მუცელში და ბავშვს სკამს. ექიმობენ ყუმსით (ნ.).

ღორთილი ნ. ღორთელი.

ღორტავი ერთგვარი წყლის ქია, ძალიან პატარა, საცეცებიანი. „წყაროს თუ ღორტავი გოუჩნდა, აღარ დეილევაო“ — იტყვიან (შდრ. საბა).

ღრადო ნ. ღრატო.

ღრატო, ღრადო ღრანტე.

ღრუბელა თეთრი ყურძნის ჯიშია; ვიდრე მოირწყებოდეს, ძალიან შავი ფოთოლი აქვს.

ღრჯოლები, დჯოლები დიდი და წინ წამოშვერილი კბილები (შდრ. საბა ლოჯი).

ღურთა კაცი გულჩახეული, უეშური, ჩუმჩუმა.

ღჯოლები ნ. ღრჯოლები.

ჟ

ჟაჟარი ჟაჯარი, ასალი.

ჟაჟაჟო, ყიყაჟო დაბაბი.

ჟელა წისქვილის ბორბლის ხუნდის თავზე დაცმული რკინა, რომელიც ატრიალებს არქეს (ნ.), ხოლო უკანასკნელი — წისქვილის ქვას.

ჟელიზხირი (ყელის ჩხირი)

ჯრძელი, წვრილი ხის დანა, რომლითაც ასწორებ-ალამაზებენ თიხის ჭურჭლის ყელს (მაგ., დოჭისას, სურისას და სხვა).

ჟერო ჭიშკრის საკეტი რიკი (საყავრე ლურსმნის მსგავსი), რომელიც ზევიდან ჩაერქობა მეორე (თავგაზვრეტილ) რიკს.

ყვერნა, ივერნა ურმისა ურმის ზესაღვრების დასადგმელი, რომელიც ქვემო ამოღარული პირით იდგმება ლერძზე (შდრ. ბერ. ყვერა).

ყვიპსი, დაყვიპსული ძალიან პატარა, დაბარძღული.

ყვლიბინი ნ. გამოყვლიბინება.

ყიყაპო ნ. ყაყაპო.

ყუღულის ლობე ნ. რაფები.

ყუმი უსიცოცხლო, მუდამ გაჩემებული (შდრ. ბერ.).

ყუმსი ლორთელის (ნ.) წამალი:

დიყის მარცვალსა და თაფლს გადმოაღულებენ და დააღვეინებენ სნეულ ორსულ ქალს. ხალხის ცრურწმენით ყუმსი დააგდებინებს ლორთელს.

ყუნტალი ქანაობა, აქედან: საყუნტალო (ნ).

ყურები ჩონგურის მოსამართავი რიკები.

ყურის ოთახი ძელური სახლის წინა ყურეში—მარჯვნივ ან მარცხნივ—მიდგმული პატარა ოთახი, სადაც ინახვენ ქვეშაგებს და აწვენენ სტუმარს.

შ

შავფხალა (ბოტ.) მხალეული შცენარეა.

შალ-ყაჭი შალისა და ყაჭის ნარევი ქსოვილი.

შებეპღვა შებოქვა. „მაგრად შეიკარ და შემბეკდე, რომ საძრაობა არ მექნეს“ (ხალხ. ლექსი).

შეკოქვა კარებისა კარების შეეკრა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ნაწილია დამზადებული: ბაზობები, გული და სხვ.

შელარტყვა (სახლისა) ლარტყების დაკვრა გადასაკიდებზე.

შელანა! მიმართვა, „შე გლახასა განა“ წარმომდგარი. ახლა ეს მნიშვნელობა დაკარგული აქვს. ასე მიმართავენ ხშირად ყველას —

უფროსებს და სხვ. „გამოიარე, შელახა, გამოიარე!“; „წინათ ვინ მომცემდა, შელახა, იმდენ სწავლას, შენ რო გაქ ახლა“.

შემობანდვა (თიხის ქურქლისა) ნედლი ნაპირების ან თავის შემოსწორება ბანდით (ჩერიით).

შემოფოთვლა (ქურისა, ჩაფისა და სხვ.) ფოთლების შემოღობვა ნაპირებზე, როდესაც ქურქელს თავი ან საერთოდ ზემო ნაწილი არა აქვს გაკეთებული (ქურქლის კუქუქოს, შუატანსა და თავს ცალცალკე აკეთებენ. ვიდრე ზემო ნაწილს დააწესებდნენ, ქურქელი უნდა გაახმონ, ხოლო შემოფოთლილი ნაწილი ნედლი რჩება და ზედ აღვილად მოექნება თიხა).

შემოქნა თიხისა დაუმთავრე-

ბელი ჭურჭლის ნაპირებისათვის თიხის შემოგლესა კედლების ასამალლებლად. „ჯერ ჭურის კუნჭულოს ვაიეთებთ და მერე კედლებს შემოვაქნით“.

შემძახილი მოძახილი სიმღერაში.

შემზობილი კურტუმი (უკანალი) საქონლისა.

შეპოლიკება ძალიან მაღალ რამეზე შესვლა. „შეპოლიკებულა ოჩაფენებზე და დადის“ (შდრ. ბერ.).

შერიტები ზონრები (?). „ქსოვდნენ ყდაზე შერიტებს, ლეკვერთებსა და სხე.“

შეპოვგრა (სახლისა) სახლის გადახურვა ქოვრებით.

შეხვილიფება სხვისი ფულის, ქონების შექმა, მითვისება.

შეხირხვლა ბევრ რისამე ჩამოკიდება ერთად. „ეს ცაცხვი დღესაც შეხირხლულია ცხენის ნალებით“ (გ. წ.).

შვიდმაიხობა ნათლისმცემლის დღეობა იყო. ამ დღეს იცოდნენ თემობა უღევზე (უღვევი დიდი ტყეა ქიათურის სამხრეთით).

შვილო შულო (ძაფისა).

შიოობა მარნის ზედაშის დღესასწაული იყო; იხდიდნენ ყველიერის ხუთშაბათს. ხაჭ პურს, ყველს, პურს. დოქით ღვინოს ჩადვამდნენ მარანში, საწნახელში. სწამდათ, რომ იმ ღამეს შიო ჩამოივლიდა და დაათვალიერებდა, არის თუ არა შესაწირავიო. იუ ვერ ნახავდა, დაგვწყველიდაო. თუ ჩადგმული იყო, თავის კვერთხს ჩააწებდა ღვინოში და იმ წელიწადს კარგი მოსავალი იქნებოდაო. მოჩლოცველი—ოჯახის უფროსი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. მას უნდა მოეკბინა ხაჭაპური, მოესვა ღვინო, დაენთო სანთელი და შევედრებოდა შიოს. მეორე დღეს დანარჩენ ხაჭაპურს ოჯახის წევრები ინაწილებდნენ; ქალიშვილებს არ აქმევდნენ, მოყვანილ ქალს—კი.

შუათანადი საშუალო.

შუაწელი (ბადისა) სასროლი ბადის შუა ნაწილი, ცასა (ნ.) და გარეს (ნ.) შუა.

შუბლი სახლისა სახლის წინდა უკან სარტყლის ზედა ნაწილები.

შხვართი სწორი, კარგად მოყვანილი; შხვართი თითები, გრძელი, ლამაზი თითები.

ჩ

ჩაბაუული ქათამი ბაყეგადასხმული ქათამი (ნ. ბაყე, დაბაჯული).

ჩაბურა (?) „მარკოზ ჩაბურას აკეთებს, ის გოუვა სამ ფარადა“ (ხალხ. ლექსი).

ჩაკრიმანჭულეზა საქმისა მოხერხება, გაჩარხვა.

ჩამაყურებულნი (ჩამაყურებულნიდან) ჩასკენილი. „ჩაფსკენილ-

ჩამაყურჯებული დადიან სულ (შდრ. მარყუეი).

ჩამკვლევებელი მეტისმეტად მიჩვეული ვინმესთან. „ისეა დე-დამისხე ჩამკვლევებელი, რომ ერთი მინუტით არ ცილდება“.

ჩამორებული ლეკური რიგ-რიგობით ჩამოვლილი ლეკური.

ჩამოსხმა კოხისა კოხის მოსვლა, ჩამოყრა.

ჩანთვა პანლურისა პანლურის ამოკვრა.

ჩარაძატებული ჩამწკრივებული.

ჩასაკრავი ურმისა ურმის მუხ-რუჭი.

ჩაფუყვა ნ. ფუყა.

ჩაფულა პატარა ჩაფი (შდრ. ბერ. ჩაფურა).

ჩაფუნჩხული ჩაფუნჩხილი „მკაღ-ჩაფუნჩხულ რძეს ეკამ სულ“ (შდრ. ჭყ. ფუნჩხა, ფინჩხა).

ჩაყუნჭული ხილი ძალზე დამ-წითებული (შდრ. ყურჭი).

ჩაჭყება ნ. კაფე.

ჩეკვა ქვისა ნ. გაჩეკვა ქვისა.

ჩერგილა პურის ზვინი, ურმეულ-ზე უფრო პატარა. ზოგან ჩერ-გილას ეძახიან თივის პატარა ზვინ-საც (შდრ. საბა, ბერ.).

ჩიბუხები (ჩოხაზე) სამასრის მსგავსად გაკეთებული ადგილები ლოხაზე, უკან, ჩაქის ზემოთ.

ჩიგილი (?) „შე ჩიგილო მტრედო, შემოჯდები შტოსა“ (ხალხ. ლექსი).

ჩიტები, გინგილები ხის პატარა რიკები, რომლებზედაც ჰკილია დგიმები.

ჩიტკვერცხა ლობიო მრგვალ-მარცვალა შავხაზებიანი ლობიო.

ჩიჩი მატლი. „ჩილს (ჩირს) ჩიჩი გოუჩდა“.

ჩიჩხა თვალები ძალიან ღია ნა-ცრისფერი თვალები, მოცისფრო, ქიატი თვალები.

ჩლითვა ნ. დაჩლითვა.

ჩოთი პატარა ბარისებრი ხის იარაღი, მხლის საკეპი.

ჩორბა შორბა.

ჩოჩობი ლომის ჩალის ქილო-ბი.

ჩრიალი სისულელის ლაპარაკი, ჩერჩეტობა.

ჩრითინი ჩერჩეტობა, ჩრიალი (ნ.), უთავბოლო ლაპარაკი.

ჩხაკი ხახალი, ცხრილი.

ჩხეკვა ჩარტყმა.

ჩხიკი, ჩხინკი წვრილად გათ-ლილი ჩხირი. „ჩხიკით ვუყრით ქალამანში თასმას“.

ჩხინკი (ქვ. იმ.) ნ. ჩხიკი.

ჩხირა ვენახი აქა-იქ გახარებუ-ლი ვაზი, რომელსაც ჯერ სარები არა აქვს დასმული.

3

ცა 1. ბადის ზედა მრგვალი ნაწილი; 2. თალი (საქურქლე-საქრამიტე ქურისა, ქვიტკირით ამოშენებული წყაროებისა და სხვ.); 3. ნაბდის ქუდის შუანაწილი.

ცალფეხა აზნაური მამა რომ აზნაური ჰყავდა და დედა გლეხი.

ცალხელი ხერხი ცალი ხელით სახმარი ხერხი (შდრ. ბერ. სა-ცალხლო).

ცერალმა ცერალმა და დგმა—ყირად დადგმა. „კრამიტს შევ-ღვამთ ქურაში ცერალმა“.

ცვივანა წითელი ყურძნის ჯიშია; კრეფის დროს ადვილად ცვივა მარცვალი.

ცილი კვების, საზამთროსა და მისთანათა კანის თეთრი ნაწილი. „მწვანეს რომ ააფხეკ, დარჩება ცილი“.

ციშციშ აღება შჩატედ, სწრაფად აღება რისამე.

ცინცხვი ცოცხივითაა, აკეთებენ წნელისა ან ოქროცოცხასაგან.

ძარი 1. ყანიდან სიმინდის მოსატანი, ურემზე დასადგმელი წნული (გოდორზე უფრო დაბალი და გრძელი); ეტევა 4 კოდი (10 ფუთი); 2. (ქვ. იმ.) წნული სასიმინდე (შდრ. ჩუბ. ზარი, ქყ. ძარი).

ცინცხვით აკავებენ ქაქას დაწურვის დროს, რომ ტკბილს არ გაჰყვეს.

ციხიერი ალიონი. „ცისიერზე დგებოდა და მიდიოდა სამეშაოდ“.

ციცქინი 1. მომეტებული სიყვარულით ან მორჩილად ყურება. „შეციცქინებს თვალეში“—გამუდმებით თვალეში შეჰყურებს; 2. სიხარბით ყურება (შდრ. შარშ. ციციქირი).

ცმუტური ცმუტვა.

ცუნცრუკი ქარაფშუტა, დაუღრომელი კაცი.

ცხენხედარი ცხენზე მხედარი. „შვიდი წლისა რო შეიქნა, ცხენხედარი შეიქნება“ (ხალხ. ლექსი).

ცხგარო თეთრი სოკო; კეცისხელა იზრდება.

ცხრაწიგნა ცხრაპატარძალა.

ცხრაღვა სიმინდის გაბერტყვა (ნ. საცხრილავეი).

ცხრუკველო სოფ. ცხრუკვეთის მცხოვრებთა მუშური სიმღერა.

d

ძარღვიანი ბური ცომი რომ კარგად იზილება. ძარღვიანი მიწა კარგად იზილება და საქურქლედ გამოსადგევა.

ძაფი ჩონგურისა სიმი. „ჩონგურს ოთხი ძაფი აქვს: დაწყილი, მომძახილებელი, ბანი და ფერდი“.

ძალთაპირი, ძანთაპირი გაუმადლარი, უნამუსო, მსუნავი. „სულხეავო და ღობემუცელა, ძალთაპირო კუქიაო!“ (აკაკი, „კუქია“).

ძაძა შავი შალი, ოდნავ თეთრ-დაფგარეული.

ძანთაპირი ნ. ძალთაპირი.

ძიბძიბა, ჯიბლინო (თვალზე) ქუჭუ, მუწუქი (ნ. კუქუ; შდრ. ბერ. ზიბზიბა, ქყ. ძიძიბო).

ძირეული ვენახი დაბლარი, ძირს გაშენებული ვენახი.

ძირიხ აზნაურიშვილი შთამრმავლობით, რამდენიმე თაობით აზნაური (მამიებელთა ან გვიან გააზნაურებულთა საწინააღმდეგო იყო).

ძლაცუნი ბლაცუნი, ჯლაცუნი, უშნოდ სიარული.

ძნეცვა ნ. მიძნეცვა.

წალარი წალამი.

წარაფვა სარის თავის წაწვეტება (შდრ. ტაფვა).

წარბის საღებელა (ბოტ.) ყვითელყვავილიანი მცენარეა, საღებავად იყენებენ.

წართვა ცემა, დარტყმა.

წატაფვა ნ. ტაფვა.

წაჯორავო ფერი წაღვინისფრო. „მწყერიო — წაჯორავო სოკოა, წაღვინისფრო“.

ძროკუნქულო ბადე ჰგავს პელების საქერს: მოვიწროებული ძრო აქვს; გრძელია, მოქსოვილია ძაბრივით. ამით თევზს იჭერენ ჯილეში ან თარანში (ნ.).

ძროხიანა (ბოტ.) დაბალი, ფართოფოთიანი, მოკლელეროიანი მცენარეა; საუკეთესო საკვებად ითვლება ძროხისათვის.

ძუა 1. ოფოფის მახე: ძუა მარყუჟადაა გაკეთებული ჯოხზე; კაცი იკეთებს შტოების საფარს, მიეპარება ოფოფს და გადააცვამს ძუას; 2. მწყრის მახე: აკეთებენ წრეს; წრის ერთ მხარეს ორი ჯოხია ჩარკობილი; ერთზე არის გაკეთებული ძუა „საშვეტელად“; უყრიან ფეტვს და იჭერენ მწყერს.

ძურა ცუდი ყოფაქცევის ქალი (შდრ. ბერ.).

ძუძგი ძუნწი.

წ

წელა კვახიხა კვახის კანის თეთრ ცილას დაქრიან გრძლად, ახმობენ და ინახავენ ზამთრისათვის; აკეთებენ საკმელად ნიგვზით (შდრ. ჩუბ.).

წელგათრეული უსიცოცხლო, ძლივს რომ ათრევს წელს.

წერიხფერი ნიგვზის წერის ფერი, წაყვითალო (შდრ. ბერ. წერი; ნ. დაწერეა).

წვერებდადოშვილი ახლად წვერებწამოსული (ნ. დადოშვა წვერისა).

წვერის კვრა (სიმინდისა) წვერის ამოყოფა. „სიმინდმა წვერი კვრა და წამოვიდა“.

წვივსაპერები ლეკვერთები.

წიაკოკონია ალიაქოთი, ჩხუბი, დავიდარაბა (შდრ. ბერ. წიაკოკოლა).

წითელი ალექსანდრე წითელი ჩითი.

წინაქარი წანაქარი, პირველად გამოსული არაყი (გამოხდის დროს).

წინდრვა ნ. გადაწინდრვა.

წინპირი წინაპირი (ჭურისა, სახლისა და სხვა). „ჭურჭელი რომ გამოიწვის, უნდა ჩამოუნგრიოთ ჭურას წინპირი“.

წინწყილა პატარა წყარო, რომელიც მალლობიდან ჩამოწანწყარებს.

წიპუჯა წრიპა, ძალიან პატარა, უმწეო.

წიფლიო წითელი სოკო—წიფლისა.

წკვერტები ზორტები. „კაცის საცვალს ქვევით ვუკეთებთ წკვერტებს შესაკრავათ“ (შდრ. ბერ. წკვერტი).

წლიმთეთული ერთი წლისა, წელიწადმოთავებული. „წლიმო-

თეთლი ნეხვი უნდა დააყარო მიწას“.

წმიდასამერტყველი წინასწარმეტყველი.

წნიკვი კენიტი; ერთი წნიკვი ერთი კენიტი, ერთი ფიორი, ერთი ბეწო.

წრეულს, წროულს წლეულს, წელს. „წრეულს კაი მოსავალი იყო“.

წრიაპი 1. დაქანებული, ციცაბო ადგილი. „სერს ქვემოთ ფერდ წრიაპად დაეშვებოდა“; 2-კანჯო (кряжик).

წროულს ნ. წრეულს.

წუჯარტა წვრილმანი; კაცი, რომელიც ყოველ პატარა საქმეს აზვიადებს (შდრ. ჭყ.).

წუმწუბა, წუმწუბი, წურწუმა, კუმკუმა ხელსაბანი ჭურჭელი; ვერცხლის პატარა ჭურჭელი, რომლითაც ადუღებდნენ წყალს მღვდელმსახურების დროს.

წურწუმა ნ. წუმწუბა.

წყათი (ქვ. იმ.) წათხი.

წყეო რაც საწყაოშია მოთავსებული. „წყეოს თავი ქონდა დადგმული და ისე მივეცი ვალი“ (შდრ. საბა წყე).

ჟ

ჭაბუკობა ნ. კვირიკობა (შდრ. ბერ.).

ჭანგილოური შავი, საადრეო ჯურძენია, მრგვალი მარცვალ იცის.

ჭენჭყეცა (ბოტ.) წვრილსლოტიანი მცენარე, კაცის სიმალლე ზრდობა; ერთბაშად იცის ამოყრა; ყვავილი თეთრი აქვს: ტყემლის ყვავილსა ჰგავს; მტევანივით დაიჭუნძლებს.

ჭენჭყერი (მიწა) ჭენჭყობი, ჭაობიანი (ნ. ჭენჭყვა).

ჭენჭყვა, დაჭენჭყვა დასველება. „აქვს დაქენჭყავენ წყალში და შედგებიან ფეხებით ზედ“ (შდრ. ბერ. ჭენჭყო).

ჭეო ნივრის თავის ცალკე კბილი. „ნივრის თავს აქ ქეოები“ (შდრ. შაბა კილო).

ხაბიზგინა ნივრისანი პური (შდრ. შაბა).

ხავიწი ძმარში მოზელილი პურის ცომი, რომელსაც ცხლად შემოადებენ დაჩირქებულ თითზე, როდესაც საბეწველა (ნ.) სკირს ვისმე: ხავიწი გამოსწურავს ჩირქს (შდრ. ჩუბ., შარშ.).

ხავრეზი 1. ხარვეზი; 2. ირიბი ზაზები შალის ქსოვილზე.

ქვანგები (ვაზისა) გრძელი, წვრილი, დაგრებილი წამონაზარდი; ზოგჯერ მას ულვაშებს ეძახიან. ქვანგები შემოეხვევა ხოლმე ხარდანს.

ქვიტინი კიტინი.

ქირღვა, ქიღვა ქიგო, სარი, ხარდანი (შდრ. ბერ. ქიღვა).

ქიქილაქი ურმისა ქინქილაქი, ქილიბი (ნ. საბა). „ქიქილაქს ღერძს უყრიოთ და კაეობს (იკაეებს) გოგორას“.

ქომორტულად ცუდად, ჩიქორტულად, დამტვრეულად. „ქომორტულად იცოდა უცხო ენა“.

ქრილობა კარისა კარზე ამოკრილი ხაზები ან სახეები.

ქუქნიები ნ. დაქუქნულები.

ქუქუნი (თვალისა) ნ. დაქუქუნება თვალისა.

ხ

ხაზი ჯოხზე ჩასობილი ლურსმანი, რომელიც რეისმუსის, საფხაქის მაგიერ იხმარება.

ხაზის კოტა ფიცარსა და ფიცარს შუა ჩაყენებული რიკი, სახლის კედლების სისწორისათვის.

ხალბახანი (?) „ეს არის ხალბახანის ზლაპარი“ (ზლაპრ.).

ხარდანი ვენახის სარი (შდრ. საბა); აქედან: **მოხარდენა** (ნ.)

ხაჭუნი ჩხვლეტა (მეხაჭუნე-ბა მჩხვლეტს). „თვალში ბეწვი ჩოუფარდა მეცხვარეს და: რაცხა მეხაჭუნეება თვალშიდაო“.

ხელაობა ხელით ჭერა თევზისა.

